# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ოთხშაბათი 18 ნოემბერი 1998 №210 (745) ფასი 50 თეთრი

# დავრჩეთ დუბლინში!

ზურაბ მექველია
დუბლინიდან



ცხადია, პოლიტიკური და ეკონომიკური თავშესაფრის მოთხოვნას როდი ვთავაზობ ქართველ მორაგბეებს — საქმე ისაა, რომ თუ დღეს რუმინეთს მოვუგეთ, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მომავალი წლის მსოფლიო თასზე E ჯგუფში მოხვდება ავსტ-
რალიის, ირლანდიისა და აშშ-ს ეროვნულ გუნდებთან ერთად. ორი თამაშიც — ავსტრალიის გარდა (ბელფასტშია) — სწორედ „ლენსდაუნ როუდზე" გაიმართება. ჰოდა, დავრჩეთ ჩვენც დუბლინში და ნუ წავალთ შორეულ ტონგაში, ვისაც რუმინეთთან წაგების შემთხვევაში უნდა ვეთამაშოთ.

ან მსოფლიო თასზე რაღა გვინდაო — 0:70 წაგების შემდეგ ასეთი აზრიც გაჩნდებოდა ჩვენში. რასაკვირველია, ფავორიტად არ ჩავლენ ბორჯღალოსნები მომავალი წლის უმთავრეს შეჯიბრებაზე, მაგრამ თუ იქ შერცხვენის შეგვეშინდა, მართლაც რატომ ვთამაშობთ? გუშინდელ წერილში ვახსენე, ირლანდიას აქამდე 60:0 ჰქონდა სარეკორდო გამარჯვება-მეთქი. და იცით, ვისთან? სწორედ ჩვენს დღევანდელ მეტოქე რუმინეთთან 1986 წელს. დაენებებინა რუმინეთს თავი და აღარ ეთამაშა რაგბი?

თავათ. „მონქსტონ კლაბი" ირლანდიაში უძველესია და 1883 წელსაა დაარსებული.

ქართველმა ვეტერანებმა, რომელთა შორის უხუცესი 58 წლის გელა მიქაბერიძეა, მხოლოდ ბოლო წუთებზე წააგეს მატჩი 29:35. ჩვენებურთა შორის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა გურამ მოდებაძემაც ითამაშა, რომლის გუნდს ამ მატჩში მოპოვებული 29 ქულა ვეტერანებზე მეტად წაადგებოდა. „მონქსტონ კლაბის" კაპიტან კევინ ოლგრაიტს კი ბედნიერი დღე გაუთენდა: ქართველთა სტუმრობამ 18 წლის შემდეგ ისევ შეგვკრიბაო.

ირლანდიასთან მატჩის დღეს მშვენიერი დარი იდგა. სადღეისოდ კი ქართველები წვიმას ნატრობდნენ, ჩვენი სტილისთვის ავდარში თამაში უმჯობესიაო. ღმერთმა ყველა ნატვრა ასე აუხდინოთ, ორშაბათიდან დუბლინში გადაუღებლად წვიმს და თუ ასე გაგრძელდა, ამინდთან საპრეტენზიო არაფერი გვექნება.

მანამდე კი ბორჯღალოსნები გამალებით ემზადებიან და იმედიანად არიან. ტონგას გაგონება კი არა, რუკაზე მოძებნაც არ
სურთ. ეგებ მართლაც მოვიგოთ დღეს, არადა, რუმინეთიც გვიფრთხის — შაბათს მთელი შემადგენლობით იყვნენ „ლენსდაუნ როუდზე", თუმცა ეს რა: მათი ოპერატორი ჩვენ გუნდს თურმე საფრანგეთშიც არ ასვენებდა და სამი თუ ოთხი მატჩი გადაუღია.

ყველაზე შეწუხებული მაინც ბურძგლაა — მთიულიშვილს (ნემსებს გავიკეთებ და მაინც ვითამაშებო — ამბობს), ცაბაძეს, გიორგაძეს და კახა კობახიძეს ტრავმები აქვთ და თუ თამაში ვერ შეძლეს, დავლუპულვართ და ეს არისო. ნაკრების ექიმთა და მასაჟისტთა ქართულ-ფრანგული ბრიგადა უახლესი აპარატურის თანხლებით ყველაფერს აკეთებს მათ მწყობრში ჩასაყენებლად, თუმცა მათი თამაშის ამბავი ოდენ დღეს გაირკვევა.

უნდა მოვიგოთ! აუცილებლად უნდა მოვიგოთ!



ირლანდია — საქართველო. ბორჯღალოსანი კახა კობახიძე პატ დიგანის შებოჭვას ლამობს

ჩვენ სხვა ვიკითხოთ — არ შეიძლებოდა დღევანდელი ისტორიული მატჩი (შედეგის მიუხედავად) ქართველ გულშემატკივარს ენახა? საუბარი არნახულ თანხებზე როდია: მხოლოდ და მხოლოდ 3 000 (სამი ათასი!) დოლარი მოუთხოვიათ ირლანდიელებს და თუ ეს თანხა ქართულ ტელევიზიას არა აქვს (ვინ მისცემს?), ხალხის პატრონად არსებული ორგანიზაცია, მთავრობა რომ ჰქვია, შეწუხებულიყო. თუმცა არა, ბოდიში, დამავიწყდა „ვისი გორისა ვართ" და გავუტიე. ისე, თავშესაფრის მოთხოვნა მაინც არ გვინდა. აგერ, არჩევნებიც ჩატარებულა და აწი ავიწყობთ ცხოვრებას.

ეროვნულ ნაკრებთან შედარებით წარმატებით ითამაშა ვეტერან მორაგბეთა გუნდმა. ჩვენებურთა საქომაგოდ ჩამოსულმა ჭარმაგმა მორაგბეებმა ხელიდან არ გაუშვეს შანსი, გეილ ვეტერანებთან წაებურ-



გუშინ დილომში: საქართველოს ნაკრები კარგა ხნის შემდეგ „დინამოს" ბაზას სახეცვლილი დაუბრუნდა

# საქართველოში თბილისს რა უნდა?

## გუცაევი ესტონელებთან ბევრ ახალბედას გამოცდის

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა გუშინ დილით დიღმის ბაზაზე წაივარჯიშა და მერე დისლოკაციის ადგილს, სასტუმრო „მესაზღვრეს" დაუბრუნდა. მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ გუცაევმა ვინც მოისაკლისა, გუშინვე გამცნეთ, ერთადერთი კოლხი ქობულაძის ჩამოსვლა-არჩამოსვლის საკითხი იყო გაურკვეველი და ესეც გაირკვა — მიხოს „ვიტ ჯორჯიასთან" კოჭი უტკენია და ისე გასიებია, დღეს ვერ ითამაშებს, ისევე, როგორც ლევან ცქიტიშვილი — იგი შეკრებაზე კი იყო, მაგრამ ფეხი იტკინა და ნაკრებს დააკლდა.

ვარჯიშიდან დაბრუნებულმა ნაკრების წევრებმა ისადილეს და მერე „მკვდარი საათი" გამოაცხვეს. მათ ხუთის ნახევრამდე იძინეს, მერე ყველა ავტობუსში მიიწვიეს და ესტონელების ვარჯიშის სანახავად ეროვნულ სტადიონზე წაიყვანეს.

ბიჭები მაინცდამაინც არ დაუზაფრია მეტოქეს. ამის ბრალი თუ იყო, სტუმრები „დირ-დირს" შეუდგნენ თუ არა, ქართველები ერთიანად აიყარნენ და სასტუმროს დაუბრუნდნენ.

ესტონელების ვარჯიშს ბოლომდე მხოლოდ გუცაევმა და ეროვნული ნაკრების სხვა ხელმძღვანელებმა „გაუძლეს". ბატონი ვოვა მშვენიერ ხასიათზე ჩანდა და ჟურნალისტთა სალაღობო შეკითხვებს ლაღადვე პასუხობდა. ესაა, ხვალ ძნელი მატჩი გვექნებაო — თქვა.

ეროვნული ნაკრების დღევანდელი შემადგენლობა უკვე გარკვეულია, ყოველ შემთხვევაში, თვითონ ფეხბურთელებმა იციან, ვინ ითამაშებს და ვინ არა. ჩანს, ახალწვეულთა უმეტესობა პირველი მატჩშივე ძირითად შემადგენლობაში მოხვდება და ბიჭებიც კბილებს ილესენ, რათა მწვრთნელს ნდობა, ხალხს მოლოდინი გაუმართლონ.

დღევანდელი მატჩი ეროვნულ სტადიონზე ოთხ საათზე დაიწყება და მას ქართველი მსაჯები მოემსახურებიან: მსაჯი მერაბ მალალურაძე, თანამსაჯები მამუკა ელიკაშვილი და ლევან მიქელაძე, სათადარიგო — სერგო კვარაცხელია, მატჩის კომისარი კი კარლო ყრუაშვილი იქნება.

იხილეთ მეორე გვერდი

# უეფა რისი დამთმობია

მსოფლიოს თოთხმეტი უდიდესი კლუბის — „მილანის", „აიაქსის", „ბაიერნის", „ბარსელონას", „პორტუს", „დორტმუნდის", „მარსელის", „რეალის", „ინტერის", „ლივერპულის", „იუვენტუსის", „მანჩესტერ იუნაიტედის", „ეინდჰოვენის" და პსჟ-ს წარმომადგენლები გუშინ მადრიდის ერთ-ერთ კაზინოში შეიკრიბნენ, რათა სამომავლო გეგმებზე ეთათბირათ და ერთი, ჩამოყალიბებული აზრით დაეწყოთ მოლაპარაკებები უეფასთან.

შეგახსენებთ, რომ ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს შეფმა ლენარტ იუჰანსონმა ამას წინათ საზოგადოებას ფეხბურთში მოსალოდნელი ძირეული ცვლილებების შესახებ ამცნო. კერძოდ, უეფას პრეზიდენტმა და მისმა ხელქვეითებმა გამოსცეს ბრძანება მომავალი სეზონიდან 1961 წელს დაარსებული თასების მფლობელთა თასის გათამაშების გაუქმების და ამის ხარჯზე ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის მონაწილე გუნდების რაოდენობის გაზრდის შესახებ. ამ ნაბიჯით უეფამ ერთგვარი დარტყმა მიაყენა მილანურ კორპორაცია „მედია პარტნერზს", რომელიც სუპერლიგის შექმნის იდეის ავტორად მოგვევლინა და დღესდღეობითაც იბრძვის ამ გეგმის ხორცშესასხმელად. სუპერლიგის შექმნა კი უეფას ხელს არ აძლევს — ევროპულ ფეხბურთზე კონტროლს დაკარგავს.

აღნიშნული შეხვედრის დასრულებისას, ზემოხსენებულმა კლუბებმა შექმნეს ხუთგუნდიანი „მუშა ჯგუფი", რომელშიც შევიდნენ — „მილანი", „პორტუ", „ბაიერნი", „მარსელი" და „რეალი". მათ უეფასთან მოლაპარაკება დაევალათ.

მომავალ კვირაში კი ჟენევაში უეფას წევრი ფეხბურთის ფედერაციების ორმოცდათერთმეტივე პრეზიდენტი შეიკრიბება და უფრო დაწვრილებით იმსჯელებს საჭირბოროტო საკითხებზე. ჩემპიონთა ლიგის გათამაშების მომავალი ფორმატი საბოლოოდ 10 დეკემბერს იერუსალიმში ჩამოყალიბდება, ხოლო 18 დეკემბერს 14 სუპერკლუბი კვლავაც მადრიდში შეიკრიბება, რათა ყველას თავისი წილი საქმე დაეკისროს.

ერთი სიტყვით, უეფასა და „მედია პარტნერზის" ბრძოლაში პირველის ერთგვარი უპირატესობა გამოიკვეთა, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპულ ფეხბურთს შემდგომშიც, ალბათ, ძველი პატრონი ეყოლება.

დავით ქოქზირიძე

# ოქროს მატჩი

ზუსტად 34 წლის წინ, 1964 წლის 18 ნოემბერს ტაშკენტში თბილისის „დინამომ" 4:1 მოუგო მოსკოვის „ტორპედოს" და პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი

იხილეთ მეხუთე-მერვე გვერდები

# საქართველოში თბილისს რა უნდა?

დასაწყისი პირველ გვერდზე

ესტონელი ფეხბურთელების შემხედვარე ვერაფრით იტყვი, რომ არცთუ დიდი ხნის წინ ერთიანი საბჭოთა სახლის ჭერქვეშ ცხოვრობდნენ. რატომ? თავად განსაჯეთ. სკოლაში ნასწავლი, დღემდე შემორჩენილი რუსულის ცოდნის იმედად სასტუმრო „აჭარას" მივაშურეთ, იქ დაბანაკებულ ესტონელ ფეხბურთელებთან გასაუბრება გვსურდა. სტუმრებს კი გამოველაპარაკეთ მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ცოდნა დიდად არ გამოგვადგა. ფეხბურთელები თავს აქნევდნენ, არ გვესმის ეგ ენაო და უმალ ინგლისურზე გადადიოდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა კი საერთოდ გაგვაოცა — ვკითხეთ, თბილისი თუ მოგეწონათ-თქო, გაკვირებულმა გვიპასუხა, რა შუაშია თბილისი, განა ახლა საქართველოში არ ვიმყოფებითო? მართლაც წარსულს ჩაბარებია „ძმური საბჭოური" მოგონებები. თუმცა ვისთვის როგორ...

ფეხბურთს დავუბრუნდეთ. ესტონელებს აშკარად ეტყობათ საბრძოლო განწყობა და დღევანდელ შეხვედრაში გამარჯვების დიდი იმედიც აქვთ.

*ტეიტ ალასი* „ტულევიკის" და ნაკრების ნახევარმცველი:

— მჯერა, რომ თქვენს ნაკრებს დავამარცხებთ. თქვენც დამეთანხმებით, მოკლე დროში ფეხბურთმა ჩვენს ქვეყანაში საგრძნობი პროგრესი განიცადა. ჩვენი წარმატებისა იმდაც მჯერა, რომ საქართველოს ნაკრები მეორე გუნდით ითამაშებს და არა მგონია, მათი ძლევა გაგვიჭირდეს. თუმცა თქვენს ფეხბურთზე საკმაოდ კარგი წარმოდგენის ვარ, ვიცი, რომ რამდენიმე ქართველი ევროპის წამყვან კლუბებში თამაშობს.

**— თბილისში თქვენც არასრული შემადგენლობით ჩამოხვედით...**

— მართალია, რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გვაკლია, მაგრამ არა მგონია, გაგვიჭირდეს. ისე, იმედს ბოლომდე ნუ გადაიწურავთ, ეს მატჩი ამხანაგურია და თქვენც იცით, ხშირ შემთხვევაში ასეთი შეხვედრები ფრედ მთავრდება.

ესტონეთის ნაკრები ძირითადად ქვეყნის ჩემპიონის „ფლორას" ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. *სერგეი ხოხლოვ-სიმსონიც* ამ კლუბის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. სეზონის დაწყების წინ „ფლორა" „მილანს" გაეჯიბრა ამხანაგურად. იმ შეხვედრაში ხოხლოვ-სიმსონი სტუმართა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. „ფლორამ" მაშინ მართლაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ერთი ხანობა უგებდა კიდეც სახელოვან კლუბს.

— „მილანთან" თამაშში ჩემმა კლუბმა სრულად წარმოაჩინა თავისი საუკეთესო თვისებები. მაშინ მართალია 2:1 დავმარცხდით, მაგრამ მოწინააღმდეგეს ტოლი არაფერში დავუდეთ და უკეთეს შედეგსაც ვიმსახურებდით.

**— ქართულ ფეხბურთზე როგორი წარმოდგენა გაქვთ?**

— ვფიქრობ, თქვენ იმხელა ტრადიციები გაგაჩნიათ, რომ საფეხბურთო სამყაროში უკეთეს პოზიციას იმსახურებთ. მჯერა, თქვენს სათქმელს ბოლომდე იტყვით, ოღონდ ამისთვის, ალბათ, დროა საჭირო.

**— ჩვენი არ იყოს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი თქვენც ცუდად დაიწყეთ...**

— ესტონეთი, საქართველოს ამბიციურობით ნამდვილად არ ჩამოუვარდება, მაგრამ მაინც მგონია, რომ თქვენთან შედარებით ფეხბურთის განვითარების მხრივ მაინც პირველ ნაბიჯებს ვდგამთ, ოღონდ ეს ნაბიჯები საკმაოდ სწრაფი და ნაყოფიერია და უთუოდ შედეგიც არ დააყოვნებს.

**— ესტონელთა ამბიციურობა, ალბათ, დღევანდელ შეხვედრაშიც გამოჩნდება.**

— რა თქმა უნდა. მართალია, შეხვედრა ამხანაგურია, მაგრამ დროის დასაკარგად ნამდვილად არ ჩამოვსულვართ. გამარჯვებას და ჩვენი საუკეთესო თვისებების გამოვლენას შევეცდებით.

ცხადია, ყველაზე მეტ ინტერესს ესტონელთაგან უცნობილესი *მარკ პოომი* იწვევდა. პრემიერლიგელი „დერბი ქაუნთის" კარის დარაჯიც არ დაგვზარდა და თავაზიანად გვიპასუხა შეკითხვებზე:

— ქართველების წინააღმდეგ აქამდე არასდროს მითამაშია. ეს პირველი იქნება და იმედია, ჩვენთვის სასურველადაც დამთავრდება.

**— ქართულ ფეხბურთზე გარკვეული წარმოდგენა მაინც გექნებათ.**

— დიახ, მაქვს. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის დროს ერთი-ორჯერ ტელევიზიით მინახავს თბილისის „დინამოს" თამაში. ახლა კი წამოსვლის წინ საქართველო — ინგლისის მატჩის ვიდეოჩანაწერი გვანახეს. ეს არის და ეს.

**— და რას ფიქრობთ?**

— გამიგია, ქართველები ძალიან ტექნიკურები არიანო და ეს იმ ძველმა მატჩებმაც დამანახა, მაგრამ ახლა თქვენი ნაკრების თამაშის ცქერისას ასეთი აზრი არ შემექმნია, პირიქით, ინგლისელები უფრო ტექნიკურად თამაშობდნენ, ათლეტურადაც ისინი გჯობდნენ.

**— ესე იგი, ცუდი წარმოდგენა გქონიათ.**

— ერთი თამაშით ძნელია დასკვნების გაკეთება. სხვა მატჩების ვიდეოჩანაწერი არ მინახავს, მაგრამ ვიცი, რომ პოლონეთთან კარგად გაისარჯეთ. მე მხოლოდ ინგლისთან თამაში ვიხილე და ასეთი აზრი ამიტომ შემექმნა, სხვა მატჩებიც რომ მენახა, იქნებ სხვაგვარად მეფიქრა.

**— ხვალინდელ შეხვედრაზე რას გვეტყვით?**

— როგორც შევიტყვე, უძლიერესი შემადგენლობა არ გყავთ. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ვფიქრობ, საინტერესო და სანახაობრივად კარგი ორთაბრძოლა უნდა გამოვიდეს, თუნდაც იმიტომ, რომ ნაკრებში თამაშის სურვილი ყველას აქვს და თქვენი ახალწვეულებიც თავს არ დაზოგავენ. აქედან გამომდინარე, შეიძლება უფრო დაძაბული ბრძოლა ვიხილოთ, ვიდრე მაშინ, უძლიერესი შემადგენლობით რომ გეთამაშათ.


ტეიტურ ტორდარსენი

ტალინის „ფლორას" ერთ-ერთ წამყვან მოთამაშე *ინდრეკ ზელინსკის*, პოომისგან განსხვავებით, კარგი წარმოდგენა ჰქონია ქართველებზე:

— ძალიან ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობთ. ჩემთვის ცნობილია, რომ ქართველებს ევროპელ ბრაზილიელებს გიწოდებენ. თავად ვარ ქართველების მიერ ჩატარებული საფეხბურთო სპექტაკლის მონაწილე, როცა თბილისის „დინამო" ჩვენთან შეკრებაზე იმყოფებოდა. რაც შეეხება ნაკრებს, მხოლოდ საქართველო — ინგლისის მატჩის ვიდეოჩანაწერი ვნახე და არცთუ კარგი შთაბეჭდილება დამრჩა, მაგრამ, ვფიქრობ, ეს შემთხვევითობის ბრალი იყო. ჩავარდნები ნებისმიერ გუნდს აქვს, რა სიძლიერისაც უნდა იყოს.

**— ხვალინდელ შეხვედრაზე რას ფიქრობთ?**

— საინტერესო და დაძაბული მატჩი გველის. ვფიქრობ, მოგება ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ იმედი მაქვს, საწადელს მივაღწევთ.

**— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— ის, რომ საქართველოს ნაკრებს უძლიერესი შემადგენლობა არ ეყოლება და მეორეც — ჩვენ ძალიან კარგ ფორმაში ვართ.

**ბაატა ძგანტალიანი**
**ბაატა თოთაძე**
**კონსტანტინე გოგიშვილი**


ტეიტურ ტორდარსენი

ესტონელებიც კარგი ბედოვლათები ყოფილან. გაგონილა, ეროვნული ნაკრები ტურნეს გასამართად მიემგზავრებოდეს და ადმინისტრატორმა ეროვნული ჰიმნის ჩანაწერიცა და დროშაც შინ დატოვოს? სწორედ ასე შეემთხვა გუშინ შუადღისას თბილისში ჩამოსულ ესტონელთა ნაკრებს. ამის გამგონე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომლები კი დაფაცურდნენ, იქნებ სადმე მოვიძიოთ ერთიცა და მეორეცო, მაგრამ ვეჭვობ, რაიმე გამოუვიდეთ. თქვენც ნუ გაგიკვირდებათ, დღეს ეროვნულ სტადიონზე მაყურებლები მხოლოდ მასპინძლებს თუ წამოუდგებიან ფეხზე.

ისე, ფეხბურთის ცოდნისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ესტონელები გუშინდელ ვარჯიშზე კარგად ჩაცმულ-დახურულები კი იყვნენ. საათნახევარი ივარჯიშეს. აშკარად ჩანდა, მათთვის იმპროვიზაციის უნარი ღმერთს არ მიუცია. მოძრაობა კი, იცოცხლეთ, ყველას გაზუთხული აქვს. ესტონელთა ისლანდიელმა მწვრთნელმა *ტეიტურ ტორდარსენმა* შეგირდები მსუბუქად დატვირთა, მერე კი საგანგებოდ „სარბიელისთვისაც" მოიცალა.

# ესტონელი ისლანდიელი თბილ ქვეყნებში

**— თბილისში უძლიერესი შემადგენლობით ჩამოხვედით?**

— სამწუხაროდ, ძირითადის სამი ფეხბურთელი გვაკლია. ორი, ლენსალუ და პერუხო, ტრავმების გამო ტალინში დავტოვეთ, კაპიტან მარტინ რეიმს კი პირადი პრობლემები აწუხებს.

**— იცით, რომ საქართველოს ნაკრები მეორე შემადგენლობით გაგეჯიბრებათ?**

— ამას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, არაფერს ცვლის. ვიცი, მწვრთნელმა გუცაევმა შედარებით ახალგაზრდა, გამოუცდელ ფეხბურთელებს რომ დაუძახა. თუმცა დარწმუნებული ვარ, ისინიც, ვინც ჩვენს წინააღმდეგ ითამაშებენ, ძირითადის ფეხბურთელებზე ბევრად სუსტები არ იქნებიან. საქართველოში ხომ თითქმის ყოველი მესამე ფეხბურთელია. არც ეს ნაკრები იქნება იმდენად უსუსური, თავი უკვე გამარჯვებულებად ჩავთვალოთ.

**— ისე თქვით, რომ თბილისში თქვენთვის მთავარი შედეგია და არა გუნდის შეთამაშება.**

— ფეხბურთში მთავარი კარგი შედეგია. ყველა გუნდი ამისთვის თამაშობს და იბრძვის, ჩვენც მათ შორის ვართ. თუ მოვიგეთ, ძალიან მესიამოვნება. გუნდის შეთამაშება კი თავისთავად მოხდება, გამოცდილებას მივიღებთ. ქართველებთან თამაში ხომ მუდამ საინტერესო და ჭკუის სასწავლებელია.

**— ტურნეს ჩასატარებლად მაინცდამაინც კავკასია რატომ აირჩიეთ? პირველ მატჩსაც მაინცდამაინც თბილისში რატომ ატარებთ?**

— ჯერ ერთი იმიტომ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალარჩეულ ხელმძღვანელობასთან ესტონელ კოლეგებს საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვთ. მეორეც, თქვენთან სხვანაირი კლიმატია, ტალინში ვიყინებით, საქართველოში — თბილა. პირველად თბილისში თამაში კი სამგზავროდ უფრო მოსახერხებელია. ჯე[...] ერევანში რომ ჩავსულიყავით, მერე განჯა[...] და იქიდან გწვეოდით, ამით გზას გავე[...]რძელებდით.

**— ადრე ნორვეგიაში მუშაობდი[...] ესტონეთის ნაკრების მწვრთნელა[...] ამის შემდეგ დაინიშნეთ. შეიძლებ[...] ვთქვათ, რომ თქვენი ახლანდელ[...] შეგირდებიც ნორვეგიელთა სტილ[...] თამაშობენ?**

— ნორვეგიის ნაკრები დაცვით ფე[...]ბურთს თამაშობს, 4-5-1 განლაგებით. კ[...]ნტრშეტევებზე უყვართ მეტოქის გამო[...]რა. ჩვენ კი ქართველებთან თამაშისას [...]რიშებზე ვიფიქრებთ, თავდასხმას დიდ [...]რადღებას მივაქცევთ. თუმცა დაცვა თ[...] დავივიწყეთ, კარში რამდენიც უნდა და[...]რტყათ, მაინც წავაგებთ.

**— ხვალინდელ მატჩზე არ გვე[...]თხებით. ზოგადად თქვით, ჰგავს ე[...]ტონური და ნორვეგიული ფეხბუ[...]რთი ერთმანეთს?**

— ორივე ძალისმიერ ფეხბურთს თამ[...]შობს. მსგავსება, ალბათ, მხოლოდ ეს არი[...] ნორვეგია კონტრშეტევებზე თამაშობს-მ[...]თქი, გითხარით, ჩვენ კი ბურთის გორებ[...] ვამჯობინებთ.

**— ლატვია — საქართველოს მ[...]ტჩი თუ იხილეთ?**

— არა, მხოლოდ ტელევიზორში ვნახ[...] ქართველი ფეხბურთელების თამაში, ის[...] ფრაგმენტები. დიდი წარმოდგენა არ მაქ[...] თქვენს ფეხბურთზე. მხოლოდ თბილის[...] „დინამოს" ვიცნობ ზერელედ, მას რამდ[...]ნჯერმე უთამაშია „ფლორას" წინააღმდ[...]

**— ნაკლი რა შენიშნეთ ქართვე[...] ფეხბურთელებს?**

— სხვისი ნაკლი არ მაინტერესებს. მთ[...]ვარი საკუთარი გუნდია. მეტოქის შეცდ[...]მას თუ ელი, არაფერი გამოგივა. შენს[...] შენ უნდა მიაღწიაო.

**ძოგა ინასარიძ[...]**

# რა ინგლისი, რის ბრაზილია?!

ესტონეთის ეროვნული ნაკრები საშუალოზე მდარე კლასისა და მეტად მაღალი დისციპლინის გუნდია. ამ დასკვნის გაკეთება მათზე უშუალო დაკვირვებამ შეგვაძლებინა.

ეტონელები რომ დისციპლინას ხარკს უხდიან, ეს მწვრთნელის განკარგულებისადმი მათმა უსიტყვო მორჩილებამ გვაგრძნობინა. ერთი წამოსცდა მხოლოდ ტეიტურ ტორდარსენს — 17.30-ზე ავტობუსში ისხედითო და ამხელა ვაჟკაცებმაც წამიც კი არ გადააცილეს მწვრთნელის მიერ დანიშნულ დროს...

ეროვნულ სტადიონს კი მაინც დაგვიანებით, 18.15 საათზე ეწვივნენ ჩვენი სტუმრები და ცოტა არ იყოს, შეაშფოთეს კიდეც ნოემბრის სიცივეში მომლოდინე ქართული ამქარი.

ესტონელთაგან პირველები „პაიჭაძეზე" პრემიერლიგელი მარკ პოომი და მათი დელეგაციის ახალგაზრდა (თითქმის ნორჩი) მეთაური გამოჩნდნენ, მათ სარბიელი დაზვერეს და ხუთიოდე წუთში სტუმართა ავტობუსიც შემოგრიალდა.

ერთი შეხედვით კარგა მოსული და ტალიკ-ტალიკი ბიჭები ჩანდნენ ესტონელები, მაგრამ არც ისეთნი, ეს რა ვიხილეთო, რომ გვეფიქრა. ამათზე მაღლებიც გვინახავს თბილისში (თუნდაც ის გადაბმული ალბანელი არწივები გავიხსენოთ, ქართულ სარეცლებზე რომ ვერ გაიმართნენ), მაგრამ თუკი ჩვენს ნაკრებს შევადარებთ, აქ უდავოდ გვჩაგრავენ ბალტიისპირელები.

რაც შეეხება ფეხბურთს, უნდა ვაჯობოთ სტუმრებს. კი, მართალია, ესტონელები მორბენალი ბიჭები ჩანან, მწვრთნელიც შვედეთში ლიცენზიამიღებული ისლანდიელი ჰყავთ, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფშიც შოტლანდიას გაუგორეს ფრე, მაგრამ ფეხბურთთან, უფრო სწორად, ბურთთან, მაინც მწყრალად უნდა იყვნენ. არ ვიცით, იქნებ ვარჯიშზე დაგვიმალეს რაიმე სტუმრებმა (როგორც ჩვენმა მორაგბეებმა რუმინელებს), მაგრამ თუ ესლა არიან და მეტი არაფერი, ვაავა შოტლანდიელებს, ამათ, ერთხელ ვერ და ერთხელაც ძლივს რომ მოუგეს.

ახლა ვარჯიშზე რაც გვეცა თვალში. მეკარეები თავიდანვე მოკვეთეს ძირითადი ჯგუფიდან და ისინი უმეტესად კარში იდგნენ. ფეხბურთელებმა კი მოედანზე განაგრძეს მწვრთნელის პატივისცემა და ქართულად რომ ვთქვათ, პირდაფჩენილები უგდებდნენ ყურს მის მრავალრიცხოვან დარიგებებს.

ტორდარსენი მცოდნე კაცი ჩანს. მცირეოდენი მოთელვისა და ბურთთან გათამაშების შემდეგ დამრიგებელმა შეგირდები ჩრდილოეთ კარის საჯარიმოსთან განალაგა, კარებში პოომი გაამწესა და თავდამსხმელებს კარზე შეტევა, ხოლო მცველებს კარის დაცვა უბრძანა. კარგა ხანს უტევდა „ლოტოს" ფირმის ნაცრისფერ კოსტუმებში გამოწყობილი თავდასხმა აგურისფერ მცველებს, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ნირიც ვერ შეუხარეს კლდესავით მდგომთ.

ამ უკბილო და არშემდგარი ღლაბუცის შემდეგ ტორდარსენმა ცენტრში „ფიშკები" დაალაგებინა (ძელების ნაცვლად) და „დირდირიც" გაჩაღდა. გოლის გატანა აქაც გაუჭირდათ ბალტიისპირელებს, ბრძოლა და სირბილი კი, გაგიხარიათ, ვიხილეთ.

მერე რვას ათი წუთი დააკლდა და ესტონელი ფეხბურთელებიც ერთიმეორი[...] მიყოლებით გაიკრიფნენ მოედნიდან. ი[...]დენად უინტერესო გამოდგა მათი „პაიჭა[...]ძესთან" გაცნობა, რომ ჩვენი ეროვნულ[...] ნაკრების ფეხბურთელებმა ბოლომდე არ[...] კი უცქირეს. ჩვენ, ჟურნალისტებსაც მო[...]ვალეობა გვაიძულებდა, თორემ...

ისე, ამათ რომ ჰკითხო, ინგლისურ ფე[...]ხბურთს თამაშობენ, თქვენ კი ევროპელ[...] ბრაზილიელები ხართო — მოგვესიყვარ[...]ლა ესტონელთა თავდამსხმელი ზელინსკ[...]

ვნახოთ, აღდგომა და ხვალეო. ვინ ვ[...] არის, დღეს გამოჩნდება. ჩვენ კი ეს ვიცი[...] — არც ერთია ინგლისი, არც მეორე ბრა[...]ზილია, ორივენი „ფიფა — კოკა-კოლას" რ[...]იტინგის შუაწელის ბინადარნი არიან.

**კონსტანტინე გოგიშვილ[...]**


ესტონელებმა ეროვნული სტადიონის გაზონი გუშინვე გათელ[...]

საქართველოს ჩემპიონატი 14 ტური

# გურიას ჯვარი სწერია...

საქართველოს მეათე ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის დასასრულამდე ერთი ტური დარჩა, თუმცა შემოდგომის ჩემპიონის ვინაობა, შეიძლება ითქვას, გარკვეულია. ერთი ქართული კინოფილმის პერსონაჟისა არ იყოს, სახელს და გვარს არ დავასახელებთ, ისედაც ყველამ იცის, ვინ გახდება ჩემპიონი.

მეთოთხმეტე ტური უდავოდ გამოირჩა წინამორბედი ცამეტი ტურისგან (ვაი, რომ ცუდით) — ლანჩხუთის „გურია“ თბილისის „მერანთან“ მატჩზე არ გამოცხადდა. ეს მეათე ეროვნულის პირველი ჩაშლილი შეხვედრაა, ერთხელ თასზეც იუარეს გურულებმა ბურთაობა (ბათუმის „კოლეჯს“ რომ არ გაუგორეს ბურთი) და ახლა თუ დებულების თანახმად ვიმსჯელებთ... ფუ, ფუჭ, გურულებს ჯვარი სწერიათ...

ამ ტურში ცენტრალურად „დინამო“ — „დილას“ მატჩი კი შევრაცხეთ, მაგრამ მიმოხილვას მაინც „გორდა“ — „ტორპედოთი“ დავიწყებთ. ჯერ ერთი, ამ შეხვედრაში ყველაზე მეტი, რვა გოლი გავიდა, მეორეც, „გორდამ“ სარეკორდოდ წააგო შინ და მესამეც, აქამდე ულვთოდ ნაქები რუსთაველი დაცვა შერცხვა და მერე როგორ... „ტორპედომ“ გაივაკა, გოლი თითქმის ყველამ გაიტანა, ვისაც კი არ დაეზარა და ჯანაშიამ წლეულს პირველ ჰეთ-ტრიქსაც გამოჰკრა ხელი. აი, თურმე რა შეძლებიათ მაძღარ იმერლებს. ყველაზე კარგი კი ის გახლდათ, რომ ორი ან სამი ბურთის გატანის შემდეგ არ დადგნენ ქუთაისელები, ბოლომდე. მოსკოვის სპარტაკულად დაბდღვნეს მეტოქე.

მარადმა ჩემპიონმა მეზობელი გორელები დაიურვა. მათ პირველივე ტაიმში მოათავეს ახალგაზრდა „დილას“ დაბრიყვება. ველოდით კიდეც ამგვარ რამეს — გორის გუნდმა საკმაო მარაგი შეიქმნა პირველ წრეში და აწი თავს რომ არ მოიკლავს, ნათელია. აშვეთიამ მორიგი გაიტანა, მუჯირმა ძველებურად გაიბრწყინა, რატიც გამოჩნდა. ერთი სიტყვით, წინადადება მაქვს — ახლავე ხომ არ დავაჯილდოვოთ დინამოელები?

კოლხმა ჰამლეტ წივწივაძემ, ეროვნულ ჩემპიონატს მე-8000 გოლი უპატაკა. ისე, ინტრიგა კი სდევდა საიუბილეო გოლს — შვიდი თამაშიდან უსწრაფესი გახლებოდა მე-8000 და წივწივაძემ მოახერხა, სხვებზე ადრე გამოელო ხელი. „ვიტ ჯორჯია“ ღირსეულად კი ეთამაშა მასპინძლებს, მაგრამ მაინც დამარცხდა. ამისთვის ფოთელებს მხოლოდ საიუბილეო გოლი არ ეყოფოდათ, შალამბერიძის შორეულმა ჯარიმამ მოჰბანათ პირი და აკი გაიმარჯვეს.

სამტრედიელებმა პირველი ფრე მიითვალეს სტუმრად. მათ ბოლო ხანს მოძლიერებულ და იშტაზე მოსულ თსუ-ს აართვეს ორი ქულა. თითქმის მთელი მეორე ტაიმი იგებდნენ იმერლები, მხოლოდ შეხვედრის ბოლოს შეძლო აქტიურმა დეკანოსიძემ გაქვითვა და ამ გოლით გაბელიას გუნდმა მორიგი მარცხი აიცილა. ისე, სტუდენტებს მოგებაც შეეძლოთ, პენალტი ვერ გაიტანა როსტიაშვილმა, თორემ...

„ლოკომოტივმა“ კი გული გააწყალა. თავისი ნულოვანი ფრებით ქებათა ქება რკინიგზელთა დაცვას და ქოქოლა მათ თავდასხმას. ისე, ერთი კია საკითხავი, როგორ ახერხებს მახარაძე და კომპანია, „დინამოსაც“ 0:0 ეთამაშოს და „სიონსაც“ (მიუხედავად ბოლნისელთა მიმართ პატივისცემისა, „დინამო“ მაინც სხვა დონეა, განა არა?!). ვფიქრობდით, გოგოლაძის მისვლით მიითვლიდნენ გოლებს ლოკომოტიველები, მაგრამ... ვითომ „არა შეჯდა მწყერი ხესა“?

ისევ გაიხარა გაიოზ დარსაძემ. მეშვიდე წუთზე დაწინაურებულ „სამგურალს“ „არსენალი“ ზირაქიშვილის გოლმა წამოაწია. მერეც არაერთხელ შეეძლოთ გე-გეჭკორის შეგირდებს ბურთის გატანა, მაგრამ ხაჩირაშვილის კარი იმ დღეს მოჯადოებულივით იყო — მინიმუმ სამჯერ გადარჩა აშკარა გოლისგან. ერთითაც ალინიშნა ეს შეხვედრა — მეტისმეტს ცდილობდა წყალტუბოელი ფორვარდი ფაიქიძე, წარამარა ეცემოდა მასპინძელთა საჯარიმოში, ერთი სიტყვით, იმდენს და იმგვარად სიმულიანტობდა, იტალიელი გაბრიელე ორიალი მონაგონია. ეგ იყო, მსაჯი ვერ აცდუნა იმერელმა. ის კი არა, გუნთაძეზე სუსტი ნერვების მქონე მსაჯი, ყვითელსაც აუფრიალებდა ფაიქიძეს.

დაბოლოს, ტურის სენსაცია, მეგრული მოულოდნელობა და ელარჯივით გემრიელი ლუკმა — „ოდიშის“ მიერ ბათუმელთა დამარცხება. არადა, გვეგონა, ოდიშარები თამაშზე საერთოდ უარს იტყოდნენ. აფერუმ მათ ვაჟკაცობას. სოსო ჭედიას ასე თუ ისე იღბლიანი მწვრთნელი უნდა ვუწოდოთ, კარგაძალი ქულები მოაგროვეს ზუგდიდელებმა მისი თავკაცობით და „ბათუმსაც“ ყოველი მეორე როდი უგებს ჩვენში ეგზომ ღირსეულად. კი, აკლდათ მეგრელებს იშტაც, ხალისიც, კლასიც (ეს უკანასკნელი არც სხვებს გადასდით თავს), მაგრამ მათ ჰქონდათ მთავარი — მონდომება და ჯიგარი, ამიტომ უფრო ოდიშართა საქციელი დასაფასებელი და სამაგალითო. სხვა მხრივ, ზუგდიდელებს ძველებურად უჭირთ (ეს ისე, ცნობისთვის).

ტურში (არასრულში) 22 გოლი გავიდა, რუსთაველებს რომ პირი არ შეერცხვინათ, მასპინძლები დაუმარცხებლად ჩაატარებდნენ მორიგ შაბათ-კვირას (უიკენდი არაქართულია). 13 ყვითელი „აანთეს“ მსაჯებმა, არავინ გაუძევებიათ, თითქოსდა უხინჯოდ, ბრძოლაში ჩაიარა ტურმა, მაგრამ ერთი გვტკენს გულს და ძალიანაც... ისევ იმათზე, გურულებზე გიარაკებთ, რა...

ამბობენ, სადისციპლინო კომისია კიდევ იმსჯელებს „გურიას“ შესახებ. მკაცრად? ლოიალურად? არავინ იცის... თუმცა რაკი დებულება არად ჩააგდეს და ლანჩხუთელებს ოდენ 0:3 წაგება აკმარეს, ჩანს საქმე აღარ გართულდება.

ეს კია, აფსუსია, „გურია“ დაიშალოს (ფუი ეშმაკს და გურულებს ჯვარი სწერიათ)...

**კონსტანტინე გოგიშვილი**



„მერან“ — „გურიას“ მსაჯებსა და დელეგატს ხელში სანახევროდ შევსებული ოქმილა შერჩათ

---

თბილისი
14 ნოემბერი
14 საათი
ისანი
1 000 (ტევადობა 5 000)

## არსენალი 1:1 სამგურალი

0:1 ჯანაშია (7), 1:1 ზირაქიშვილი (37)

არსენალი: აბაშიძე, ფირცხალავა, ჩიქოვანი, გველესიანი, ხოსროშვილი, ზირაქიშვილი, ლაცაბიძე, ყოლბაია, კორღალიძე (მ. მაისურაძე 75), კაკაშვილი (გემეზაშვილი 46), ტარიელაშვილი

*სათადარიგონი:* კუპატაძე, ქიქავა, გ. სულაძე, ამირიძე, ლომიძე

სამგურალი: ხაჩირაშვილი, დ. ჭელიძე, გ. თევზაძე, ლ. ქობულაძე, გ. ჯანელიძე, მ. ჯინჭარაძე (ღონღაძე 61), მახვილაძე, ძაგნიძე, დარსაძე (ი. ხაჭაპურიძე 46), თევდორაძე (ფაიქიძე 46), კ. ჯანაშია

*სათადარიგონი:* სტურუა, ჯავახაძე, ზ. ქუთათელაძე

გაფრთხილება: ხაჩირაშვილი (39), გემეზაშვილი (67), ჭელიძე (67), ჯანელიძე (68)

მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), ზ. მენთეშაშვილი, ზ. დოლიძე; მ. მალაღურაძე (ყველა თბილისი)

სფფ-ს დელეგატი: ვ. კოპალეიშვილი

---

თბილისი
15 ნოემბერი
14 საათი
ეროვნული
500 (ტევადობა 75 000)

## დინამო 4:0 დილა

1:0 მუჯირი (18), 2:0 ალექსიძე (37), 3:0 აშვეთია (45), 4:0 მუჯირი (48)

დინამო: სოლოლაშვილი, ჯელაძე, დიდავა, ლ. მიქაძე, ზ. არჩვაძე, ა. სახვაძე, კიკნაძე (კვარაცხელია 87), ალექსიძე, ცქიტიშვილი, დ. მუჯირი (რუხაძე 86), აშვეთია (გ. შენგელია 75)

*სათადარიგონი:* გვარამაძე, ქემოკლიძე, ი. მახარაძე

დილა: მდივანი, ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, გ. ჩიტაია, დ. მაისურაძე, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, კაიდარაშვილი, ბ. ჩიტაია, ნ. ახალკაცი (რ. ახალკაცი 55)

*სათადარიგონი:* თ. ილურიძე, არუთუნიანი, ლ. გოჩაშვილი, სულთანიშვილი

გაფრთხილება: ფეზუაშვილი (65)

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი), ს. კახიანი, ს. შალამბერიძე; ლ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი)

სფფ-ს დელეგატი: ბ. ქარქაშაძე

---

რუსთავი
15 ნოემბერი
14 საათი
ფოლადი
1 000 (ტევადობა 10 700)

## გორდა 1:7 ტორპედო

0:1 ჯანაშია (22), 0:2 იონანიძე (33), 0:3 ვაჩიბერაძე (69), 0:4 ქებაძე (73), 0:5 ჯანაშია (85), 1:5 სახვაძე (86), 1:6 ჯანაშია (89), 1:7 იმედაძე (90)

გორდა: მ. ქორიძე (მებურიშვილი 46), მჭედლიძე (ტარტარაშვილი 46), ბურნაძე, ბექაური, მ. სახვაძე, კილასონია (ჩუხუა 46), კედელაშვილი, ზირაქაძე, გაბელაია, ლ. ალადაშვილი, კ. ალადაშვილი

*სათადარიგონი:* ზ. ლაბაძე, კოპალიანი, ქოიავა, სულაშვილი

ტორპედო: ჭანტურია (მამარდაშვილი 76), ჩხაბერიძე, შეყრილაძე, მაღლაკელიძე, ქებაძე, ჩხეტიანი, თურმანიძე, კ. კვეტენაძე, ვაჩიბერაძე (მეგრელაძე 80), იონანიძე (იმედაძე 76), დ. ჯანაშია

*სათადარიგო:* ჩხაიძე

მსაჯები: გ. ასკაროლლი (ქარელი), ა. ორდენიძე (ონი), ზ. დოლიძე; ე. სილაგავა (ორივე თბილისი)

სფფ-ს დელეგატი: კ. ყრუაშვილი

---

მცხეთა
15 ნოემბერი
14 საათი
არმაზი
100 (ტევალობა 3 000)

## თსუ 1:1 იბერია

0:1 ვარდიაშვილი (58), 1:1 დეკანოსიძე (65)

როსტიაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (24)

თსუ: ბათიაშვილი, გ. ილურიძე, ზამთარაძე, კობიაშვილი, დეკანოსიძე, დ. ცომაია, კაკუბავა, მაღრაძე, წიტაიშვილი, ჭუმბურიძე (ბახტაძე 61), როსტიაშვილი

*სათადარიგონი:* გაბელია, ებრალიძე, ნინუა, ო. სულაძე, ბუკია, კ. სვანიძე

იბერია: გ. დოლიძე, მესიაჩენკო, გ. ლურსმანაშვილი, გეგეშიძე, ი. გიგიაძე, თოდუა, ჩომახიძე, ბრეგვაძე, ვ. გიგიაძე, ივეჩიანი (მუმლაძე 46), ვარდიაშვილი (გ. ჭელიძე 81)

*სათადარიგონი:* ჩაჩუა, გაბრიჭიძე, მიქელთაძე, სადილიანი, ლორთქიფანიძე

გაფრთხილება: მესიაჩენკო (3)

მსაჯები: თ. მაჭარაძე (ხონი), დ. თოდუა (მარტვილი), ვ. ჩოჩიშვილი; ზ. დარჩია (ორივე თბილისი)

სფფ-ს დელეგატი: უ. ფურცელაძე

---

ფოთი
15 ნოემბერი
14 საათი
ფაზისი
1500 (ტევადობა 6 500)

## კოლხეთი 2:1 ვიტ ჯორჯია

1:0 წივწივაძე (12), 2:0 შალამბერიძე (40), 2:1 მენთეშაშვილი (86)

კოლხეთი: ქვაჩახია, ქუტიძე, ტორჩინავა, გიორგობიანი, შალამბერიძე, ღალანიძე, გაბისონია, კალანდაძე, გვასალია, წივწივაძე, მ. ქობულაძე

*სათადარიგონი:* ჩემია, ბაჩილავა, დ. ნოზაძე, შავგულიძე, კრასოვსკი, გოროზია

ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ზ. მენთეშაშვილი, ჭოხონელიძე, ჯ. მუჯირი, ვ. ქუთათელაძე (ი. კაპანაძე 51), აბაზაძე, ზ. გვაზავა, ა. ბოკერია, დ. დოლიძე, ლ. ნოზაძე, მაზიაშვილი (გ. გვაზავა 72)

*სათადარიგონი:* გუგუნავა, ლამბაშიძე, თ. ბოკერია, ვ. გოჩაშვილი

გაფრთხილება: აბაზაძე (25)

მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე, ა. მეშკოვი (ორივე თბილისი), ლ. რაზმაძე (გორი); ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)

სფფ-ს დელეგატი: ა. დურსუნიში

---

თბილისი
16 ნოემბერი
14 საათი
სინათლე
2 000

## მერანი 3:0 გურია

---

ბოლნისი
15 ნოემბერი
14 საათი
თემურ სტეფანია
2 000 (ტევადობა 3 000)

## სიონი 0:0 ლოკომოტივი

სიონი: დალაქიშვილი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, მაზანაშვილი, მ. სამხარაძე, თ. სამხარაძე, მ. გოგოლაძე (ე. ჯაფარიძე 65), მოსეშვილი, ჯაგიდისი, გაგუა (ჩალაძე 63)

*სათადარიგონი:* სულთანოვი, დ. ჯაფარიძე, ქობელაშვილი, ძნელაძე

ლოკომოტივი: დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, ბაქრაძე, ბარნოვი, თარხნიშვილი, კ. გოგოლაძე, კოტორაშვილი, ნ. მინდიაშვილი, დაუშვილი (მარლიშვილი 46), დ. გოდერძიშვილი (ხორგუაშვილი 75), გ. ღუდუშაური (კაციაშვილი 57)

*სათადარიგონი:* დოლაბერიძე, ქვარცხავა, კ. მელქაძე, გიორგი ქორიძე

გაფრთხილება: ბაქრაძე (25), კ. გოგოლაძე (25), დ. გოდერძიშვილი (30)

მსაჯები: ა. შალამბერიძე, კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), კ. მესხი (ზუგდიდი); გ. მგელაძე (თბილისი)

სფფ-ს დელეგატი: მ. კობიაშვილი

---

ზუგდიდი
16 ნოემბერი
14 საათი
ცენტრალური
2 000 (ტევადობა 7 500)

## ოდიში 2:1 ბათუმი

0:1 აფხაზავა (41), 1:1 მარკოზია (68), 2:1 თოლორდავა (77)

ოდიში: ნაყოფია, ღურწკაია, ჯაბუა, კიპაროიძე, იოსავა, კ. კვეკვესკირი, ტაბაღუა (მებონია 86), კუტალია, მარკოზია, თოლორდავა (თოლორაია 88), აფაქიძე

*სათადარიგონი:* გოგია, ჯოჯუა, აკობია, გოგოხია

ბათუმი: მალაყმაძე, პაპიძე, აფხაზავა, სიჭინავა, კანტიძე, ვერემჩუკი, მ. მახარაძე, გადელია, მაჭუტაძე, ტუღუში, თორლაშვილი (ღლონტი 72)

*სათადარიგონი:* ფუტკარაძე, რუსია, ყულეჯიშვილი, რომანაძე, მჟავანაძე

გაფრთხილება: თორლაშვილი (64), კუტალია (78), თოლორდავა (81)

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი), ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე; მ. ჯულაყიძე (ყველა სამტრედია)

სფფ-ს დელეგატი: ბ. ქარქაშაძე

---

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 11 | აშვეთია | დინამო |
| | იონანიძე | ტორპედო |
| | წივწივაძე | კოლხეთი |
| 8 | კაიდარაშვილი | დილა |
| | ხომერიკი | დინამო |
| | დ. ჯანაშია | ტორპედო |
| 7 | მაჭუტაძე | ბათუმი |
| 6 | გვასალია | კოლხეთი |
| | ენდელაძე | ოდიში |
| | ზირაქიშვილი | არსენალი |
| | დ. მახარაძე | გურია |
| | მეგრელაძე | ტორპედო |
| | ტუღუში | ბათუმი |
| | ფაიქიძე | სამგურალი |
| | ჩომახიძე | იბერია |
| | გ. შენგელია | დინამო |
| 5 | ვ. გიგიაძე | იბერია |
| | კაკაშვილი | არსენალი |
| | ცქიტიშვილი | დინამო |

### სიმბოლური ნაკრები

ჰამლეტ წივწივაძე — კოლხეთი
დავით ჯანაშია — ტორპედო
რატი ალექსიძე — დინამო
დავით მუჯირი — დინამო
გიორგი კიკნაძე — დინამო
დავით ვარდიაშვილი — იბერია
ირაკლი მაღლაკელიძე — ტორპედო
მიხეილ ქობულაძე — კოლხეთი
გელა ლურსმანაშვილი — იბერია
თემურ ღურწკაია — ოდიში
ზურაბ ბათიაშვილი — თსუ

გუნდი ოდიში

მწვრთნელი სოსო ჭედია ოდიში

| № | ვ | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 დინამო (1) | 1 | 13 | 10 | 3 | 0 | 41:7 | 34 | 33 | 7 | 6 | 1 | 0 | 31:6 | 25 | 19 | 6 | 4 | 2 | 0 | 10:1 | 9 | 14 |
| 2 ტორპედო (4) | 2 | 14 | 10 | 2 | 2 | 38:14 | 24 | 32 | 6 | 5 | 1 | 0 | 20:5 | 15 | 16 | 8 | 5 | 1 | 2 | 18:9 | 9 | 16 |
| 3 კოლხეთი (3) | 3 | 13 | 8 | 2 | 3 | 31:17 | 14 | 26 | 8 | 7 | 1 | 0 | 24:6 | 18 | 22 | 5 | 1 | 1 | 3 | 7:11 | -4 | 4 |
| 4 ლოკომოტივი (6) | 5 | 14 | 5 | 9 | 0 | 15:5 | 10 | 24 | 6 | 2 | 4 | 0 | 5:1 | 4 | 10 | 8 | 3 | 5 | 0 | 10:4 | 6 | 14 |
| 5 ბათუმი (2) | 4 | 14 | 6 | 5 | 3 | 22:13 | 9 | 23 | 7 | 4 | 2 | 1 | 14:4 | 10 | 14 | 7 | 2 | 3 | 2 | 8:9 | -1 | 9 |
| 6 დილა (9) | 6 | 14 | 6 | 3 | 5 | 18:18 | 0 | 21 | 6 | 4 | 0 | 2 | 9:4 | 5 | 12 | 8 | 2 | 3 | 3 | 9:14 | -5 | 9 |
| 7 იბერია (დ) | 7 | 14 | 5 | 2 | 7 | 24:29 | -5 | 17 | 6 | 3 | 1 | 2 | 13:8 | 5 | 10 | 8 | 2 | 1 | 5 | 11:21 | -10 | 7 |
| 8 არსენალი (დ) | 8 | 14 | 4 | 5 | 5 | 18:24 | -6 | 17 | 7 | 1 | 4 | 2 | 10;11 | -1 | 7 | 7 | 3 | 1 | 3 | 8:13 | -5 | 10 |
| 9 ოდიში (5) | 11 | 14 | 5 | 1 | 8 | 12:24 | -12 | 16 | 8 | 3 | 1 | 4 | 8:13 | -5 | 10 | 6 | 2 | 0 | 4 | 4:11 | -7 | 6 |
| 10 მერანი (7) | 13 | 14 | 3 | 7 | 4 | 10:13 | -3 | 16 | 8 | 2 | 5 | 1 | 5:2 | 3 | 11 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:11 | -6 | 5 |
| 11 სიონი (13) | 9 | 14 | 4 | 3 | 7 | 15:28 | -13 | 15 | 8 | 3 | 3 | 2 | 11:9 | 2 | 12 | 6 | 1 | 0 | 5 | 4:19 | -15 | 3 |
| 12 სამგურალი (12) | 10 | 14 | 4 | 2 | 8 | 13:28 | -15 | 14 | 6 | 3 | 0 | 3 | 6:7 | -1 | 9 | 8 | 1 | 2 | 5 | 7:21 | -14 | 5 |
| 13 თსუ (8) | 14 | 14 | 3 | 4 | 7 | 13:19 | -6 | 13 | 8 | 1 | 2 | 5 | 9:14 | -5 | 5 | 6 | 2 | 2 | 2 | 4:5 | -1 | 8 |
| 14 გორდა (11) | 12 | 14 | 2 | 7 | 5 | 8:15 | -7 | 13 | 8 | 2 | 4 | 2 | 6:10 | -4 | 10 | 6 | 0 | 3 | 3 | 2:5 | -3 | 3 |
| 15 ვიტ ჯორჯია (10) | 15 | 14 | 4 | 2 | 8 | 14:17 | -3 | 11 | 6 | 2 | 0 | 4 | 8:9 | -1 | 6 | 8 | 2 | 2 | 4 | 6:8 | -2 | 8 |
| 16 გურია (14) | 16 | 14 | 3 | 1 | 10 | 14:35 | -21 | 10 | 6 | 3 | 0 | 3 | 9:9 | 0 | 9 | 8 | 0 | 1 | 7 | 5:26 | -21 | 1 |

(?) — ადგილი წინა ჩემპიონატში. # — ადგილი წინა ტურში ! — ვიტ ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა

## EURO 2000
### ჩვენი ჯგუფი

კოსოვოში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა ვითარებამ უეფა აიძულა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა ალბანეთსა და საბერძნეთს შორის უსაფრთხოების მოტივით გადაედო.

გადაწყვეტილება ევროპის ჩემპიონატის უეფასეულმა კომიტეტმა მიიღო. სწორედ იმ ორგანიზაციამ, რომელსაც გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი და უეფას ვიცე-პრეზიდენტი ეგიდიუს ბრაუნი თავკაცობს. მაშინ, ოქტომბრის პირველ რიცხვებში, გადაწყდა, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის შეხვედრა მეორე ჯგუფში ალბანეთისა და საბერძნეთის ნაკრებებს შორის მოგვიანებით გაიმართებოდა. რამდენიმე დღეში უეფას იმავე კომიტეტმა მატჩის თარიღიც შეარჩია — 18 ნოემბერი.

დღეს ალბანეთი საბერძნეთის ნაკრებს უმასპინძლებს. დღესვე ჩატარდება კიდევ ოთხი შესარჩევი მატჩი, მაგრამ ჩვენთვის პირველი თამაში რომ გაცილებით საინტერესოა, ამას თქმა არ უნდა.

# ალბანეთი — საბერძნეთი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი
მეორე ჯგუფი. ტირანა. „ქემალ სტაფა"

ტირანაში დღევანდელ შეხვედრას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. ამბობენ, „ქემალ სტაფას" სტადიონი პირთამდე გაივსებაო. ხალხი პრინციპული თამაშის მოლოდინშია და ღრმადაა დარწმუნებული, რომ საყვარელი გუნდი მეტოქეს დაამარცხებს.

ორიოდ დღის წინ, ნაკრებს ქვეყნის პრეზიდენტი რეჯეფ მეიდანი შეხვდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთქმულს — საბერძნეთთან დაპირისპირებას მთელი ქვეყანა მოუთმენლად ელის. პრეზიდენტთან მიღება რამდენიმე საათს გაგრძელდა, გამომშვიდობებისას კი ხელისუფლებამ გუნდს თანადგომა აღუთქვა. პრეზიდენტმა მეიდანმა ფეხბურთელებს განუცხადა, თქვენი ბერძნებთან გამარჯვება ერის გამარჯვება იქნება, დამშეული და გალატაკებული ქვეყნისთვის დიდი სტიმულიო.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გუნდი ბრწყინვალედაა მომზადებული. მწვრთნელი ასტრიდ ჰაფიზი არაფერს ერიდება და ინტერვიუებში თამამად აცხადებს, საბერძნეთის ნაკრებს დავამარცხებთო.

ყველა იმედიანად და რაც მთავარია, ჯანმრთელადაა. ჰაფიზი ფეხბურთელების ტრავმებს არ შეუწუხებია, რაც სასიხარულოა. მოთამაშეები მუხლჩაუხრელად ვარჯიშობენ და მატჩისთვის ემზადებიან.

ის, თუ ვინ ითამაშებს ბერძნების წინააღმდეგ, მხოლოდ მატჩის დროს გაირკვევა, თუმცაღა უკვე გამოჩნდა სავარაუდო სია. ძირითადი შემადგენლობა დაახლოებით ასეთი იქნება: ფოტო სტრაკოშა, ილირ შულკუ, რუდი ვატა, ერვინ ფაკაი, არიან ჯუმბა, ალტინ ჰაჯი, ბლედარ კოლა, ალბან ბუში, ალტინ რაკლი, იგლი ტარე, მაჰირ ჰალილი.



REUTERS

პრეზიდენტისა და ალბანეთის ნაკრების შეხვედრა. რეჯეფ მეიდანი ნაკრების ნახევარმცველ იგლი ტარეს ესალმება

ეს იმ ფეხბურთელთა ჩამონათვალია, რომლებიც სავარაუდოდ ქვეყნის ღირსებას დაიცავენ. თუმცა არაა გამორიცხული, ამ თერთმეტ ფეხბურთელს მაჰირ ჰალილი გამოაკლდეს. კანდიდატთაგან ყველაზე მეტად სწორედ მისი თამაში აღელვებთ გულშემატკივრებს.

ბერძნებთან მატჩში ვერ გაირჯებიან ალტინ ლალა, რომელსაც ორი გაფრთხილება აქვს და შეხვედრის გამოტოვება უწევს, ასევე ლუან პინარი — მას საქართველოსთან გაძევების გამო მისჯილი სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია ჯერაც არ დაუსრულებია. სხვათა შორის, მან ერთი შეხვედრა ნორვეგიელებთან უკვე გამოტოვა.

მატჩი ალბანეთის დროით სამ საათზე დაიწყება.

**მიქელე იანქუ**
**ტირანადან**
**საგანგებოდ „სარბიელისთვის"**

## EURO 2000
### ახალგაზრდული ჩემპიონატი

II ჯგუფი

**ალბანეთი 0:5 საბერძნეთი**

0:1 კარაგუნისი (19პ), 0:2, 0:3, 0:4, 0:5 ხუტოსი (24, 55, 74, 83)

გაძევება: სინა (ალბანეთი) — 21

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 9 |
| საბერძნეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 10:4 | 7 |
| საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ალბანეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:9 | 3 |
| ლატვია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| სლოვენია | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |



ნიკოს მახლასი ალბანელ გულშემატკივართან ერთად

ტირანაში ანგელ იორდანესკუ უკანასკნელად უხელმძღვანელებს საბერძნეთის ნაკრებს, მერე კი ათენის აეკ-ს გაწვრთნის. ბოლო ხანებში რუმინელ გენერალს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან ურთიერთობა უფრო და უფრო გაუჭირდა და გაცლა ამჯობინა. იორდანესკუს ნაკრებიდან წასვლა გარკვეულწილად იმიტაც გახლდათ გამოწვეული, რომ საბერძნეთის ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციაში შესარჩევ ტურნირში სლოვენიელებთან ფრე და საქართველოს დიდი ანგარიშით დამარცხება დამაკმაყოფილებელ შედეგად არ ცნეს.

ერთი სიტყვით, ტირანაში ანგელ იორდანესკუ ბოლოჯერ უხელმძღვანელებს ბერძნებს. იმედია, შედეგიანად.

გუნდში კარგი განწყობილებაა. ქართველთა დამარცხებამ ფეხბურთელებს თავდაჯერება გაუორკეცა და დაარწმუნა, რომ მათ ჯგუფის მოგება ძალუძთ. ალბანეთთან მატჩს სერიოზულად ეკიდებიან, თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ გამარჯვების ძალიან დიდი იმედი აქვთ.

. ნაკრები ალბანეთის დედაქალაქში ორშაბათს ჩაფრინდა, მეორე დღეს კი საკმაოდ დიდხანს ივარჯიშა.

ანგელ იორდანესკუმ ალბანეთში შემდეგი ფეხბურთელები იახლა: მეკარეები — ილიას ატმაციდისი (აეკ), ევსტრატიოს ელეფტეროპულოსი (ოლიმპიაკოსი); მცველები — ზისის ვოკოლოსი (პანათინაიკოსი), მიხალის კასაპისი (აეკ), იანის კალიცაკისი (აეკ), გრიგორის მავროგენიდისი (ოლიმპიაკოსი), ელიოს გეორგატოსი (ოლიმპიაკოსი), ნიკოს დაბიზასი (ნიუკასლი, ინგლისი), მარინოს უზუნიდისი (ლე ავრი, საფრანგეთი); ნახევარმცველები — სტელიოს მირკოსი (აეკ), კოსტას ფრანცესკოსი (პაოკ), თეოდოროს ზაგორაკისი (ლესტერი, ინგლისი), კოსტას კოსტანტინიდისი (პანათინაიკოსი), ილიას პურსანიდისი (ოლიმპიაკოსი), მილანის საპუნცისი (პანიონისი); თავდამსხმელები — ნიკოს მახლასი (ვიტესი, ჰოლანდია), დემის ნიკოლაიდისი (აეკ), იორგოს ანასტასიუ (ოფი), ნიკოს ლიმბეროპულოსი (პანათინაიკოსი), სტელიოს იანაკოპულოსი (ოლიმპიაკოსი).

**მანოს სტარამოპულოსი**
**ათენიდან**
**საგანგებოდ „სარბიელისთვის"**

# ფარაონებთან

ალბანეთისა და საბერძნეთის ნაკრებების გარდა ჩვენი ჯგუფიდან დღეს ნორვეგიის ეროვნული გუნდიც ითამაშებს, ოღონდ ამხანაგურად. სკანდინაველები აფრიკის ერთ-ერთ უძლიერეს ეგვიპტის ნაკრებს დაუპირისპირდებიან. გუნდის ახალმა თავკაცმა ნილს იოჰან სემბმა ეგვიპტელებთან სათამაშოდ ექსპერიმენტული შემადგენლობა შეკრიბა. კერძოდ, იმ ახალგაზრდა ფეხბურთელებს უხმო, რომლებმაც ევროპის სხვადასხვა კლუბებში გამოიჩინეს თავი. თავდასხმაში გამოცდილ ტორე ანდრე ფლოს სავარაუდოდ „ტოტენჰემ ჰოთსპურში" მოთამაშე სტეფან ივერსენი შეუწყვილდება. სრულიად შესაძლებელია, ჩვენი ჯგუფის ფავორიტებად შერაცხულ ნორვეგიელთა კარი ასევე ახალგაზრდა და მეტად პერსპექტიულმა „ევერტონში" მოთამაშე ტომას მირემ დაიცვას.

ივერსენისა და მირეს გარდა, რომლებსაც ნორვეგიის ნაკრების ღირსება აქამდე ერთხელ დაუცავთ, შესაძლოა დღეს მოედანზე ვიხილოთ 19 წლის დებიუტანტი, ოსლოს „ვალერენგას" თავდამსხმელი ჯონ კარეუ.

გაგაცნობთ ნორვეგიელთა შემადგენლობას:

— ფროდ გროდასი, ტომას მირე, ჰენინგ ბერგი, ანდრე ბერგდოლმო, ვეგარდ ჰეგემი, ერიკ ჰოფტუნი, ალფ-ინგე ჰაალანდი, კლაუს ლუნდეკვამი, დანიელ ბერგ ჰესტადი, ჯონ კარეუ, ტორე ანდრე ფლო, სტეფან ივერსენი, ტომი სვინდალ ლარსენი, კეტილ რეკდალი, პეტერ რუდი, სტალე სოლბაკენი, როარ სტრანდი.

## ფეხბურთის რუკასთან



ჩეხეთის ჩემპიონატის მე-13 ტური. ტეპლიცე — სლოვანი 4:0, ვიქტორია (ჟიჟკოვი) — ჰრადეც კრალოვე 1:0, იაბლონეცი — სპარტა 0:3, სლავია — სიგმა 4:0, ჩმელი — ოპავა 2:0, დუკლა — პეტრა დრნოვიცე 0:2, ბანიკი — კარვინა 0:0, ბობი ბრნო — ვიქტორია (პლზენი) 3:0. გათამაშებას 13 შეხვედრიდან 27 ქულით პრაღის „სპარტა" ლიდერობს. 12 თამაშიდან 27 ქულით მეორე ადგილზეა „ტეპლიცე", ხოლო ორი ქულით ნაკლები აქვს მესამე ადგილზე მყოფ „პეტრა დრნოვიცეს".

ავსტრალიელი მეკარის მარკ ბოზნიჩის გადაბირებას რამდენიმე კლუბი ცდილობს, მათ შორის ყველაზე მოწადინებული „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი ალექს ფერგიუსონია. ბირმინგემის „ასტონ ვილას" მეკარეს კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უთავდება და ვინაიდან მანჩესტერელთა დანიელი მეკარე პეტერ შმაიხელი „ოლდ ტრეფორდიდან" წასვლას აპირებს, ბოზნიჩის ხელში ჩასაგდებად მანჩესტერელები ამიტომაც აქტიურობენ. „ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს, ბოზნიჩი შევიძინოთ" — განაცხადა ფერგიუსონმა. სხვათა შორის, 90-იანი წლების დასაწყისში, როცა ბოზნიჩი ინგლისში კარიერას იწყებდა, მან რამდენჯერმე ითამაშა „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში, მაგრამ ძირითადში ვერ დაიმკვიდრა ადგილი და ბირმინგემში გადაბარგდა. ცნობისთვის: 26 წლის ავსტრალიელი მეკარის შეძენა იტალიურ „რომასაც" სწადია.

ესპანეთის „ატლეტიკოში" დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. კლუბი წლევანდელ სეზონში ძალიან ცუდად თამაშობს და მოლოდინს ოდნავაც ვერ ამართლებს. ბოლო ტურში „ატლეტიკო" „ვილიარეალმა" დაამარცხა და გუნდის მწვრთნელმა არიგო საკიმაც სათქმელი ბოლომდე თქვა. პრესკონფერენციაზე იტალიელი მწვრთნელი არავის მოერიდა და თითქმის ყველა ფეხბურთელი გაკიცხა. ესპანურ პრესაში უკლებლივ ყველაფერი დაიბეჭდა, მაგრამ თან ისიც ითქვა, შესაძლებელია, საკი თანამდებობასაც დაემშვიდობოსო.

გერმანიის ნაკრების ნახევარმცველმა კრისტიან ვიორნსმა, რომელიც ჰოლანდიელებთან ამხანაგური მატჩისთვის ემზადება, თანამემამულე ჟურნალისტებს განუცხადა, იქნებ პსჟ უახლოეს მომავალში დავტოვოო. სეზონის წინ ვიორნსს „ლევერკუზენიდან" გადაბარგდა პარიზულ კლუბში და იმედი ჰქონდა, რომ ძლიერ გუნდში მიდიოდა, მაგრამ შეცდა. პსჟ ახლა ქვეყნის ჩემპიონატში მერვე ადგილზეა და 17 ქულით ჩამორჩება ლიდერ მარსელის „ოლიმპიკს". ვიორნსის შეძენის სურვილი მიუნხენის „ბაიერნმაც" გამოთქვა. კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა კარლ ჰაინც რუმენიგემ განაცხადა, ვიორნსის თაობაზე პსჟ-ს უკვე შევეხმიანეთ და მათგან დადებითი პასუხის შემთხვევაში, ალბათ, შევიძენთ კიდეც ფეხბურთელსო. გავრცელდა ხმები, თითქოსდა თომას ჰელმერი „ბაიერნის" დატოვებას აპირებს და ვიორნსი მის შემცვლელად შეგულებიათო.

შვედი თავდამსხმელის ჰენრიკ ლარსონის გადაბირება ინგლისის პრემიერ-ლიგის კლუბ „შეფილდ უენსდეის" სურდა, მაგრამ გუნდის წარმომადგენელთა განცხადებით, ტრანსფერი, ალბათ, აღარ შედგება. ლარსონი ბოლო წლებია გლაზგოს „სელტიკში" თამაშობს და თან საკმაოდ შედეგიანად. რამდენიმე დღის წინ „სელტიკის" ხელმძღვანელმა კლუბის ბოლო წლების საუკეთესო ბომბარდირს ახალი, ძალიან სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა და ლარსონმაც შეფილდში წასვლას გლაზგოში დარჩენა ამჯობინა.

ესპანეთის ნაკრებს, რომელიც იტალიელებთან ამხანაგური შეხვედრისთვის ემზადება, მადრიდის „ატლეტიკოს" ნახევარმცველი ხორდი ლარდინი გამოაკლდა. ერთერთი შეხვედრის წინ მან ვარჯიშზე მუხლის ტრავმა მიიღო და უმალ ბარსელონას გაემგზავრა ექიმებთან შესამოწმებლად. ნაკრებში ლარდინი ესპანეთის ახალგაზრდული გუნდის ფეხბურთელმა ხოსე მარი რომერომ შეცვალა.

ბრაზილიის ჩემპიონატი. 22-ე ტური: ინტერნასიონალი — ბოტაფოგო 0:0; ვიტორია — კორინტიანსი 2:3; ფლამენგო — ამერიკა (ბელუ ორიზონტი) 2:0; პალმეირასი — პარანა 3:2; პორტუგეზა — ბრაგანტინო 3:1; სანტოსი — გოიასი 3:1; გუარანი-გრემიო 1:3; ამერიკა (ნატალი) — პონტე პრეტა 0:1; ატლეტიკო პარანაენსე — კრუზეირო 1:2; ატლეტიკო მინეირო — სპორტ რესიფე 1:0. ლიდერობს „კორინტიანსი" 43 ქულით, ერთი თამაშით ნაკლები აქვს 41-ქულიან „პალმეირასს". ასევე 41 ქულა, ოღონდ 22 თამაშიდან დააგროვა „სანტოსმა".

იტალიელმა თავდამსხმელმა ფაბრიციო რავანელიმ ტრავმა მიიღო და „მარსელს" უეფას თასის მერვედფინალში თანამემამულე „მონაკოსთან" პაექრობისას ვეღარაფრით დაეხმარება. თავად ფეხბურთელს იმედი აქვს, რომ მალე მომჯობინდება და ჩემპიონატში პარიზის პსჟ-ს წინააღმდეგ ითამაშებს, თუმცა იმაზე კი ძალიან სწყდება გული, რომ ევროტურნირებზე ვერ მოირგებს კლუბის მაისურს. ფაბრიციო რავანელის არყოფნა მარსელელთათვის მართლაც ძალიან დიდი დანაკლისია.

# დასაჯეს!

გუშინ უეფას შტაბ-ბინაში, სადისციპლინო კომისიის წარმომადგენლები შეიკრიბნენ, რათა სხვადასხვა სახის დარღვევებისთვის, მავანთათვის სასჯელი მიეზღოთ.

საკმაოდ სოლიდური თანხით, 140 ათასი შვეიცარიული ფრანკით (102 ათასი დოლარი) დაჯარიმდა უნგრეთის ფეხბურთის ფედერაცია. მიზეზი — 6 სექტემბერს, პორტუგალიის ნაკრებთან და 14 ოქტომბერს რუმინეთის ეროვნულ გუნდთან, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩებზე დასასწრები არალიცენზირებული ბილეთების გაყიდვა. უეფას სადისციპლინო კომიტეტმა უნგრელები დამატებითი 15 ათასი ფრანკით დააჯარიმა, რადგან მათ რუმინელების სათანადოდ მიღება და ოფიციალური შეხვედრისთვის მაღალ დონეზე მომზადება ვერ შეძლეს.

შერისხულთა სია უნგრელებით არ ამოწურულა — ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა ესპანეთის სუპერთასის მფლობელ „მალიორკას" ფეხბურთელი იოვან სტანკოვიჩს, რომელიც 22 ოქტომბერს, თასთა თასზე ბელგიურ „გენკთან" შეხვედრისას ნამეტანი უხეშობისთვის გააძევეს.

ხუთი მოთამაშე, მათ შორის პოლ ინსი და ინგლისის 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრების წევრი ჯოდი მორისი სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯნენ.

30 ათასი შვეიცარიული ფრანკის გადახდა მოუწევთ დანიურ „კოპენჰაგენს" და კვიპროსის „აპოლონს", ხოლო 20 ათასის ბერძნულ „ოლიმპიაკოსს"— მათ ცელქი გულშემატკივრები ჰყოლიათ.

**ამხანაგური მატჩი** 18 ნოემბერი. ინგლისი - ჩეხეთი

მეკარეები: პეტერ კოუბა (ვიქტორია ჟიჟკოვი), ლადისლავ მაიერი (რაპიდი, ავსტრია); მცველები: მარტინ კოტულეკი (სიგმა), ლუბოშ კოზელი (სლავია), ირჟი ნოვოტნი (სპარტა), ტომაშ ვოტავა (სპარტა), ტომაშ რეპკა (ფიორენტინა, იტალია); ნახევარმცველები: მიროსლავ ბარანეკი (სპარტა), რადეკ ბეიბლი (ატლეტიკო, ესპანეთი), პატრიკ ბერგერი (ლივერპული, ინგლისი), რადეკ ლატალი (შალკე 04, გერმანია), კარელ პობორსკი (ბენფიკა, პორტუგალია), რადეკ სლონიკი (ბანიკი), რომან ვოსანეკი (ლოკერენი, ბელგია), ირჟი ნემეცი (შალკე 04, გერმანია); თავდამსხმელები: პაველ კუკა (ნიურნბერგი, გერმანია), ვრასტისლავ ლოკვენცი (სპარტა), ვლადიმირ შმიცერი (ლანსი, საფრანგეთი)

# ოქროს მატჩი

## დინამო თბილისი 4
## ტორპედო მოსკოვი 1

ტაშკენტი 64

ეს ძალიან დიდი ხნის წინათ იყო
და ეს იყო შორეულ ქალაქში,
ძალიან ცუდ მინდორზე.

ახალ შელამებულზე ახდა ოცნება და იყო ზეიმი. ყველაფერი იყო ამ ზეიმში: ათწლეულების განმავლობაში გროვდებოდა სიხარული, დარდი, ოცნება და ტკივილი. გროვდებოდა, რათა ამოეხეთქა სწორედ იმ სალამოს, იმ შორეულ, ფეხბურთისთვის საკმაოდ ეგზოტიკურ ქალაქში.

არ იქნებოდა, არ ამოეხეთქა, გროვდებოდა და გროვდებოდა. მოსალოდნელი, აუცილებელი თანხვედრა ხასიათისა, პირობებისა, ცოდნისა და ამინდისაც კი. ეს ყველაფერი იმიტომ, რომ არცთუ ბედნიერი, არცთუ კმაყოფილი, არცთუ უდარდელი ქვეყნისთვის შობილიყო თარიღი — 1964 წლის 18 ნოემბერი.

თარილები ბევრი არ იყო, მათი შექმნა წარმოუდგენლად ძნელი რამ გახლდათ.

სამაგიეროდ, იყო მოვლენები, რომელთა გამოც ხმამაღლა არ ლაპარაკობდნენ. წლები გადიოდა და თურმე ეს თარილი ახლოვდებოდა.

18 ნოემბრის უკვდავყოფა არ იყო იოლი და მოსალოდნელი საქმე.

ყველაფერთან ერთად აქ ბედისწერაც მოქმედებდა.

და აღსრულდა, მოხერხდა, გამოვიდა — თბილისის „დინამო" პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

ადრეც ჰქონია ამის შანსი, მაგრამ მაშინ გზა გადაუკეტეს. ადრეც შეეძლო თასის მოგება, მაგრამ არ მოაგებინეს.

თბილისის „დინამოს" ადრეც ეკუთვნოდა დიდი გამარჯვება, მაგრამ სწორედ იმ წელიწადს. და სწორედ იმ სალამოს შეძლო უკვდავეყო თარილი, რომელიც არა და არ ნიშნავდა მხოლოდ ჩემპიონობას.

ეს ნიშნავდა იმას, რომ ასიათასობით ადამიანი, რადიოს მიჯაჭვული მთელი ქვეყანა, ბედნიერი იყო. ბედნიერება წამიერია. ისეთ ქვეყანაში, როგორიც მაშინ იყო, ამგვარ ბედნიერებას ბევრი ვერავინ აჩუქებდა ხა[illegible]ხს.

ეს შეეძლო მხოლოდ იმ თერთმეტ ახალგაზრდა კაცს.

იმათ, ვინც უკვდავყო დღე — 18 ნოემბერი, 1964.



ტაშკენტის „პახტაკორის" სტადიონი ოქროს მატჩის დაწყებამდე

# ეს იყო ტაშკენტში...

## რუბენისს ყველაფერი ახსოვს

*დრო გაჩერდა. გამარჯვებულთა შეძახილები. მოედნის ცენტრი. შავ სამოსში გამოწყობილ 30 წლის ახალგაზრდას ხელები აღუმართავს. ის ჩვენი კოლეგა, სპორტული ჟურნალისტია, იმავდროულად მსაჯი. 34 წლის წინათ, 18 ნოემბერს, ტაშკენტის „პახტაკორის" სტადიონზე ამ კაცის სინდისსა და პროფესიონალიზმზე იყო დამოკიდებული, ვინ გახდებოდა საჭოთა კავშირის ჩემპიონი.*

*სალამოს ცხრის ნახევარზე დრო გაჩერდა. მიკენის რუბენისმა ჩასტვიანა. თბილისის „დინამო" საბჭოთა კავშირის ჩემპიონია. ტაშკენტის სტადიონზე გამაყრუებელი ყიჟინაა. ქართველი ქომაგებიც მრავლად არიან. დიდი სიხარულის ჟამია.*

*მას შემდეგ 34 წელი გავიდა. მაშინ დაბადებულიც არ ვიყავი. მერე გავიგე, თბილისის „დინამო" თურმე 64-ში გამხრადა პირველად იმპერიის ჩემპიონი.*

*...და რიგა, სუსხიანი სალამო, ჭარმაგი, ჭაღარაგარეული, წელში გამართული სრული აღნაგობის კაცი, ხელები თეთრი ლაბადის ჯიბეებში ჩაუწყვია, იღიმის, თვალები უბრწყინავს.*

— აა, ძველი ამბები, ვერ წარმოიდგენთ, როგორ მსიამოვნებს 34 წლის წინანდელი მატჩის გახსენება.

**— მაშ, გაიხსენეთ...**

*მიკენის რუბენისმა საყელო გაისწორა. ლატვიურად რაღაც ჩაილაპარაკა. მხოლოდ „გრუზია" გავიგე წამოდი, აგერ დავსხდეთო, მითხრა და... გაჩერებული წამზომი ისევ აწიკწიკდა.*

*ვესაუბრებოდი კაცს, რომელსაც, როგორც მსმენია, 1964 წლის 18 ნოემბრის შემდეგ არაერთი საყვედური მიუღია საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელ დიდმოხელეთაგან.*

— არა, მატჩამდე არავის არაფერი უთქვამს. დამნიშნეს იმ უპრინციპულესი შეხვედრის მსაჯად და მორჩა, რაიმე დირექტივა ჩემთვის რომც მოეცათ, ყველამ კარგად იცოდა, შემსრულებელი არ ვიყავი, არავის ვემორჩილებოდი. პატიოსნად, კაცურად ვიმსაჯე. მატჩის მერე კი რამდენჯერმე დამირეკეს, რაღაცეებს მიედმოედნენ, მუქარასავით გამოუვიდათ. აშკარად ვიგრძენი, თბილისის „დინამოს" ჩემპიონობა მავანთ არ ესიამოვნათ. მგონი, მოსკოვიდან მელაპარკებოდნენ. თუმცა ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს, განვლილი ამბავია. ჩემი ნათქვამი შეიძლება ზოგს გულზე მოხვდეს, მე კი ძალიან არ მიყვარს, როცა ვინმე გამინაწყენდება. მოდით, დავანებოთ თავი მატჩისშემდგომ ამბებს და უფრო სასიამოვნოზე ვილაპარაკოთ.

**— მაშინ ის გაიხსენეთ, როგორი რეაქცია გქონდათ, როცა შეიტყვეთ, რომ „დინამო" — „ტორპედო" თქვენი განსასჯელი იქნებოდა.**

— ძალიან ვინერვიულე. ეს ამბავიც პირველად ტელეფონით მაცნობეს ფეხბურთის ფედერაციიდან. რას ამბობთ-მეთქი, გაოცებულმა მეტი ვერაფერი ვუპასუხე. გვარი აღარ მახსოვს, ვინ მელაპარაკებოდა, მაგრამ მასაც ეტყობოდა, რუბენისის დანიშვნას რომ არ ელოდა. რაღა დამრჩენოდა, ბედს შევეგუე. მიხაროდა და განვიცდიდი კიდეც. ჩემზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული, შეცდომის უფლება არ მქონდა. წარმოიდგინეთ, როგორია, როცა ჩემპიონის ვინაობა შენს სწორ ქმედებაზე ჰკიდია. ვაი და, უნებლიედ შეცდი? მერე? მაშინ სხვა დრო იყო, ისე გაგლანძღავდნენ, მთელი ცხოვრება გემახსოვრებოდა. არც იმას გამოვრიცხავ, ვინმე თავქარიანს ჩემი გასამართლების სურვილი გასჩენოდა.

**— მიუხედავად ყველაფრისა, დათანხმდით.**

— საქმე ერთი ორად გამიიოლდა, რადგანაც მატჩი ტაშკენტში ჩატარდა და არა თბილისში, ანაც მოსკოვში. ნეიტრალურ მინდორზე მსაჯობა ყოველთვის უკეთესია. სხვა თუ არაფერი, მეტოქე გუნდებს ქომაგთა მცირერიცხოვანი ამალა ახლავს. „ვაშა, ვაშა" — სკანდირებდა მთელი სტადიონი. ტრიბუნები გადაჭედილი იყო, სრული ანშლაგი. მე ყურადღებას არავინ მაქცევდა. იმ დღეს ტაშკენტი ზეიმობდა, რუბენისისთვის ვის ეცალა.

**— მატჩსაც მივადექით.**

— ძნელი თამაში იყო, ორივე გუნდში ვარსკვლავები თამაშობდნენ, არ გადავაჭარბებ — მესხი, იამანიძე, ბარქაია, მეტრეველი, დათუნაშვილი, ივანოვი, ვორონინი, შუსტიკოვი... მაპატიეთ, ყველას გვარს ამ წუთს ვერ ვიგონებ. ამდენი დიდი ფეხბურთელი ერთმანეთს რომ დაუპირისპირდება, აბა, როგორ გინდა მშვიდად იმსაჯო? ხომ გითხარით, ძალიან ვნერვიულობდი. ისეთ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი, მეტი არ შეიძლება. ნუ დაივიწყებთ, 1964-ში ახალგაზრდა, გამოუცდიელი ვიყავი.

**— ფინალში ნერვების მოთოკვა ყველას უჭირს. უხეში თამაში იყო?**

— მაშინ წითელ-ყვითელი ბარათები არ არსებობდა. ფეხბურთელის ვითომ დასჯის ერთადერთი საშუალება სიტყვიერი გაფრთხილება იყო. 1970 წლამდე ვმსაჯობდით ასე. ტაშკენტში კი, თქვენ წარმოიდგინეთ, ისეთი ფეხბურთი გაჩაღდა, შენიშვნაც არავისთვის მიმიცია. ვარსკვლავები რომ ვახსენე, ისინი განა მარტო თამაშით გამოირჩეოდნენ, არამედ შინაგანი კულტურითა და არისტოკრატიზმით. იშვიათად განმისჯია ისეთი კორექტული მატჩი, რო[illegible] რი[illegible] იმ დღეს.

**— თქვენზე ამბობენ, ქართველებისადმი სიმპათია ჰქონდაო...**

— რას ბრძანებთ. რომელი ნორმალური კაცი განეწყობოდა სხვაგვარად ქართველებისადმი? მეც მათ შორის ვარ. დიდ პატივს გცემთ, 1964 წლის 18 ნოემბრიდან დაწყებული ქართველებს ყველასგან გამოგარჩევთ. ოღონდ არ იფიქროთ, თითქოს ჩემი თქვენდამი განწყობა სათამაშო მინდორზეც გადამყვა. როცა ვმსაჯობდი, არავის ვარჩევდი, ჩემთვის ყველა ერთი იყო. ობიექტურობის გრძნობას მუდამ ვინარჩუნებდი, სამართლიანად ვაკეთებდი ჩემს საქმეს. ჯარიმის დროს ჯარიმას ვნიშნავდი, არც პენალტზე შემიკავებია თავი. ტაშკენტის მატჩის ფირი გექნებათ თბილისში და ნახეთ, ვერავინ დამწამებს, რუბენისმა ქართველი რუსისგან გამოარჩიაო. თვით ტორპედოელებმაც კი მადლობა გადამიხადეს კარგი მსაჯობისათვის, ქართველებზე აღარაფერს ვამბობ.

**— პენალტი რომ ახსენეთ, იმ ეპიზოდს გულისხმობდით, როცა მეტრეველმა მეოთხე გოლი გაიტანა?**

— თუნდაც. ასპროცენტიანი პენალტი იყო, ვერავინ მომედავება. თუ არ ვცდები, სარაევს მოხვდა ბურთი ხელზე. მახსოვს, მესხმა ჩააწოდა, მანამდე ორი-სამი მოსკოველი მცველი გააპამპულავა. წუთით ადრე კი იამანიძემ ტრავმა მიიღო.

**— „დინამოს" გამარჯვება ლოგიკური იყო ტაშკენტში?**

— თქვენებმა ფეხბურთით მოიგეს. განსაკუთრებით დამატებით დროში. იშვიათი ნებისყოფა გამოავლინეს ქართველებმა. ჯერ ის თქვით, როგორია ფინალს 0:1 რომ აგებ? შჩერბაკოვმა რომ კოტრიკაძეს გოლი გაუტანა, მეგონა, „ტორპედო" გაიმარჯვებდა. თურმე სად ყოფილხარ... დათუნაშვილმა როცა კუთხურიდან ჩააწოდა ბურთი და ანგარიში გათანაბრდა, სტადიონი ლამის დაინგრა. ამას დინამოელთა იერიშები მოჰყვა და მაშინ დავრწმუნდი, რომ ჩემპიონი „დინამო" გახდებოდა. ნეიტრალურ მოედანზე, უცხო კედლებში, გუნდი საჩემპიონო მატჩს აგებდეს, თანაც მოსკოვის „ტორპედოსთან" და რუსები ხუთი წუთის განმავლობაში ცენტრის ხაზს არ გადააშოროს, ამგვარი მხოლოდ უძლიერესთ შეუძლიათ.

მერე დამატებითი დრო თქვით. მესხი, მეტრეველი, ბარქაია, ამათ რომელი მცველი გაუძლებდა. „ტორპედოც" გატყდა, მეტი აღარ შეეძლოთ. „დინამომ" კი, ვინმეს ენა არ მოუბრუნდეს, ღირსეულად გაიმარჯვა. იმ სეზონში ქართველები უნდა ყოფილიყვნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები. სხვანაირად არ შეიძლებოდა, იმსახურებდნენ და იმიტომ.

**— ამბობენ, ივანოვის ტრავმამ მოაგებინა „დინამოს" თამაშიო.**

— ვალენტინ ივანოვი რომ უდიდესი ფეხბურთელი და „ტორპედოსთვის" დიდი ძალა იყო, ვფიქრობ, სადავო არაა. რა თქმა უნდა, მისმა ტრავმამ დაღი დაასვა მოსკოველთა თამაშს, მაგრამ არა მგონია, ამას დიდი გავლენა მოეხდინა მატჩის საბოლოო შედეგზე.

**— დინამოელთაგან ვის გამოყოფდით?**

— რაღა ვის, მთელი გუნდი ვარსკვლავთკრებული იყო. იმ დღეს აბსოლუტურად ყველამ კარგად ითამაშა, მაგრამ, მერწმუნეთ, ამ ხნის კაცი ვარ და მიხეილ მესხის დარი ფეხბურთელი ჯერ არ დაბადებულა. ის გენია იყო. მესხისნაირ თამაშს ვერასდროს ისწავლი, ამისათვის თანდაყოლილი ნიჭი უნდა გქონდეს. მახსოვს, მიშა რომ ბურთს მიიღებდა, მთელი სტადიონი ვულკანს ემსგავსებოდა. რუსებიც კი ქომაგობდნენ. ლამაზად თამაშობდა, ყველას მოხიბლულს ტოვებდა.



მატჩის არბიტრი მიკენის რუბენისი და თანამსაჯები ჰ. სტრენცისი (მარცხნივ) და მ. ტიტარენკო (მარჯვნივ)

*მიკენის რუბენისი ახლა ლატვიის ფეხბურთის ფედერაციაში მუშაობს. თანამდებობა აღარ დაუკონკრეტებია. თავაზიანად მოიბოდიშა, მეჩქარება, რიგაში ხომ საქართველოს ნაკრები სტუმრობსო, მარჯვენა გამომიწოდა და... დიდად გმადლობთ, დიდი სიხარული განმაცდევინეთ, ოქროს მატჩი და ოქროსავით ფეხბურთელები აჩუქეთ მთელს ქვეყანასო, თქვა მიკენის რუბენისმა, ჭაღარა შეისწორა, ლაბადის ჯიბეებში ჩაიწყო ხელები, ერთიც „გრუზია" გავიგე მისი მშობლიური ენაზე ნათქვამიდან და... წამზომიც შეჩერდა. თბილისის „დინამო" საბჭოთა კავშირის ჩემპიონია!*

კობა ინასარიძე

# ფეხბურთის ოლიმპი დაპყრობილია! ვაშა, მწვანე მინდვრის რაინდებს

**„დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 4:1 (0:0, 1:1)**

ტაშკენტი. „პახტაკორის" ცენტრალური სტადიონი. 18 ნოებერი.
„დინამო": კოტრიკაძე, ბ.სიჭინავა, რეხვიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ.-სიჭინავა, იამანიძე, დათუნაშვილი, ბარქაია, მეტრეველი, მესხი
„ტორპედო": შაპოვალენკო, ანდრეიუკი, შუსტიკოვი, მეშჩერიაკოვი, სარაევი, ვორონინი, მარუშკო, სოლოვიოვი, ივანოვი (სიდოროვი), შჩერბაკოვი, სერგეევი
მსაჯი: მიკენის რუბენისი (რიგა)

მატჩის დაწყების დრო ერთობ პირობით ხასიათს ატარებდა. თამაშამდე 3 საათით ადრე სტადიონისაკენ მიმავალი გზები ხალხის ულევი ნაკადით იყო სავსე. თვით სტადიონის ვეება ჯამი თამაშის მოლოდინში ღელავდა და ბობოქრობდა.

აი, აღმოსავლეთ ტრიბუნაზე გაიშალა ტრანსპარანტი „დინამო" — მხოლოდ გამარჯვება! თითქოს ამის საპასუხოდ, ჩრდილოეთ ტრიბუნაზე გამოფენილი ლოზუნგი „ტორპედოს" გამარჯვებას ნატრობდა. ამდაგვარი თვითნაკეთი პლაკატები, ლოზუნგები, საჰაერო ბუშტებზე გამობმული წარწერები, მართლაც სოკოებივით ამოდიოდნენ ხალხით გატენილი ტრიბუნებიდან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ძალთა შეფარდება აშკარად დინამოელთა მხარეზე იყო.

მატჩის დაწყებამდე საკმაო დრო იყო დარჩენილი, აჟიოტაჟმა კი უმაღლეს წერტილს მიაღწია. „პახტაკორის" სტადიონი ამ დღეს სანახევროდ ჩვენი „დინამოს" სტადიონს მოაგონებდა კაცს. თბილისის გუნდს ჰყავდა არა მარტო საქართველოდან ჩამოსული უამრავი (დაახლოებით 5 ათასამდე) ქომაგი, არამედ ძალიან ბევრი ადგილობრივი გულშემატკივარი.

მატჩის არბიტრს მიკენის რუბენისს და მის თანაშემწეებს მინდორზე ფოტორეპორტიორთა და კინოოპერატორთა ვეება არმია დახვდათ. გუნდების გამოჩენისას ტრიბუნებზე გრიგალივით გადაირა ტაშმა და შეძახილებმა. კაპიტნებმა გაითამაშეს მხარეები, მოთამაშეები მინდორზე განლაგდნენ და ბარქაიამ ბურთი თამაშში შეიყვანა.

ეს მატჩი - კონკრეტული მატჩი ოქროს მედლებისათვის, შეუძლებელია სპორტსმენთა ნერვულობის გარეშე დაწყებულიყო. და უნდა ითქვას, რომ თბილისელები ამ მხრივ მეტოქეებზე მეტად სცოდავდნენ. ამით უმალ ისარგებლეს გუნდის ლიდერებმა ივანოვმა და ვორონინმა. მრავალ ბრძოლებში გამობრძმედილმა ფეხბურთელებმა იგრძნეს, რომ სწორედ ახლა, ამ მღვრიე წყალში შეიძლებოდა „თევზის დაჭერა". მათ ტონი მისცეს თავიანთი გუნდის თამაშს და „ტორპედოც" მთელი ძალით ამოქმედდა.

ეს იყო უმძიმესი წუთები ჩვენი გუნდისთვის. ნახევარდაცვის ხაზი არ ჩანდა, უმოქმედობდა ორივე ფლანგი და მთელმა ტაიმმა ისე განვლო, რომ მესხს თამაშში თითქმის არც მიუღია მონაწილეობა. „დინამო" მოქმედებდა შებორკილად და უინიციატივოდ. ჩვენი სწრაფი, ცოცხალი, ტემპიანი გუნდი მოშვებულ ზამბარას ჰგავდა. მადლობა მცველებს, რომლებმაც თავს იდვეს ესოდენ მძიმე ტვირთი... მადლობა კოტრიკაძეს, რომელმაც ამ უაღრესად ნერვულ, მძიმე და მწვავე სიტუაციაში ბრწყინვალე ოსტატობა გამოამჟღავნა.

მაყურებლები ერთ ხანს გაოგნებულნი უყურებდნენ მინდორზე შექმნილ სურათს. თანდათან გამოჩნდნენ პირველი „მოღალატეები", რომლებმაც იწყეს დინამოელთა რიგების მიტოვება და „ტორპედოს" ბანაკში გადაბარგდნენ.

ძნელია ყველა იმ მომენტის აღწერა, რომელიც ჩვენს მოედანზე შეიქმნა, მაგრამ როცა 21-ე წუთზე შჩერბაკოვის თავით ძლიერად დარტყმული ბურთი კარისკენ წავიდა, ხსნა თითქოს აღარ იყო და სწორედ ამ დროს ბურთი ძელს მოხვდა. ამას მოჰყვა სერგეევის გარღვევა, შემდეგ სოლოვიოვის კარში დარტყმა, ვორონინის ღრმა რეიდი... ყველაფერი ეს ერთი ნაბიჯი იყო გოლამდე, მაგრამ, საბედნიეროდ, გოლმა სწორედ ეს ერთი ნაბიჯი ვერ გადადგა.

ერთადერთი დინამოსებრი გაელვება მოხდა მე-40 წუთზე, როცა მეტრეველმა სწრაფი დრიბლინგით ჩამოიტოვა სარაევი, კარის გასწვრივ ჩააწოდა ისე, რომ ბურთის გატანა შეეძლო ბარქაიასაც, დათუნაშვილსაც და მესხსაც, მაგრამ ვერც ერთმა ამ ჩაწოდებას ვერ მიუსწრო.

შესვენების შემდეგ „ტორპედო" კვლავ იერიშს იერიშზე ახორციელებს. და აი, 56-ე წუთზე მოსკოველებმა საწადელს მიაღწიეს. ენერგიული შჩერბაკოვი ოთხ მეტოქესთან ბრძოლაში დაეუფლა ბურთს და ძლიერი დარტყმით გაგზავნა იგი თბილისელთა კარის დაბალ კუთხეში 1:0 .

ვინ იფიქრებდა, რომ ამ მძიმე ვითარებაში დინამოელები შეძლებდნენ თამაშის სადავეების ხელში აღებას და მატჩის მსვლელობაში გარდატეხის შეტანას. მაგრამ სწორედ ასე მოხდა: მიღებულმა ბურთმა თითქოს ხელ-ფეხი შეუხსნა ჩვენს ნახევარდაცვას და ფორვარდებს. მოშვებული ზამბარა დაიჭიმა და შემდეგ ... აფეთქდა. ამ აფეთქების ნაკადები ტალღასავით დაიძრა ტორპედოელთა კარისკენ. მეტოქე დაიბნა. იგი არ მოელოდა ამ არნახულ შტურმს, რომელიც წამდაუწუმ აწყდებოდა დაცვის ზღუდეებს.

საპასუხო გოლი გატანილ იქნა 72-ე წუთზე უშუალოდ კუთხურიდან დათუნაშვილის მიერ. იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ კუთხურიდან გატანილი ბურთი შემთხვევითიაო. მაგრამ მატჩის ამ მონაკვეთისთვის თბილისელთა მარჯვენა გარემარბმა სამჯერ ზედიზედ ჩამოაწოდა კუთხური და სამივეჯერ „ტორპედოს" კარი სასწაულით გადარჩა გოლს. ყველა აღნიშნულ შემთხვევაში შაპოვალენკო და მისი მცველები ბურთის მოგერიების შემდეგ პანიკური შიშით შეპყრობილი ეყარნენ კარის ხაზზე.

აქ დაიწყო თბილისელთა ნამდვილი თამაში, ისეთი, მეგობრებო, როგორიც თქვენ ხშირად გინახავთ მშობლიურ სტადიონზე. დინამოელთა ნახვას არაფერი სჯობდა. სწორედ ამ დროს თქვა თავისი სიტყვა შეტევის დიდოსტატმა მიხეილ მესხმა, რომელმაც სრული დეზორგანიზაცია შეიტანა მეტოქის დაცვის რიგებში. მთელი ძალით ამოქმედდა გუნდის ხერხემალი - ნახევარდაცვა და მეტრეველი, რომელიც თავიდანვე მაქსიმალური ძალით თამაშობდა. ყოველივე ამას დაემატა ივანოვის გასვლა და ისევე როგორც თბილისელები გადაურჩნენ პირველ ტაიმს, მოსკოველები გადაურჩნენ მეორეს.

დინამოელთა თამაშის უდიდესმა ემოციურობამ და ესთეტიურმა ზეგავლენამ ტრიბუნებზე ყველა „მოღალატე" შემოაბრუნა და ნეიტრალურ მაყურებელთა საკმაო დიდი ნაწილი ჩვენს ბანაკში გადმოიბირა.

... დამთავრდა პირველობა, ჩემპიონი კი არ იყო. დამთავრდა ოქროს მატჩის ძირითადი დრო, გამარჯვებული კი არ ჩანდა. ყველაფერი თავიდან უნდა დაწყებულიყო და რუბენისმა გუნდები ისევ სათამაშოდ მოიხმო. კვლავ მხარეთა გათამაშება და როგორც დასაწყისში, ბურთი ამჯერადაც ბარქაიამ შეიყვანა თამაშში, მაგრამ ახლა ბარქაიაც და მისი მეგობრებიც სულ სხვა ძალას წარმოადგენდნენ.

მიმდინარეობდა თამაშის 92-ე წუთი. მესხი თავისი ფლანგიდან ცენტრისაკენ დაიძრა, მას ფეხდაფეხ „ტორპედოს" მცველთა მთელი ამალა მისდევდა. გარემარბმა მიაღწია ცენტრს და ბურთი მარჯვნივ გადააწოდა, იქ, სადაც ტყვიასავით მოჰქროდა დათუნაშვილი. ეს იყო უშესანიშნავესი გოლი! დათუნაშვილმა დაარტყა ისე რომ ბურთი მოხვდა ბადეს და შურდულივით გამოვარდა უკან.



აღმოსავლეთ ტრიბუნაზე გაიშალა ტრანსპარანტი „დინამო" — მხოლოდ გამარჯვება!

მინდორზე იგივე ხდებოდა, რაც ტრიბუნებზე. თბილისელები ზეიმობდნენ წარმატებას, დათუნაშვილი მოექცა თავისი მეგობრების ისეთ მარწუხებში, რომ ცენტრამდე ძლივს მიაღწია. დინამოელებმა იგრძნეს გამარჯვება, რომ მათ ველარაფერი აღუდგებოდა წინ. „ტორპედოს" ხსნის უმძიმესი მისია ითავა დაუღალავმა და



ოქროს მატჩი დაიწყო! ბარქაია ბურთისკენ მიეშურება

შესანიშნავმა ვორონინმა. სად არ ნახავდით მას, მინდვრის რომელ კუთხეში არ იბრძოდა თავგამეტებით თანამედროვე ფეხბურთის ეს უბრწყინვალესი ოსტატი. მაგრამ რას გააწყობდა ვორონინი ან მთელი მისი გუნდი, როცა ფრთაშესხმული დინამოელები ნიაღვარივით ანგრევდნენ „ტორპედოს" დაცვის ყველა ჯებირს.

მატჩის აპოთეოზი იყო მესამე ტაიმის ბოლო წუთი. გიორგი სიჭინავას გადაცემის შემდეგ, „ტორპედოს" მარჯვენა მცველი წამით შეცდა. ასეთ შეცდომას მესხი აბა ვის აპატიებდა? მან ჩაიგდო ბურთი და, გაიჭრა წინ... შაპოვალენკო ამ მომენტში მეკარედ აღარ ვარგოდა 3:1. გამარჯვება ერთბაშად ვიგრძენით ჩვენ, ტრიბუნებზე მსხდომებმა, ქართული ფეხბურთის ამ დიდი ტრიუმფის უშუალო მოწმეებმა, ჩვენ, რომლებმაც საკუთარი თვალით ვიხილეთ, თუ როგორ იმარჯვა თბილისის „დინამომ" ამ დიდი სეზონის დიდ მატჩში.

და აი, როცა მეოთხე ტაიმის პირველ წუთზე მსაჯმა რუბენისმა სავსებით სამართლიანად შეაჩერა თამაში მას შემდეგ, რაც სარაევმა ხელით დაიჭირა მესხის მიერ ცენტრში ჩაწოდებული ბურთი და პენალტი დანიშნა, ჩვენ უკვე ფეხზე ამდგარნი ვესალმებოდით საბჭოთა კავშირის ახალ ჩემპიონს - თბილისის „დინამოს". მეტრეველმა უნაკლოდ შეასრულა 11-მეტრიანი დარტყმა და ანგარიში გახდა 4:1 ჩვენს სასარგებლოდ. ეს უკვე საკმარისზე მეტი იყო, მაგრამ „ტორპედო" კიდევ ერთ გოლს გადაურჩა ბეწვზე, როცა 112-ე წუთზე ბურთი ორჯერ ზედიზედ მოხვდა კარის ძელს. მატჩი დამთავრდა. ვის შეეძლო ამ დაუვიწყარ წუთებში დაეოკებინა აღმაფრენა... დინამოელები ერთმანეთს ეხვეოდნენ, კოცნიდნენ, ტრიბუნები გულწრფელად, ალტაცებით იზიარებდნენ ბრძოლაგადახდილი და ვალმოხდილი ჩვენი სახელოვანი ფეხბურთელების უზომო სიხარულს. ფოტორეპორტიორთა და კინოოპერატორთა არმია კვლავ დაეუფლა მინდორს... მორბოდნენ თაიგულებით, სიხარულით... ტრიბუნებზე ავარდა მაშხალები, აინთო ჩირაღდნები. სიხარული, დიდი სიხარული სუფევდა უზბეკეთის დედაქალაქის სტადიონზე. ფეხბურთელები და გულშემატკივრები ვზეიმობდით იმ დაუვიწყარ წუთებს, ოქროს მატჩი ოქროს მედლების ბრწყინვალებად რომ გადააქცია.

დამთავრდა მატჩი, მაგრამ ტრიბუნებზე ვნებათა ღელვა არ დამცხრალა და როცა სტადიონის დიქტორმა მაყურებელს აუწყა საბჭოთა კავშირის 1964 წლის ჩემპიონის დაჯილდოების ამბავი, კვლავ ახალი ძალით იგრიალა ტაშმა. ცენტრალური ტრიბუნის წინ მწკრივად იდგა ორი გუნდი: ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი. თბილისის „დინამო" და მოსკოვის „ტორპედო". საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. მოშკარკინმა თბილისის „დინამოს" მოთამაშეებს გადასცა საკავშირო სპორტკავშირის თასი და პირველი ხარისხის დიპლომი. პირველი ხარისხის დიპლომები გადაეცათ: გუნდის უფროსს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ა. ღოღობერიძეს, გუნდის უფროს მწვრთნელს, საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელსა და სპორტის დამსახურებულ ოსტატს გ. კაჩალინს, მწვრთნელს, სპორტის ოსტატს ა. კოტრიკაძეს, აგრეთვე, ს. კოტრიკაძეს, ბ. სიჭინავას, გ. პეტრიაშვილს, ჯ. ზეინკლიშვილს, გ. ცხოვრებოვს, შ. იამანიძეს, ს. მეტრეველს, ა. აფშევს, ვ. ბარქაიას, გ. სიჭინავას, მ. მესხს, ი. დათუნაშვილს და ვ. რეხვიაშვილს. მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელები დაჯილდოვდნენ მეორე ხარისხის დიპლომებით.

ტრიბუნებზე კვლავ იგრიალა ტაშმა, როდესაც გამარჯვებულმა გუნდმა საპატიო წრე შემოხაზა სტადიონზე, ჩვენმა ფეხბურთელებმა ხელში აიტაცეს გუნდის უფროსი მწვრთნელი გავრილ კაჩალინი და ერთხანს ასეთი „უცნაური მარშით" იარეს. დინამოელები ბამბის ბუჩქებით ხელში, უზბეკური ეროვნული ჭრელი ქუდებით თავდამშვენებული ტოვებენ სარბიელს. „პახტაკორის" ცენტრალური სტადიონი კი თითქოს იწვოდა — თბილისელმა გულშემატკივრებმა ტრადიციული ჩირაღდნებით წერტილი დაუსვეს ამ დიდებულ სანახაობას.

მ. ძაძამიძე
ბ. ქორქია
(ჩვენი სპეც. კორ.)
ტაშკენტი
ღელო, ხუთშაბათი,
19 ნოემბერი, 1964 წელი



დათუნაშვილის ჩაწოდებული ყოველი კუთხური ტორპედოელთათვის ავის მომასწავებელი იყო



ბოლო, მეოთხე გოლი ტორპედოელთა კარში სლავა მეტრეველის დარტყმული თერთმეტმეტრიანიდან გავიდა

# სეზონის აპოთეოზი

სწორედ თამაშის დასაწყისისთვის სტადიონს სავსე მთვარე წამოადგა თავს, მრგვალი, როგორც მედალი. უკეთეს დეკორაციას, ამ მატჩისთვის ვერც კი წარმოიდგენდი. მედალი. როგორი რომელს? თამაშის მსვლელობისას მთვარე სულ მაღლა-მაღლა იწევდა. ამით თითქოს ახსენებდა იქ მყოფთ, რომ მედლის ფასი ყოველწუთს იზრდებოდა.

ცნობილი ამბავია, რომ გუნდების ძალა ყველაზე ობიექტურად ორწრიან ტურნირში ვლინდება. ასეთ შემთხვევაში ობიექტურობა და სიზუსტე ჭეშმარიტად ფარმაცევტულია. მაგრამ ამ სეზონში ტურნირის სასწორმა ორი თანაბარი ძალის გუნდი იტვირთა და ახლა შეიდი თვის ნაჯაფარს მოკლე, საათნახევრიანი გამოცდა ელოდა. მოკლე? არა, ამ მატჩს ნამდვილად ვერ დაარქმევ მოკლეს. ის, ჩვენდა გასაკვირად, ძალიან დიდხანს გაგრძელდა და წარმოგვიდგა როგორც დიდი საფეხბურთო სანახაობა — სეზონის აპოთეოზი.

საცქერი ბევრი იყო. თუ ჩემპიონობის ბედის ერთ დამატებით მატჩში გადაწყვეტის შესახებ ვილაპარაკებთ, აშკარაა, რომ წლევანდელმა მატჩმა გაამართლა. ამ მატჩს არ წარმართავდა არც შემთხვევითობა და არც ბრმა გარემოებათა წყება. თამაშს ქმნიდა დიდი ოსტატობა და გონება. და თუ ქვემოთ შეცდომებზე, თუნდაც სერიოზულ, გადამწყვეტ შეცდომებზე ვილაპარაკებ, მხოლოდ იმის გათვალისწინებით, რომ ტოლ მეტოქეთა შეხვედრაში ის იმარჯვებს, ვინც მოწინააღმდეგეს შეცდომას აიძულებს.

თამაში კი არ დაიწყო, არამედ, თითქოს იფეთქა. სიჩქარის მომატება საჭირო არ შეიქნა, რადგან ის თავიდანვე მაღალი იყო. უკვე მეორე წუთზე ტორპედოელთა ტემპიან შეტევას გოლი მოჰყვა — ვორონინმა კარგად გაიყვანა შჩერბაკოვი, მაგრამ სოლოვიოვი თამაშგარეში ჩარჩენილიყო და თანამსაჯმაც ალამი ასწია. წამების შემდეგ ბარქაიამ სულ ცოტა დააგვიანა და ტორპედოელთა მეკარე შაპოვალენკომ დაასწრო.

ტორპედოელები სწრაფადვე პასუხობენ შეტევის სერიით. მარჯვნიდან ვორონინი კარგად აწვდის ივანოვს. ის თოთხმეტი მეტრიდან ურტყამს და კარს აცილებს. და თუმცა დებიუტი ძალიან ბასრი გამოდგა და ორივე გუნდი შეტევაზე იყო დაგეშილი, ტორპედოელებმა მაინც უფრო მოახერხეს თავიანთი ინიციატივის წარმოჩენა. ისინი მაღალი ტემპის შენარჩუნებას ახერხებენ და გრძელი პასებით ამარაგებენ თავიანთ თავდამსხმელებს. ეს გადაცემები ყოველთვის ზუსტი არ არის, მაგრამ სამხრეთელთა დაცვას ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს.

თბილისელები თავიანთი კომბინაციური თამაშის აწყობას ცდილობენ. ამ თამაშის საფუძველი ზუსტი, საზრიანი პასია. მაგრამ ფორვარდები პასიურობენ — კართან ზურგით დგანან და გახსნა უჭირთ. ეს ერთგვარად სტატიკური ფეხბურთი წარმატებას ვერ მოგიტანს. თუმცა, ასეთ მდგომარეობაშიც ტორპედოელთა კართან გარკვეული წნეხი ჩანს.

ალბათ ყველაზე ლამაზი და სახიფათო მომენტი 20-ე წუთზე იყო, როცა წინ გაჭრილმა ანდრეიუკმა საჯარიმოს შუაგულში ჩააწოდა ბურთი, საიდანაც შჩერბაკოვმა მოხდენილად გაგზავნა კარისკენ, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა. პასუხად, სწრაფი კონტრშეტევა და იამანიძე ზემოდან აცილებს კარს ბურთს.

თამაშის პირველი წუთები სრულიად საკმარისი შეიქნა იმისთვის, რომ კაცს დაენახა თუ რა გზებით შეეცდებიან გუნდები გამარჯვებას. არცერთ მათგანს არ გადაუხვევია თავისი თამაშისთვის, არ უღალატია ტაქტიკისთვის. გუნდებმა არ ისურვეს დაცვის შემტევთა ხარჯზე გაძლიერება და უტეხად ეძიებდნენ თავიანთი თამაშის საუკეთესო ვარიანტებს შეტევაში. ეს არც იყო გასაკვირი — ჩვენ კარგად ვიცით, რომ ორივე გუნდის თამაშის არსი შეტევაა.

მოხდებოდა, რომ რომელიმე გუნდი საკუთარ საჯარიმოს მიეჯაჭვებოდა, მაგრამ ეს მეტად ხანმოკლე ეპიზოდები იყო. ასეთ სიტუაციაში ორივეს იზიდავდა ოპერატიული სივრცის საჩქაროდ დაპყრობის წყურვილი.

ერთი სიტყვით, ჩემპიონატის ფინალურ გამოცდას ტორპედოელები და თბილისელები შეეგებნენ დარწმუნებულნი იმაში, რომ თამაშის ერთადერთი სწორი გზა ისაა, რომელსაც მთელი ჩემპიონატია მიუყვებიან.

ასეთი აზარტული და ალალად შემტევი თამაშის შემხედვარე მაყურებელი აბობოქრდა და „შაიბუ, შაიბუს" ძახილს მოჰყვა. სამხრეთულ ტაშკენტამდეც კი ჩაუღწევია ჰოკეის ქომაგთა ამ შეძახილს.

სახიფათო მომენტები კი ერთმანეთს ცვლიდნენ. აი, საჯარიმოში სერგეევის დაეჯახა ბ. სიჭინავა და მსაჯმა თავისუფალი დანიშნა. მაგრამ ტორპედოელებს სიზუსტე ღალატობთ, ივანოვის პასს ადრესატი ვერ უპოვნია.

ტაიმის ბოლოსკენ თბილისელები უფრო სახიფათონი არიან. მეტრეველი რამდენჯერმე გადის თავის ფრთაზე და სიმწვავეს მატებს თავისი გუნდის შეტევას. აი, მან მარცხნივ, მესხისკენ გაჭრა ბურთი. მეკარე საწინააღმდეგო კუთხის დაფარვას ცდილობს. მესხი კი, არ ურტყამს და კვლავ მარჯვნივ აბრუნებს ბურთს. ორიოდ წამით კარი ცარიელია, მაგრამ დარტყმულ ბურთს მცველი ხვდება.

შესვენებაზე გუნდები ნულოვანი ანგარიშით გავიდნენ.

მეორე ტაიმიც ორმხრივი, მწვავე თამაშით დაიწყო. თანაც, ტორპედოელებმა კვლავ სცადეს მთელი მოედნის დაპყრობა. აი, ვორონინის დარტყმას გაჭირვებით იგერიებს კოტრიკაძე, ბურთს სერგეევი უსწრებს, მაგრამ სუსტად ურტყამს.

თბილისელები თამაშის გარდატეხას ცდილობენ. შეტევებში მათი მარჯვენა მცველი ბ. სიჭინავას ერთვება ხოლმე, მაგრამ სათამაშო უპირატესობას მაინც ტორპედოელები ფლობენ. თუმცა, მეკარის შეცდომა კინაღამ გოლად უჯდებათ — შაპოვალენკო ბურთს სცდება და კარს მეშერიაკოვი გადაარჩენს, რომელიც ბარქაიას ფეხიდან აგდებს ბურთს კუთხურში.

55-ე წუთი. ტორპედოელებმა თბილისელთა საჯარიმოში ჩაჰკიდეს ბურთი, რეხვიაშვილი თავით იგერიებს, მაგრამ ცდება და იმის ნაცვლად, რომ მარჯვნივ გადააგდოს, ცენტრისკენ ურტყამს. იქ კი მცველის ზურგსუკნიდან სხლტება შჩერბაკოვი, რომელიც არც თუ ძლიერად, მაგრამ ძალიან ზუსტად გზავნის ბურთს შორეულ კუთხეში.

1:0 — წინ „ტორპედოა".

ეშველება კი საქმეს? სტატისტიკა გვამცნობს, რომ გუნდი, რომელიც მეორე ტაიმში გახსნის ანგარიშს უმრავლეს შემთხვევაში იმარჯვებს კიდეც. მაგრამ აქ წუთებში წყდება არა რაღაც, არამედ ოქროს მედლების ბედი. აქ რიგით თამაშს არ თამაშობენ. ნუთუ ასეთი მატჩი ვერ გააქარწყლებს სტატისტიკურ დასკვნებს?

ამ კითხვას სწრაფად გაეცა პასუხი. ამჯერად, მოპასუხე იყო საფეხბურთო ტექნიკა. თბილისელები სავსებით ბუნებრივად გადავიდნენ ხანგრძლივ შტურმზე.

შეტევა. კვლავ შეტევა. სამხრეთელთა შტურმის შედეგი კუთხურების სერია იყო. ჯერ ზედიზედ სამი, შემდეგ კიდევ ერთი, და ეს მეოთხე გადამწყვეტი გამოდგა. ამ კუთხურს დათუნაშვილი აწვდიდა 71-ე წუთზე. შაპოვალენკომ სწორი პოზიცია დაიჭირა იმ შემთხვევისთვის, თუ დათუნაშვილი ბურთს ჩაჰკიდებდა. მაგრამ დათუნაშვილმა ძალიან ეფექტურად, ოსტატურად მოჭრა ბურთი და ისიც, ჩახვეული ტრაექტორიით ასცდა ყველას და ჩაეშვა კარში.

გატანილი გოლის შემდეგ თბილისელებმა უფრო ფართო ფრონტით შეუტიეს, სწრაფი გარღვევებით დატანჯეს ტორპედოელები. სავარაუდოა, რომ ამ იღბლიანმა დარტყმამ მათ ხელ-ფეხი გაუხსნა და თავიანთი თამაში აპოვნინა.

თამაში კვლავ თანაბარია. მხოლოდ მატჩის მიწურულს ტორპედოელები თავზე ხელს იღებენ და ცდილობენ შეხვედრის ბედის ძირითად დროში გადაწყვეტას. უკანასკნელ წუთზე ისინი ორჯერ ურტყამენ კარგი პოზიციებიდან. ჯერ სოლოვიოვს კარგად გაჰყავს მარუშკო, მეორედ კი თავად ურტყამს კარში, მაგრამ ორჯერვე არაზუსტად.

ასე დამთავრდა მატჩი — 1:1 ფრე.

ამ შედეგით არა მხოლოდ თამაშის კანონზომიერება გამოიხატებოდა, არამედ სამართლიანობაც. ყველასთვის ცხადი იყო, რომ ერთმანეთის პირისპირ იდგნენ ღირსეული მოწინააღმდეგენი, ჩემპიონატის ლიდერები.

სამაგიეროდ იყო სხვა კითხვა: რომელ მათგანს აქვს თადარიგში დამატებითი ძალა, მუხტი, რომელიც აფეთქდება და საჭირო ორბიტაზე გაიყვანს გუნდს?

დამატებითი დროის დასაწყისს მაყურებელი არ გაუცრუებია. გაირკვა, რომ გუნდებს საწვავი შემოუნახავთ. მაგრამ ამჯერად, კვანძი სწრაფად გაიხსნა. მესხი, რომელსაც მთელი მატჩის განმავლობაში არ შეუცვლია პოზიცია, მოულოდნელად გაიჭრა შუაგულისკენ, დაცვის რიგი არია და მარჯვნივ გაჭრა ბურთი. თითქოს გამოიცნო რომ სწორედ ამ მხრიდან მოიჩქაროდა დათუნაშვილი. და მან გამოიცნო. დათუნაშვილმა მოძრავ ბურთს დაარტყა. იმის მიუხედავად, რომ კუთხე საკმაოდ მახვილი გახლდათ, ეს ბურთი აუღებელი იყო. 2:1 თბილისელები იგებენ.

ტორპედოელები უკანმოუხედავად მიიწევენ წინ. ვორონინი ძალიან ძლიერად ურტყამს. ბურთი ვილაცას ხვდება ფეხში, მიმართულებას იცვლის მაგრამ მაინც კარისკენ მიფრინავს. კოტრიკაძე იგერიებს ამ ვერაგ ბურთს და მეორე ნახტომით ფეხიდან აცლის ბურთს სიდოროვს. გუნდისათვის ამ მძიმე წუთს, როცა დაშავებული ვ. ივანოვი კარგახნის გასულია მოედნიდან, შეტევის ლიდერის ტვირთს ვორონინი იკიდებს ზურგზე. აი, მას კარგი პასით გაჰყავს სერგეევი, მაგრამ ეს უკანასკნელი აცილებს.

102-ე წუთი. მარცხენა ფრთაზე მესხი ანდრეიუკს ებრძვის. თითქოს სახიფათოც არაფერია — მცველი ბურთს აკონტროლებს. მაგრამ მოულოდნელად ის დუნდება და მესხი მეკარესთან პირისპირაა. თბილისელი ახლო მანძილიდან ურტყამს შორეულ კუთხეში. ურტყამს ზუსტად და აუღელვებლად. ანგარიში 3:1-ია.

ტაბლოზე კი ერთხელაც შეიცვალა ციფრი. მესხის მორიგი გარღვევა, პასი და სარაევი ხელით აჩერებს ბურთს საჯარიმოში.

თერთმეტმეტრიანს მეტრეველი ასრულებს — 4:1.

თუმც, თბილისელთა ამ გამარჯვებას გარეგნული იერი სათასო აქვს, მაგრამ ასეთია ტურნირის რეგლამენტი. ტორპედოელებს ვერაფერს უსაყვედურებ. ისინი ახალ ჩემპიონთა ღირსეული მეტოქენი იყვნენ და თუმცალა წააგეს, მაინც კარგი თამაშით დაგვამახსოვრეს თავი.

უნდა ითქვას, რომ ეს ურთულესი თამაში უნაკლოდ ჩაატარა მსაჯმა მ. რუბენისმა.

**ლევ ფილატოვი**

(„სოვეტსკი სპორტის"
სპეც. კორესპონდენტი)





დაუვიწყარი მატჩი... დაუვიწყარი მესხი...
დაუვიწყარი „მესხის ფინტი"...



მოსკოველთა ნახევარი გუნდი კედელში ჩამდგარი ხიფათის აცილებას ცდილობს

**დინამო (თბილისი) — ტორპედო (მოსკოვი) 4:1 (0:0, 1:1 3:0)**

ტაშკენტი. სტადიონი „პახტაკორი". 18 ნოემბერი. ელექტროგანათება. დარი, +18 გრადუსი. 70 ათასი მაყურებელი
მსაჯი მ. რუბენისი, თანამსაჯები: ჰ. სტრენცისი და მ. ტიტარენკო (სამივე რიგიდან)

**დინამო:**

კოტრიკაძე
ბ. სიჭინავა რეხვიაშვილი ზეინკლიშვილი ცხოვრებოვი
გ. სიჭინავა იამანიძე
დათუნაშვილი ბარქაია მეტრეველი მესხი

**ტორპედო:**

შაპოვალენკო
ანდრეიუკი მეშერიაკოვი შუსტიკოვი სარაევი
ვორონინი მარუშკო
სოლოვიოვი ივანოვი (სიდოროვი 63) შჩერბაკოვი სერგეევი

სოვეტსკი სპორტი, ხუთშაბათი, 19 ნოემბერი, 1964 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელის არქივიდან



საბჭოთა კავშირის ახალი ჩემპიონების პირველი მიმლოცველები ტაშკენტელები იყვნენ

# მატჩისშემდგომი შენიშვნები

### ტაქტიკა

**ნ. მოროზოვი**
**(სპორტის დამსახურებული ოსტატი)**

თბილისის დინამოელთა და ავტოქარხნელთა ტაქტიკური კრედო ცნობილია. ორივე კოლექტივი ძალათა კლასიკური განლაგების მოყვარულია და ოთხი მცველითა და ამდენივე თავდამსხმელით თამაშობს. მაგრამ გუშინდელ მატჩში გარკვეული ტაქტიკური თავისებურებები შეიმჩნეოდა. ამ თავისებურებებმა კი გავლენა იქონია შედეგზე.

ავტოქარხნელებს თავდასხმაში არ ჰყავდათ ტანდემი, ანუ ერთმანეთთან მთელი მატჩის განმავლობაში დაკავშირებული ორი თავდამსხმელი. ივანოვი და შჩერბაკოვი ასეთ ტანდემს ვერ ქმნიდნენ, რადგან ავტოქარხნელთა კაპიტანი ოდნავ უკან მოქმედებდა. ამგვარი ტანდემი ვერ ჩამოაყალიბა შჩერბაკოვის ფლანგებზე გადაადგილებამაც.

ამის საპირისპიროდ თბილისელთა შეტევაში სხვა სურათი იყო. მართალია, ჩვეული ტანდემი მეტრეველი-ბარქაია დაიშალა, მაგრამ მარჯვენა ფლანგზე შეიქმნა ახალი, მეტრეველი-დათუნაშვილი. გარკვეულწილად, ეს იმპროვიზაცია იყო. მეტრეველი ფრთაზე ინაცვლებდა, რათა შუსტიკოვი სისწრაფით დაეჯაბნა, ეს კი საქმეს უადვილებდა დათუნაშვილს.

დაცვა არ იყო ამ თამაშის მთავარი გმირი. პირველი როლები თავდამსხმელებს ერგოთ. თბილისელთა დაცვა ჩვეულ სტილში მოქმედებდა. ტორპედოელთა განაპირა მცველები სარაევი და ანდრეიუკი კი ცენტრალურ მცველთა დაზღვევას ცდილობდნენ, რითაც საქმეს უადვილებდნენ დათუნაშვილს და მესხს. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა დამატებით დროში.

ვთვლი, რომ ნახევარდაცვის ხაზები თანაბარი ძალისა იყო. მოედნის შუაგულში არ რჩებოდა უკონტროლო ზონები.

და უკანასკნელი თუკი დინამოელებმა შეძლეს მანევრული შეტევის შენარჩუნება, ტორპედოელებმა დაკარგეს იგი ივანოვის გასვლის შემდეგ. მათი თავდამსხმელები დაქსაქსულად მოქმედებდნენ.

### ტექნიკა

**ვ. მოშკარინი**
**(სპორტის დამსახურებული ოსტატი)**

თანამედროვე ფეხბურთის ტექნიკა საუცხოოდ და ფართო ასორტიმენტით იყო წარმოდგენილი ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩში. ორივე გუნდმა გვიჩვენა, რომ ტექნიკურად საუცხოოდ არიან მზად. ჩვენ არ გვინახავს მხოლოდ მოკლე გადაცემები, რომლებიც ასე ხშირია ჩვენს ჩემპიონატში. გრძელი და საშუალო, დიაგონალური და გამჭოლი გადაცემები ერთმანეთს ცვლიდა. ისეთი ელემენტი, როგორიცაა ბურთის გაჩერება, გამოიყენებოდა ძალიან რაციონალურად და შეიცავდა ტაქტიკურ აზრს. სულ ბოლო წუთებამდე ფეხბურთელთა დაღლილობას არ უმოქმედია მათ ტექნიკურ არსენალზე. სასიხარულოა, რომ ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ტექნიკური ილეთები გამოიყენებოდა სწრაფი გადაადგილებისას, ანუ ისე, როგორც ამას აკეთებენ თანამედროვეობის საუკეთესო გუნდები.

ფეხბურთელები წარმატებით ურტყამდნენ შემობრუნებით, ასევე მაკრატელას, კარგად თამაშობდნენ თავით. პირველ ტაიმში შჩერბაკოვის ძალიან კარგად შესრულებული თავური ძელს მოხვდა. დამატებით დროში კი ასეთივე დარტყმებით გაიბრწყინეს მეტრეველმა და მესხმა.

ერთი სიტყვით, ჩვენ ვიხილეთ კარგი თანამედროვე ტექნიკა და კარგი დარტყმები.

### ფიზიკური მომზადება

**ვ. დუბინინი**
**(სპორტის დამსახურებული ოსტატი)**

კარგი ფიზიკური მზადყოფნის გარეშე ჩემპიონობისთვის ვერ იბრძოლებ. როგორ გამოვლინდა ეს კომპონენტი გადამწყვეტ მატჩში? მცირე უპირატესობას ავტოქარხნელებს მივანიჭებდი. ისინი უფრო სწრაფები იყვნენ. განსაკუთრებით, პირველ 45 წუთს და თბილისელებზე ენერგიულნი ჩანდნენ. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ მომენტში თბილისელთა სიზანტე მათი ნერვული შებოჭილობის ბრალი იყო. მხოლოდ საპასუხო გოლის შემდეგ გამოჩნდა, რომ მათ გვარიანი ფიზიკური რეზერვი ჰქონიათ. სწორედ ამ რეზერვმა იჩინა თავი დამატებით დროში და შესამჩნევი უპირატესობა მიანიჭა დინამოელებს.

დამახასიათებელია, რომ ავტოქარხნელებს მთელს 90 წუთს არ შეუცვლიათ რიტმი და აქედან გამომდინარე, არც დაუსვენიათ. თბილისელებმა კი საპასუხო გოლის შემდეგ საკუთარი ინიციატივით შექმნეს პაუზა, თითქოს დაისვენეს, რის შედეგადაც „ტორპედომ“ კვლავ დაიპყრო მათი ნახევარი.

ეს ისეთი თამაში იყო, რომ ფიზიკური დატვირთვა თანაბრად გადანაწილდა სხვადასხვა ხაზის მოთამაშეებზე. ყველაზე ნაკლებ დატვირთულნი ორივე გუნდში მარცხენა ფრთის თავდამსხმელები იყვნენ. ასე იყო ძირითად დროში, მაგრამ დამატებითში მესხს თავი აღარ დაუზოგავს. ვერ ვიტყვით, რომ ავტოქარხნელები დაღლილობის გამო დამარცხდნენ. პირიქით, საქებარია ის მაღალი ტემპი, ორივე გუნდს რომ ხელეწიფებოდა ამ მნიშვნელოვან ორთაბრძოლაში.

### ფსიქოლოგიური მომზადება

**ან. სტაროსტინი**
**(სპორტის დამსახურებული ოსტატი)**

ასეთ შეხვედრებში მონაწილეთა ხასიათი და განწყობა სერიოზული ფაქტორია. ამ მხრივ, ძირითად დროში ვერცერთს მივანიჭებ უპირატესობას. ყოველ მოძრაობაში შეიგრძნობოდა გამარჯვების ჟინი, ენთუზიაზმი და უტეხობა. ჩემი აზრით, ვ. ივანოვის მოედნიდან გაყვანამ ფსიქოლოგიურად გატეხა ტორპედოელები, თბილისელებს კი, გუნება გამოუკეთა. მისი გასვლის შემდეგ თბილისელები მკვეთრად გააქტიურდნენ. სულიერი აღმაფრენა მათ ბოლომდე გაჰყვათ. მათ დიდი და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს. მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ანგარიში არ ასახავს ძალათა თანაფარდობას. ამაში ძირითადი დროის შედეგიც გვარწმუნებს.

რა თქმა უნდა, დიდმა პასუხისმგებლობამ იმოქმედა ფეხბურთელებზე. რამდენჯერმე ნერვიულობამაც იჩინა თავი.

თბილისელთა მობილიზებულობა უფრო თანაბარი იყო. ძნელია მათ შორის ჟინიანი ლიდერის პოვნა, იმ კაცისა, რომელიც წინ მიუძღვოდა გუნდს. დამატებით დროში თერთმეტივე ფეხბურთელი ასეთი იყო.



შოთა იამანიძე,
ოქროს გუნდის კაპიტანი

### მატჩის არითმეტიკა

**ძირითადი დრო**

(ფრჩხილებში აღბეჭდილია პირველი ტაიმის მონაცემები)

„დინამო“ (თბილისი). კუთხური — 8 (1), ჯარიმა — 30 (12), კარში დარტყმა — 12 (4), აცილება — 7 (1), მეკარის მოგერიებული — 5 (3). ერთი გოლი.

„ტორპედო“ (მოსკოვი). კუთხური — 6 (3), ჯარიმა — 17 (8), კარში დარტყმა — 11 (4), აცილება — 5 (3), მეკარის მოგერიებული — 6 (1). ერთი გოლი. ერთხელ ბურთი ძელს მოხვდა.

**დამატებითი დრო**

„დინამო“: კუთხური — 1, ჯარიმა — 1, კარში დარტყმა — 6. ორჯერ წამის ინტერვალში ბურთი ძელს მოხვდა, ერთხელ აცდა. სამჯერ ბურთმა მიზანს მიაღწია (ერთი — თერთმეტმეტრიანით).

„ტორპედო“: კუთხური — 0, ჯარიმა — 6, კარში დარტყმა — 6, აცილება — 4, მეკარის მოგერიებული — 2.

**სოვეტსკი სპორტი, ხუთშაბათი, 19 ნოემბერი, 1964 წელი**

# ინტერვიუ მატჩის შემდეგ

*მატჩის დამთავრების შემდეგ საკდესის კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა ფეხბურთის სპეციალისტებსა და შეხვედრის მონაწილეებს.*

**ა. სტაროსტინი**, სპორტის დამსახურებული ოსტატი: როგორც ფიზიკურად, ისე ტექნიკურად მძაფრმა და თანაბარმა თამაშმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა. ვფიქრობ, ტორპედოელებზე გავლენა იქონია 62-ე წუთზე ივანოვის გასვლამ. მაგრამ იგი სრულებითაც არ ბლალავს „დინამოს“ წარმატებას. ქართველმა ფეხბურთელებმა დიდოსტატურ სტილში ითამაშეს. მინდა გამოვყო დათუნაშვილი, მაგრამ არა მარტო იმიტომ, რომ ორი ბურთი სწორედ მან გაიტანა, არამედ იმიტომაც, რომ იგი გამარჯვებულთა შორის ყველაზე ენერგიული იყო. დათუნაშვილმა თავისი საუკეთესო მატჩი გვიჩვენა.

**ნ. ოზეროვი**, სპორტის დამსახურებული ოსტატი: ბედნიერი ვარ, რომ ამ დაუვიწყარი მატჩის გადმოცემა მხვდა წილად. მშურს, რომ საქართველო უსმენდა ჩემს თბილისელ კოლეგებს და არა მე და სინიავსკის. თბილისელები მთელი ძალით დამატებით დროში ათამაშდნენ. ისინი უფრო გამიზნულად უტევდნენ და მოწინაალმდეგეზე ტექნიკურად გამოიყურებოდნენ. ძალზე მომეწონა დათუნაშვილი და მეტრეველი.

გულით და სულით ვულოცავ ამ გამარჯვებას საქართველოს, სპორტსმენებს და გულშემატკივრებს. საქართველოს ფეხბურთის მესამე თაობამ ბოლოს და ბოლოს შეასრულა ის, რაზეც ამდენ ხანს ოცნებობდნენ შავგულიძე, პაიჭაძე, ღოღობერიძე და სხვა მათი კოლეგები.

**ი. ზოლოტოვი**, სპორტის ოსტატი, „ტორპედოს“ უფროსი მწვრთნელი: თბილისის „დინამო“ ჩვენთვის ყოველთვის მრისხანე მოწინააღმდეგე იყო. მე ისლა მრჩება, რომ დინამოელებს მივულოცო ოქროს პირველი მედლები. ისინი მათ სავსებით დაიმსახურეს.

**შოთა იამანიძე**, თბილისის „დინამოს“ კაპიტანი: თამაში მეტად ნერვული იყო. ამ „სენმა“ ჩვენ ბევრი რამ წაგვართვა — ტექნიკაც და სიმშვიდეც. რა უცნაურიც არ უნდა იყოს, ჩვენს კარში მიღებულმა ბურთმა გამოგვაფხიზლა — ბოლოს და ბოლოს, აღარაფერი გვქონდა დასაკარგი. ვფიქრობ, რომ ტორპედოელები, რომლებმაც ცოტა ნაადრევად დაიწყეს დროის გაყვანა, ადრევე დამშვიდდნენ.

**ნაიმ იუსუფოვი**, მანქანის მძღოლი: ორ დღეს დამყავდა თბილისის დინამოელები. ყოველი მათგანი შემიყვარდა. სწორედ ბიჭური ბიჭები არიან. მაშასადამე, ჩემს შრომასაც ამაოდ არ ჩაუვლია. ვულოცავ ჩემს ახალ მეგობრებს.

**გავრილ კაჩალინი**, თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი: მატჩი მეტისმეტად მძიმე იყო. სსრ კავშირის პირველობის ყველა თამაშზე უფრო ძნელი. განსაკუთრებით ძნელი აღმოჩნდა იგი ჩვენი კოლექტივისთვის ჩემპიონის ოქროს მედლებისაკენ მიმავალ გზაზე.

ჩვენ სულ ბეწვზე ვეკიდეთ. ამჯერად ბედნიერების „ბეწვი“ მტკიცე აღმოჩნდა. ჩემმა ბიჭებმა შეძლეს თავიანთი უნარის ჩვენება, გამარჯვებისაკენ სწრაფვის გამოვლინება. ტორპედოელები ღირსეული მეტოქეები იყვნენ. ცნობილია, რომ ყოველთვის ძნელია ასეთ ძლიერ, მაღალტექნიკურ და კორექტულ გუნდთან ბრძოლა.

რაც შემეხება მე, როგორც დინამოელთა უფროს მწვრთნელს, შემიძლია ვთქვა — მოხარული ვარ, რომ გავამართლე კოლექტივის ნდობა.

**მ. რუბენისი**, მსაჯი: იმის მიუხედავად, რომ დინამოელებმა ოთხი ბურთი გაიტანეს, ტორპედოელებმა კი — ერთი, თამაში თანაბარი იყო. ტერიტორიული უპირატესობა არ იგრძნობოდა. ორივე გუნდი კორექტულად თამაშობდა, ღირსეული მეტოქეები იყვნენ.

**ლელო, ხუთშაბათი, 19 ნოემბერი, 1964 წელი**



გამარჯვებულთა საპატიო წრის შემოვლამდე დინამოელებმა მწვრთნელი გავრილ კაჩალინი ხელში აიტაცეს

ფოტორეპროდუქციები ალბომიდან „თბილისის დინამო ფეხბურთის ოლიმპზე“. ავტორები გარუნ აკოფოვი და შოთა ვადაჭკორია. მ ზარგარიანის, შ. კვირიკაშვილის, ნ. ონანოვის, ა. ხომიხის, კ. შანიძის ფოტოები

# ოქროს ბურთის ლაურეატები

France Football

## 1983, 84, 85

## მიშელ პლატინი

# არისტოკრატი

გაიოზ თალაკვაძე

50-იანი წლების ბოლოს და 60-იანების დასაწყისში ფრანგულმა ფეხბურთმა მსოფლიოში გაითქვა სახელი. მალე კი რაიმონ კოპასა და ჟიუსტ ფონტენის სამშობლოში ფეხბურთის კრიზისი დაიწყო. ყველა ელოდა ახალი თაობის მოსვლას, რომელიც 1958 წელს, შვედეთში, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოპოვებულ ბრინჯაოს მედლებზე უკეთეს შედეგს მიაღწევდა და მსოფლიოს ისევ აალაპარაკებდა შემტევ, სანახაობრივ ფრანგულ ფეხბურთზე. 70-იანი წლების მეორე ნახევარში ეს თაობაც გამოჩნდა. თაობა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ყველა გულშემატკივრებზე, ლაღი, ლამაზი თამაშით.

მათ შორის უდავოდ საუკეთესო იყო მიშელ პლატინი.

„ოქროს ბურთის" სამჯერ მოპოვება მხოლოდ სამმა ფეხბურთელმა შეძლო — იოჰან კრუიფმა, მიშელ პლატინიმ და მარკო ვან ბასტენმა. პალტინის კი, ჰოლანდიელებისგან განსხვავებით, ზედიზედ სამჯერ ერგო ეს პატივი.

პლატინი იმ მოთამაშეებს მიეკუთვნება, რომლებიც მინდორზე ყოფნისას თამაშის სადავეებს ფლობენ და მატჩის მიმდინარეობის შეცვლა ძალუძთ. ძვირად ფასობენ ფეხბურთელები, რომლებსაც გუნდის თამაშის წარმართვა ხელეწიფებათ. ძვირად ფასობენ ის მოთამაშეებიც, რომლებიც გუნდის შეტევებს აგვირგვინებენ. უძვირფასესნი არიან ის ფეხბურთელები, რომლებშიც ეს ორი თვისება შერწყმულია — მათ თამამად შეიძლება „ფეხბურთის არისტოკრატები" ვუწოდოთ. სწორედ ფეხბურთის არისტოკრატი იყო მიშელ პლატინი და არა მარტო იმიტომ, რომ საგოლე პასის მიცემაც შეეძლო და გოლის გატანაც.

პლატინი მისსავე წიგნში „ცხოვრება, როგორც მატჩი" თავს „ადამიან-ორკესტრს" უწოდებს. ალბათ, გახსოვთ უნიჭიერესი ფრანგი კომიკოსის ლუი დე ფიუნესის ამავე სახელწოდების ფილმი. ჰოდა, მიშელიც ამბობს, დე ფიუნესივით მეც ყველაფრის გაკეთება შემეძლო და მიხდებოდა კიდეცო. სწორედ ამიტომ იყო, იგი იტალიურმა „იუვენტუსმა" რომ გადაიბირა.

ტურინის „იუვენტუსი" პლატინის დახმარებით 1984 და 1986 წლებში სკუდეტოს, 1983-ში იტალიის თასს, 1984 წელს თასების თასს, ერთი წლის შემდეგ კი ჩემპიონთა, საკონტინენტთაშორისო და სუპერთასებს ეუფლება. თვით „ადამიანი-ორკესტრი" კი დაცვითი თამაშით განთქმულ იტალიის ჩემპიონატში ზედიზედ სამჯერ — 1983, 1984 და 1985 წლებში საუკეთესო ბომბარდირი ხდება. იმავე წლებშიც „ფრანს ფუტბოლი" ზედიზედ სამჯერ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად ასახელებს.

ასრულდა პატარა ბიჭის ოცნება, რომელიც პატარა ფრანგულ ქალაქ ჟოფში, „პატარა პრინცის" ავტორის სენტ ეგზიუპერის ქუჩაზე ცხოვრობდა. ბიჭისა, რომელიც მთელ დღეებს ბურთის დევნაში ატარებდა და პელეს დარ ფეხბურთელად გახდომა ჰქონდა გულში ამოჭრილი. ბურთის ბრაზილიელი ჯადოქარი რომ პატარა მიშელის კერპი იყო, ამას ჭაბუკობისას მისი ხელმოწერაც მოწმობს: „მიშელ პელეატინი".

ბავშვობაში „პელეატინი" თანატოლთაგან ყველაზე ტანმომცრო და ფიზიკურადაც სუსტი ყოფილა. ამ „ნაკლის" გაბათილება კი მხოლოდ ტექნიკის ხარჯზე იყო შესაძლებელი. იტალიური წარმოშობის ფრანგიც თავდაუზოგავად ვარჯიშობდა, ხან მარტო, ხანაც მამის დახმარებით. 17 წლისამ „მეცში" მოხვედრა დააპირა, მაგრამ არ აიყვანეს — გამძლეობა დაუწუნეს. მეციდან პლატინი მეორე ლოტარინგიულ კლუბ „ნანსიში" გაემურა. რამდენიმე საკონტროლო მატჩის შემდეგ „ნანსის" ხელმძღვანელობამ მას კონტრაქტი ულაპარაკოდ გაუფორმა და მალე თავისი გადაწყვეტილების სისწორეშიც დარწმუნდა. მიშელის წყალობით „ნანსი" ფრანგული ფეხბურთის ელიტაში გაერია და 1978 წელს ქვეყნის თასსაც დაეუფლა — ფინალში პლატინიმ გამარჯვების გოლი შეუგდო „ნიცას".

„ჩემს წარმატებას მამას ვუმადლი. სწორ-ედ მისი დამსახურებაა, რომ ტექნიკურად და ფიზიკურად მშვენიერ ფორმას მივაღწიე. მამა ყოველ ვარჯიშზე მაიძულებდა ბურთით რაც შეიძლება სწრაფად მერბინა, რათა ბურთი ფეხზე „მიმწებებოდა". ყოველთვის ეცადე, მეტოქეზე უმალ მიიღო გადაწყვეტილებაო, მეუბნებოდა ის" — იხსენებს პლატინი მამის ამაგს.

„ნანსიდან" მიშელი „სენტ ეტიენში" გადავიდა. „მწვანეები" იმ დროს საკმაოდ ძლიერები იყვნენ. 1981 წელს, მათ რიგებში პლატინი საფრანგეთის ჩემპიონის ოქროს მედალს დაეუფლა. იქ ჩატარებული თამაშებიდან კი ყველაზე მეტად ორი ევროპული გრანდის ევროთასებზე განადგურება ჩარჩა მეხსიერებაში. ერთ მატჩში „სენტ ეტიენმა" ჰოლანდიურ „ეინდჰოვენს" აჭამა სირცხვილი — 6:0, მეორეში კი გერმანულ „ჰამბურგს" — 5:0.

ბრწყინვალე თამაშის მიუხედავად, ზოგი სპეციალისტი მაინც ამბობდა, პლატინი სუსტი ფეხბურთელია და დაძაბულ ბრძოლაში ბევრს ვერაფერს გააკეთებსო. ამ აზრის სიმცდარე „იუვენტუსში" გადასვლამ დაამტკიცა. უხეშობით და ხისტი თამაშით განთქმული იტალიელი მცველები პლატინისთან ორთაბრძოლებში მარცხდებოდნენ. პლატინი იმ მოთამაშეებს მიეკუთვნება, რომლებსაც მინდორზე სწორი გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად, მისი უნაკლოდ შესრულებაც ძალუძდათ. მშვენიერი დრიბლინგი, თავით უნაკლოდ თამაში, ულამაზესი ფინტები — თუმცა ყველაზე მეტად პლატინის შესრულებული საჯარიმო დარტყმებია ღირსსახსოვარი. საამისოდ კი ის თურმე მუდამ დღე მუხლჩაუხრელად შრომობდა. „ნანსიში" მას 5-6 თანაგუნდელი ეხმარებოდა, რომელთაც ცოცხალი კედლის ალმართვა ევალებოდათ. სწორედ მაშინ, „ნანსის" მწვრთნელ კიუნეს მშვენიერი აზრი მოუვიდა. მან, თითქმის ორი მეტრი სიმაღლის ხის მანეკენებისგან „ცოცხალი კედელი" გააკეთა და პლატინიც მეკარე მუტიესთან ერთად საათობით რჩებოდა ვარჯიშის შემდეგ და საჯარიმო დარტყმების შესრულებაში ოსტატდებოდა.

ფეხბურთის არისტოკრატი 20 წლის იყო, როცა ნაკრებში მიიწვიეს — 1976 წლის 27 მარტს, ჩეხოსლოვაკიელებთან ამხანაგურ თამაშში. ნაკრებში დებიუტი პლატინიმ გოლით აღნიშნა: ერთ მომენტში ჩეხოსლოვაკიის კარში ჯარიმა დაინიშნა. ანრი მიშელი დასარტყმელად მოემზადა, მაგრამ მასთან პლატინი მივიდა და უთხრა: „დამარტყმევინე და გავიტან". თქმა და გაკეთება ერთი იყო.

ასე დაიწყო სანაკრებო კარიერა, რომლის მანძილზეც პლატინიმ კიდევ 46-ჯერ გაუტანა მეტოქეებს გოლი, მისი კაპიტნობით კი „ლურჯებმა" 1984 წელს ევროპის ჩემპიონატი მოიგეს.

ეს ტურნირი საფრანგეთში ჩატარდა და ფრანგული ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელმა ხუთ მატჩში ცხრა გოლის გაიტანა, რაც რეკორდია, რომელსაც, ალბათ, კიდევ დიდხანს ვერვინ გააუმჯობესებს.

ჯგუფში დანიის, ბელგიისა და იუგოსლავიის დამარცხების შემდეგ, ფრანგები ნახევარფინალში პორტუგალიას შეხვდნენ. მატჩის ძირითადი დრო ფრედ 1:1 დამთავრდა. დამატებითის პირველ ტაიმში ჟორდაომ პირინეელები დააწინაურა, რასაც 115-ე წუთზე დომერგის მიერ თანაფარდობის აღდგენა მოჰყვა. ყველას ეგონა, დაძაბული შეხვედრა ასეც დამთავრდებოდა, მაგრამ 119-ე წუთზე, პლატინის მიერ გატანილმა გოლმა ფრანგები ფინალში გაიყვანა. იქ კი, მათ პირინეის ნახევარკუნძულის მეორე ქვეყანა — ესპანეთი ელოდათ.

მაშ ასე, ფინალი. ანგარიში საჯარიმო დარტყმით გაიხსნა. გოლის ავტორი, რა თქმა უნდა, ჯარიმების დიდოსტატი პლატინი იყო, თუმცა ამ შემთხვევაში მას ესპანელთა ბასკი მეკარე ლუის მიგელ არკონადაც დაეხმარა. შეხვედრის ბოლოს ფრანგებმა მეორე გოლიც შეაგდეს და ოქროს მედლებსაც დაეუფლნენ.

...პლატინი სამ მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობდა. არგენტინაში მისი ნაკრები ჯგუფიდან ვერ გავიდა, სამაგიეროდ, ესპანეთსა და მექსიკაში „ლურჯებმა" ნახევარფინალებს უწიეს, სადაც ორჯერვე გერმანიასთან დამარცხდნენ. 1982 წლის ნახევარფინალი, ალბათ, მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დრამატული მატჩი იყო.

ის, რომ ფინალში ვერც ერთხელ ვერ ითამაშა, მიშელ პლატინისთვის ცხოვრებაში ყველაზე დიდი იმედგაცრუებაა. მას არც 1982 და 1986 წლებში მესამე ადგილისთვის გამართულ მატჩში მიუღია მონაწილეობა. „მე აქ ჩემპიონობისთვის ჩამოვედი..." — ორჯერვე ასე უპასუხა მან ჟურნალისტებს, როცა ჰკითხეს, ბრინჯაოს მედლებისთვის რატომ არ იბრძოლეთო.

წლეულს ფეხბურთის არისტოკრატის ოცნება როგორც იქნა, ახდა: მისი ხელმძღვანელობით გამართულ საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე მსოფლიოს ჩემპიონი საფრანგეთი გახდა. „უზომოდ ბედნიერი ვარ" — ეს იყო მიშელ პლატინის, მაგრამ უკვე ვეტერანი ფეხბურთელის, პირველი სიტყვები ფინალური მატჩის დამთავრების შემდეგ.



### მიშელ პლატინი

დაიბადა 1955 წლის 21 ივნისს საფრანგეთის ქალაქ ჟოფში

ნახევარმცველი

სიმაღლე: 1,77

წონა: 73 კგ

კლუბები: „ნანსი" (საფრანგეთი, 1970-79); „სენტ ეტიენი" (საფრანგეთი, 1979-82); „იუვენტუსი" (იტალია, 1982-87)

ტიტულები: საფრანგეთის ჩემპიონი — 1981; საფრანგეთის თასი — 1978; იტალიის ჩემპიონი — 1984, 86; იტალიის თასი — 1983; ჩემპიონთა თასი — 1985; თასების მფლობელთა თასი — 1984; ევროპის სუპერთასი — 1985; საკონტინენტთაშორისო თასი — 1985; მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი — 1986; ევროპის ჩემპიონი — 1984; ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი — 1984; ევროპის ჩემპიონატის ბომბარდირი — 1984 (9 გოლი)

ნაკრებში 72 თამაშში გაიტანა 41 გოლი (1976-87)


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

18 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ალბანეთი — საბერძნეთი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| ჩრ. ირლანდია — მოლდოვა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| სან მარინო — კვიპროსი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| მალტა — მაკედონია | 7,0 | 3,8 | 1,35 |
| იუგოსლავია — ირლანდია | 1,5 | 3,2 | 6,5 |

### ამხანაგური მატჩები

18 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისი — ჩეხეთი | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| გერმანია — ჰოლანდია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბრაზილია — რუსეთი | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| ლუქსემბურგი — ბელგია | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| პორტუგალია — ისრაელი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| იტალია — ესპანეთი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| უნგრეთი — შვეიცარია | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XXV ტური

19 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მონაკო — ბორდო | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ლიონი — მარსელი | 2,5 | 2,8 | 2,6 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი

18 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ალკმაარი — როდა | 2,1 | 2,9 | 3,2 |

### პოლონეთის ჩემპიონატი. III ტური

18 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ამიცა — ვიძევი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ლეგია — ლეხი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბელხატოვი — სტიმილი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ვისლა — ზაგლებიე | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| რუხი — პოლონია | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ლკს — ოდრა | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| გურნიკი — პოგონი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

### თურქეთის თასის მერვედფინალი

18 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ანკარა — ბურსა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ქორლუ — ბეშიქთაში | 10,0 | 5,6 | 1,15 |
| ისთანბული — გენჩლერბირლიგი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| სამსუნი — ერზურუმი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ქოჯაელი — ქარაბუქი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ადანა — გალათასარაი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| ტრაბზონი — გაზიანთეფი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

### ჰოკეი. ნჰლ

18 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვაშინგტონი — ტორონტო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ედმონტონი — დეტროიტი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ფინიქსი — ვანკუვერი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ანაჰაიმი — რეინჯერსი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| სან ხოსე — ლოს ანჯელესი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

19 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოსტონი — ფლორიდა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| მონრეალი — კალგარი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ნიუ ჯერსი — კაროლინა | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ტამპა ბეი — პიტსბურგი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| ნეშვილი — სენტ ლუისი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| კოლორადო — ვანკუვერი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ლოს ანჯელესი — რეინჯერსი | 1,9 | 4,4 | 2,1 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; №67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი.

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი"; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

EURO BASKET 99

## E ჯგუფი. ჩეხეთი

საქართველო (25.11); იტალია (28.11); ლატვია (2.12);

# ჩეხები დასუსტდნენ და გაძლიერდნენ

ჩეხეთის ნაკრებს ევრობასკეტ-99-ის სამი შესარჩევი მატჩი ელის. საქართველოსთან (25 ნოემბერს), იტალიასთან (28 ნოემბერს) და ლატვიასთან (2 დეკემბერს). გუნდი ამჟამად შეკრებაზეა, მაგრამ სერიოზული დანაკლისი მის დაწყებამდე განიცადა. ნაკრების და ქვეყნის ჩემპიონის „ოპავას" ცენტრი ირჟი ტრნკა ქუჩაში ვიღაც გამვლელმა დანით დაჭრა. ტრნკა ორი თვით ჩამოშორდა' კალათბურთს, ხოლო პოლიცია საქმეს იძიებს.

სამაგიეროდ, ჩეხთა გუნდს სხვა ცენტრი შეემატა. ნაკრების მწვრთნელი ზდენეკ ჰუმელი დიდხანს ჭოჭმანობდა, აეყვანა თუ არა „ჟალგირისის" ირჟი ზიდეკი. ბოლო ხანს ზიდეკი ძლიერად ათამაშდა და მწვრთნელის ნდობა დაიმსახურა. „ჟალგირისმა" კი უთხრა კალათბურთელს, იმ შემთხვევაში გაგიშვებ, თუკი სამედიცინო დაზღვევის თანხას შენ თვითონ გადაიხდიო. პატრიოტმა ზიდეკმა ფული არ დაიშურა და ჩეხეთის ნაკრების შეკრებაზე გაემგზავრა.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

EURO BASKET 99

## E ჯგუფი. შვედეთი

თურქეთი (25.11); საქართველო (28.11); იტალია (2.12);

შვედთა მწვრთნელმა როლფ ნილსონმა 24-კაციანი სია 13-მდე შეამცირა და ჩვენთან და ჩვენს თანაჯგუფელებთან შესახვედრად ამათ ამზადებს:

ოლე ჰაკანსონი (სედერტელიე), დავიდ ბერგსტრიომი (დოლფინსი), ჰაკან ლარსონი (პლანია), დენის აულანდერი (პლანია), იენს იონსონი (ბოროსი), იენს ტილმანი (პლანია), იოაკიმ ბლომი (ვილერბანი, საფრანგეთი), იონას ლარსონი (დიჟონი, საფრანგეთი), მათიას სალსტრიომი (ანტიბი, საფრანგეთი), ოლოფ ლანდგრენი (სედერტელიე), პერ სტრიუმერი (სედერტელიე), ტორბიორნ გერკე (ტაუგრესი, ესპანეთი), ვინსენტ ლუნდალი (პლანია)

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

EURO BASKET 99

## C ჯგუფი. ისრაელი

ბელარუსი (25.11); უკრაინა (28.11); დანია (2.12);

ებრაელთა მწვრთნელმა მული კაცურინმა შეკრებაზე 14 კალათბურთელი იახლა:

ნადავ ჰენფელდი, გაი გუდესი, ოდედ კატაში, გურ შელეფი, დორონ შეფერი (მაკაბი, თელ ავივი), იოავ საფარი, ბარაქ პელეგი, ტომერ შტეინჰაუერი (მაკაბი, რაანანა), შალომ თორჯმენი (ჰაპოელი, იერუსალიმი), ამირ კაცი (ჰაპოელი, ეილათი), ამირ მუხტარი (ჰაპოელი, გალილ ელიონი), ური კოენი (რამათ განი), ჯეფ კენტი (მაკაბი, რიშონ ლე ციონი), ტალ ბურშტეინი (ბნეი ჰერცლია)

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

EURO BASKET 99

## C ჯგუფი. ესპანეთი

უკრაინა (25.11); ინგლისი (28.11); ბელარუსი (2.12);

14 მოთამაშე შეარჩია ესპანელთა თავკაცმა ლოლო საინსმა: ივან კორალესი (ხუვენტუდი), ფერან ლოპესი (ფუენლაბრადა), ხოსე იგნასიო როდილია (პამესა), იგნასიო როდრიგესი (ბარსელონა), ალბერტო ანგულო, ალბერტო ერეროსი (ორივე — რეალი), როდრიგო ლა ფუენტე (ბარსელონა), კარლოს ხიმენესი (ადეკო), ხოსე ანტონიო პარაისო (კასერესი), იგნასიო დე მიგელი (ადეკო), რობერტო დუენიასი (ბარსელონა), ალფონსო რეიესი (ადეკო), ხუან იგნასიო რომერო (სან ფერნანდო), ხორხე გარბახოსა (ტაუგრესი).

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

EURO BASKET 99

## D ჯგუფი. ხორვატია

ესტონეთი (23.11); ბოსნია (28.11); ისლანდია (2.12);

ხორვატიის ნაკრების მწვრთნელმა ბოშკო ბოჟიჩმა დაასახელა ის 12 კალათბურთელი, რომლებიც აღნიშნულ მატჩებში იასპარეზებენ. ამპლუების მიხედვით გუნდში მოხვდნენ:

დამირ მულაომეროვიჩი (ტიმსისტემი, იტალია), არიან კომაზეცი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ვლადიმერ კრსტიჩი (ციბონა), სრდან სუბოტიჩი (სპლიტი), ველკო მრშიჩი (ვარეზე, იტალია), გორდან გირიჩეკი (ციბონა), გორდან ზადრაველი (სლოვაკოფარმა, სლოვაკეთი), მარიო სტოიჩი (ზაგრები), დინო რაჯა (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), ჟან ტაბაკი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), ნიკოლა ვუიჩიჩი (სპლიტი), დალიბორ ბაგარიჩი (ციბონა)

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

EURO BASKET 99

## D ჯგუფი. ლიტვა

ბოსნია (25.11); ჰოლანდია (28.11); ესტონეთი (2.12);

# შეიძლება საბონისმაც ითამაშოს

ლიტვის ნაკრებმა, შესაძლოა, არნახული გაძლიერება მიიღოს ბოსნიასთან, ჰოლანდიასთან და ესტონეთთან შეხვედრებისას. „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" ცენტრმა არვიდას საბონისმა განაცხადა, სანამ ნბა-ში ლოკაუტია, თანახმა ვარ ლიტვის ნაკრებს დავეხმაროო. ეს ცნობა დაადასტურა ლიტვის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ალგიმანტას პავილონისმა.

საბონისმა ლიტვის ნაკრებში ბოლოს 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადაზე ითამაშა, სადაც გუნდს ბრინჯაოს მედლები მოაპოვებინა. შეგახსენებთ საბონისის დიდ ტიტულებსაც: ოლიმპიური ჩემპიონი (1988), მსოფლიო ჩემპიონი (1982), ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი (1992, 1996)

## ამხანაგური მატჩი

იუგოსლავია - საფრანგეთი. 26-27 ნოემბერი

FIBA

შესარჩევი მატჩებისგან თავისუფალი იუგოსლავია (ევროპის ჩემპიონი) და საფრანგეთი (მასპინძელი) დროს უქმად არ კარგავენ და სანამ დანარჩენები ევრობასკეტ-99-ის საგზურებისთვის იბრძვიან, ესენი ერთმანეთს ამხანაგურად ორჯერ გაეჯიბრებიან. პირველად კრაგუევაცში, მეორედ — კრუშევაცში.

ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონთა მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა ამ მატჩებისთვის 17 კალათბურთელი გამოიძახა, ოღონდ არცერთი დებიუტანტი:

მიროსლავ ბერიჩი (ტაუგრესი, ესპანეთი), დეიან ბოდიროგა (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), პრედრაგ დანილოვიჩი (კინდერი, იტალია), საშა ჯორჯევიჩი (ბარსელონა, ესპანეთი), პრედრაგ დრობნიაკი (ეფესი, თურქეთი), ნიკოლა ლონჩარი (მაკაბი, თელ ავივი, ისრაელი), საშა ობრადოვიჩი (აეროპორტი, იტალია), ჟელკო რებრაჩა (ბენეტონი, იტალია), ალექსანდრ ჩუბრილო, დრაგან ლუკოვსკი, დეიან ტომაშევიჩი (ყველა — პარტიზანი), იგორ რაკოჩევიჩი, იოვო სტანოევიჩი, მილენკო ტოპიჩი, ნიკოლა იესტრატიევიჩი (ყველა — ცრვენა ზვეზდა), ვლადო შჩეპანოვიჩი, ნიკოლა ბულატოვიჩი (ორივე — ბუდუჩნოსტი).

ფრანგთა დამრიგებელ ჟან-პიერ დე ვინჩენცის განაცხადში 14 მოთამაშე ჰყავს:

ანტუან რიგოდო (კინდერი, იტალია), ლორან სკიარა (პსჟ), მუსტაფა სონკო (ვილერბანი), ტარიკ აბდულ ვაჰადი (საკრამენტო კინგზი, აშშ), იან ბონატო (რეჯო-ემილია, იტალია), ალენ დიგბო (ვილერბანი), ლორან ფუარე (პო ორტეზი), სტეფან რისაშე (პსჟ), ჯიმ ბილბა (ვილერბანი), ფაბიენ დიუბო (შოლე), ტიერი გადუ (პო ორტეზი), სირილ ჟულიანი (პსჟ), ჟან-გელ ჰერსევო (ვილერბანი), ფრედერიკ ვეისი (ლიმოჟი).

# ნიუ იორკს პატრიარქი მოუკვდა

NBA

13 ნოემბერს ამერიკის საკალათბურთო სამყარომ კიდევ ერთი ცუდი ამბავი შეიტყო. ლონგ აილენდის ერთ-ერთ ჰოსპიტალში სული განუტევა „ნიუ იორკ ნიქსის" მწვრთნელმა და „დიდების დარბაზის" წევრმა რედ ჰოლცმანმა.

იგი საკმაოდ მოხუცი, 78 წლის გახლდათ. ჰოლცმანის სიკვდილის მიზეზს საავადმყოფო მალავს. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ეს დარბაისელი კაცი სისხლის გათეთრებამ იმსხვერპლა, რადგან შარშან ამავე ჰოსპიტალში ლეიკემიას (სისხლის გათეთრების საწყისი სტადია) მკურნალობდა.

ჰოლცმანის გარდაცვალებამ ბევრი დაამწუხრა, განსაკუთრებით ნიუიორკელები — იგი ხომ „ნიუ იორკ ნიქსის" ისტორიაში უდიდესი პიროვნება იყო და ამ გუნდის მთავარ მწვრთნელად ყოფნის 18 წლის მანძილზე ნბა-ს ერთ-ერთი უძლიერესი მწვრთნელის სახელი დაიგდო. მისმა სამწვრთნელო კარიერამ უმაღლეს მწვერვალს 70-იანი წლების პირველ ნახევარში მიაღწია, როდესაც მშობლიურ გუნდს ორჯერ — 1970 და 1973 წლებში ლიგის ჩემპიონობა მოაპოვებინა. 1970 წელს მან წლის საუკეთესო მწვრთნელის ტიტულიც დაისაკუთრა. რედ ჰოლმანმა დააფრთიანა ისეთი დიდებული მოთამაშეები, როგორებიც იყვნენ უილის რიდი, ბილ ბრედლი, დეივ დებუშერი, ელ მონრო, უოლტ ფრეზერი, ჯერი ლუკასი და მათგან შეკრა ვარსკვლავური გუნდი, რომლის ნებისმიერ წევრსაც, ცენტრიდან გამთამაშებლამდე, შეეძლო პასის მიცემა, დრიბლინგი და ნებისმიერი მანძილიდან სროლა. მაშინდელი „ნიქსის" ყველა მოთამაშე ინტელიგენტი იყო. რაც მთავარია, ამ კაცმა „ნიუ იორკს" ჩემპიონობა არგუნა, რასაც უჰოლცმანოდ დარჩენილი ნიუ იორკი რახანია, ამაოდ ცდილობს.

ჰოლცმანის გარდაცვალებამ ყველას, მის მიერ გამოზრდილ კალათბურთელს თუ კალათბურთში მოღვაწეს, გული დაწყვიტა. „ის იყო ჩვენი პატრიარქი, მამა. ის გახლდათ „ნიქსის" ნაწილი, „ნიქსი" კი მისი, „მედისონ სკვერ გარდენის" მარადი ლეგენდა არა მარტო დიდი მწვრთნელი, უდიდესი პიროვნება და მეგობარიც იყო. ეს უდიდესი დანაკარგია ნიქსის ოჯახისთვის" — „ნიქსის" პრეზიდენტი და გენერალური მენეჯერი ერნი გრინფელდი ამ სიტყვების თქმისას ცრემლებს ძლივს იკავებდა.

ირაკლი ფირაშვილი



რედ ჰოლცმანი



# გრანადაში 12000 $ გვიწყალობეს

ესპანეთის ქალაქ გრანადაში სამ დღეს მიმდინარეობდა მძლეოსნობის ევროპული ფედერაციის კონგრესი, რომელსაც მისივე პრეზიდენტი, ფინელი კარლ ოლაფ ხომენი უძღვებოდა. კონგრესში მონაწილეობდნენ IAAF-ის პრეზიდენტი, იტალიელი პრიმო ნებიოლო და გენერალური მდივანი, უნგრელი იშტვან ჯულაი. როგორც ჩვენი ქვეყნის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა თამაზ მდინარაძემ გვითხრა, კონგრესს ევროპული ფედერაციის წევრი ქვეყნების ყველა პრეზიდენტი და გენერალური მდივანი ესწრებოდა.

ქალთა კომიტეტის სხდომებში მაია აზარაშვილიც მონაწილეობდა. გაისად IAAF-ის ქალთა კომიტეტის არჩევნებია და სავსებით შესაძლებელია, მაიას რაიმე თანამდებობა შესთავაზონ.

კონგრესზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საქართველოს ფედერაციას მომავალ წელსაც 12 ათასი ამერიკული დოლარით დაეხმარონ. ჩვენი ქვეყნის მძლეოსან ქალთა ნაკრები პირველად იასპარეზებს ევროპის საკლუბო ტურნირზე, რომელიც თელ ავივში 12 ივნისს დაიწყება. მდინარაძის თქმით, საქართველოდან ამ შეჯიბრებაზე, ალბათ, 10 გოგონა გაემგზავრება. მათგან ყველაზე მეტად ნინო ბაგაშვილის იმედი აქვთ, ხოლო ამანათრბენში შეიძლება თვით მაია აზარაშვილმაც სცადოს ძალა. მამაკაცთა ანალოგიური შეჯიბრება ცოტა მოგვიანებით საფრანგეთში ჩატარდება, მაგრამ მასში ჩვენი მამაკაცი მძლეოსნები, სამწუხაროდ, მონაწილეობას ვერ მიიღებენ. დასასრულ, კონგრესმა ევროპის წლის საუკეთესო მძლეოსნებად ფრანგი მორბენალი კრისტინ არონი და ბრიტანელი სამმხტომელი ჯონათან ედვარდსი დაასახელა.

ზურაბ ტაბატაძე

# დიდი მტყორცნელი აღესრულა

პრაღაში 61 წლისა გარდაიცვალა 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონი ბადროს ტყორცნაში ლუდვიკ დანეკი.

ლუდვიკ დანეკი პირველი კაცი იყო დედამიწაზე, 65 მეტრზე შორს რომ გასტყორცნა ბადრო. დანეკს 1964 წელს, ტოკიოს ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი მოუგია, ოთხი წლის შემდეგ კი ბრინჯაოსი. ის ორი მსოფლიო რეკორდის ავტორი იყო.

# მუშველებათ გაკოტრებულ ბრიტანელებს?

ბრიტანეთის „მძლეოსნობა 98"-ის თავმჯდომარედ აირჩიეს 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი 400 მეტრზე რბენაში დევიდ ჰემერი. ჰემერს ხმა მისცა 743 მძლეოსნური კლუბიდან 426-მა. თავმჯდომარეობისთვის ბრძოლა წააგო ასევე გათქმულმა ჩემპიონმა სტივ ოუეტმა.

„მძლეოსნობა 98" შეიქმნა შარშან გაკოტრებული ბრიტანეთის მძლეოსნობის ფედერაციის სანაცვლოდ. ორგანიზაციას მძლეოსანთა ბედზე ზრუნვა ევალება.



# „ირაკლი აბაშიძე" 3600 მეტრიდან დაგვცქერის



მწვერვალი ირაკლი აბაშიძე

შემოდგომა ტრადიციულად საქართველოში ალპინიადების სეზონია. მართალია, ბოლო წლებში გასაგები მიზეზების გამო ისე მრავლად და მრავალრიცხოვნად აღარ ტარდება ალპინიადები, მაგრამ ზოგი ისევ ცდილობს ტრადიციის გაგრძელებას. მათ შორისაა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ალპიური კლუბი „შხარა", რომელიც სამი წლის წინათ შეიქმნა. იგი აერთიანებს სპორტის ალპიურ სახეობებს: მთამსვლელობას, მეკლდეურობას, სამთო ტურიზმს, სამთო სათხილამურო სპორტს.

„შხარა" ამ უმაღლესი სასწავლებლის მთამსვლელთა სექციის მემკვიდრეა, მაგრამ მან, როგორც კლუბმა, საკუთარი თავი, როგორც იტყვიან, თავადვე უნდა არჩინოს.

— მაგრამ ამის შესაძლებლობა ჩვენს კლუბს არა აქვს და ფინანსურად ისევ ჩვენი უნივერსიტეტის რექტორი ბატონი რამაზ ხუროძე გვეხმარება — გვიამბობს „შხარას" პრეზიდენტი შოთა ელისაშვილი — სწორედ მისი ამგვარი დახმარების წყალობით შესაძლებელი გახდა ყაზბეგის რაიონში ხდის ხეობის მწვერვალებზე 50-კაციანი ალპინიადის მოწყობა. 10 დღის სათანადო მომზადების მერე 35 კაცი ავიდა 3600 მეტრის სიმაღლის უსახელო მწვერვალზე და მას პირველამსვლელთა უფლებით პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძის სახელი ვუწოდეთ. ასე აღვნიშნეთ მისი დაბადების 90 წლისთავი.

ამ მწვერვალიდან ალპინიადის მონაწილეებს, როგორც ელისაშვილმა გვითხრა, განუხორციელებიათ ტრავერსი მის მეზობელ ექვთიმე თაყაიშვილისა და იაგორ კაზალიკაშვილის სახელობის პიკებზე.

ტექნიკური უნივერსიტეტის ალპინიადაში მონაწილეობდნენ საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტის წარმომადგენლებიც. უნივერსტეტელები, ხელშეკრულების თანახმად მათ ეხმარებიან მთაში სიარულის ტექნიკის ათვისებაში, რაც სამაშველო სამსახურში გამოადგებათ. თავის მხრივ დეპარტამენტი ტექნიკურ უნივერსტეტელებს საჭურვლით აღჭურვაში ეხმარება და ამით ორივე მხარე მოგებული რჩება.

ავთანდილ ჭყვიშელი



მწვერვალისკენ...

# დეტროიტმა ფრთები ჩამოყარა

16 ნოემბერი

**კალგარი — დეტროიტი 5:3 (2:1 2:2 1:0)**

1:0 ბურე 11'49 (6); 1:1 აიზერმანი 12'57 (6); 2:1 ბურე 14'36 (7); 3:1 მორისი 20'35 (3); 4:1 მორისი 24'49 (4); 4:2 კრუპი 33'53 (1); 4:3 ფიოდოროვი 39'04 (3); 5:3 დუბინსკი 59'29 (2)

თასის მფლობელი ამ ჩემპიონატში ზედიზედ მეორედ დაეცა ქულათა 50-პროცენტიან ზღვარზე (8 მოგება, 8წაგება), რაც ერთობ საგანგაშოა. დალასთან დამარცხების შემდეგ „წითელფრთიანებმა" თითქოს თავიანთი თავის რწმენა დაკარგეს. დეტროიტელები ამჯერადაც ვერ განეწყვნენ სათამაშოდ და მხოლოდ მას შემდეგ გამოცოცხლდნენ, რაც კრის ოსგუდმა ორი შაიბა გაუშვა. იგი კი შეცვალეს, მაგრამ ანგარიში 1:4 გახდა. მერე დეტროიტელებმა ორი შაიბა გაქვითეს, მაგრამ მარცხს ველარ გადაურჩნენ. ჩემპიონებმა ბოლო რვა მატჩში მეექვსედ წააგეს.

**ანაჰაიმი — ლოს ანჯელესი 3:1 (1:0 1:0 1:1)**

1:0 გრინი 18'29 (1); 2:0 დავიდსონი 22'58 (1); 2:1 იოკინენი 56'14 (2); 3:1 კარია 59'38 (8)

ანაჰაიმმა ტეემუ სელიანეს გარეშე ორჯერ მოიგო, რაც მეკარე გი ებერის დამსახურებაა. მან სამ მატჩში 38 დარტყმა მოიგერია და მეორე შათაუტთანაც ახლოს იყო, ხოლო ახალბედა იუჰან დავიდსონმა ნჰლ-ში პირველი გოლი გაიტანა.

ლოს ანჯელესის საგანგებო ბრიგადები ტრავმირებული რობ ბლეიკის არყოფნაში ძალიან შეიცვალნენ: „მეფეებს" უმცირესობაში ხშირად კი გააქვთ (წინა მატჩში ნატან ლაფაიეტმა მეშვიდედ (!) გაიტანა), მაგრამ რიცხვმრავლობისას თითქმის ყოველ ორ მატჩში ერთხელ უშვებენ შაიბას.



კალგარელ სტივ დუბინსკის „ბალეტი ყინულზე"

# ისტორიის ახალი ფურცლები

**ბოსტონელი რეი ბურკი, დეტროიტელი სტივ აიზერმანი და დალასელი ბრეტ ჰალი იქნებ ისე ველარ ბრწყინავენ, როგორც ამ 5-6 წლის წინ, მაგრამ ვეტერანები თავიანთ კლუბებში კვლავაც გამოირჩევიან და ნჰლ-ის მიღწევების ნუსხასაც ახალახალ სტრიქონებსაც მატებენ**

## რეი ბურკს ექვსი პასი აკლია



რეი ბურკმა, „დათვების" ცნობილმა მცველმა, უკვე მე-19 სეზონია, თავის კლუბს რომ ერთგულობს, კარიერაში 1041-ე პასით სახელოვან მარსელ დიონს გაუსწრო და მეოთხე ადგილზე აინაცვლა. მეპასეთა სიაში მესამეა გორდი ჰოუ, რომელსაც რეი ბურკი კიდევ 6 გადაცემით დაეწევა. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ საპატიო სიაში მეორე ადგილზეც მცველია — პოლ კოფი.

1. უეინ გრეცკი 1923; 2. პოლ კოფი 1091; 3. გორდი ჰოუ 1049; 4. რეი ბურკი 1043; 5. მარსელ დიონი 1040.

## აიზერმანი კერპთაყვანისმცემელია



ახალგაზრდობაში სტივ აიზერმანის იდეალი გამოჩენილი აილენდერსელი ბრაიან ტროტიე იყო. 1984 წელს ამიტომაც ჩაიცვა 19-ნომრიანი მაისური. მაშინ რას იფიქრებდა, რომ თავადაც ვარსკვლავად იქცეოდა, თხუთმეტსეზონიანი გამოცდილების შემდეგ თავის კერპს აჯობებდა და ნჰლ-ის ბომბარდირთა ათეულში მოხვდებოდა. მიუხედავად დიდი წარმატებისა, აიზერმანი ერთი წუთითაც არ ივიწყებს სიყრმის დროინდელ კერპს და კვლავ ბრაიანს მიიჩნევს მისაბაძ მაგალითად.

აღსანიშნავია, რომ ლიგის საუკეთესო 10 ბომბარდირიდან 5 მოქმედი ჰოკეისტია შეუდარებელი გრეცკის თავკაცობით.

1. უეინ გრეცკი 2810; 2. გორდი ჰოუ 1850; 3. მარსელ დიონი 1771; 4. მარკ მესიე 1629; 5. ფილ ესპოზიტო 1590; 6. მარიო ლემიე 1494; 7. პოლ კოფი 1474; 8. სტენ მიკიტა 1467; 8. რონ ფრენსისი 1442; 10. სტივ აიზერმანი 1426.

## ბრეტ ჰალი მამასთან მივიდა



ჩინებული სნაიპერი ბრეტ ჰალი სულაც არ ნანობს, რომ სენტ ლუისში მრავალწლიანი გარჯის შემდეგ დალასში აღმოჩნდა. ბოლო სეზონის წარუმატებლობანი მან დავიწყებას მისცა. დალასში ფორვარდი თანდათან იბრუნებს ჩვეულ ფორმას, შაბათს კი კარიერაში მე-1000 ქულა დააგროვა. იგი 53-ეა მათ შორის, ვინც ეს საპატიო ზღვარი გადალახა. ისიც აღსანიშნავია, რომ ჰალი 1000-ქულიანთა შორის მხოლოდ მეხუთეა, რომლის აქტივშიც პასებს გატანილი გოლები სჭარბობს (შესაბამისად, 440 და 560). თანაც ამ გამორჩეულთა შორის ფილ ესპოზიტოს, დინო სისარელისა და მაიკ გარტნერთან ერთად მისი ლეგენდარული მამაცაა — ბობი ჰალი.

კოლორადოს მწვრთნელმა ბობ ჰარტლიმ თავისი დებიუტი ამ ამპლუაში კლუბში განხორციელებული რადიკალური ცვლილებებით აღნიშნა. მას შემდეგ, რაც მისმა გუნდმა უხეიროდ დაიწყო ჩემპიონატი, ჰარტლიმ რამდენიმე მოთამაშე გაცვალა და სრულიად გარდაქმნა დაცვა. „ეველანშის" თავკაცის რისხვას შარშანდელი შემადგენლობიდან მხოლოდ ალექსეი გუსაროვი და ჯონ კლემი გადაურჩნენ (სანდის ოზოლინში დღემდე გაფიცულია), დანარჩენთა ადგილები კი კემ რასელმა, იან ვოპატმა, გრეგ დევრიზმა და ახალბედა ჯეფ ბიუკენენმა დაიკავეს. ძნელი სათქმელია, რა შედეგს მოიტანს ჰარტლის სიახლეები, ჯერჯერობით კი, სათამაშო ტაქტიკის გამარტივების მიუხედავად, კოლორადო ოდნავ თუ გამოკეთდა.

## სატურნირო ვითარება

| წყნარი ოკეანე | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 14 | 9 | 2 | 3 | 37:27 | 20 |
| ფინიქსი | 12 | 8 | 2 | 2 | 34:17 | 18 |
| ანაჰაიმი | 16 | 6 | 4 | 6 | 37:37 | 16 |
| ლოს ანჯელესი | 18 | 5 | 3 | 10 | 39:49 | 13 |
| სან ხოსე | 14 | 3 | 4 | 7 | 33:35 | 10 |

| ატლანტა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 15 | 9 | 0 | 6 | 33:35 | 18 |
| პიტსბურგი | 15 | 7 | 4 | 4 | 42:38 | 18 |
| აილენდერსი | 17 | 8 | 0 | 9 | 43:43 | 16 |
| ფილადელფია | 16 | 6 | 4 | 6 | 41:36 | 16 |
| რეინჯერსი | 16 | 4 | 5 | 7 | 38:45 | 13 |

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 17 | 9 | 2 | 6 | 56:50 | 20 |
| ბუფალო | 14 | 7 | 4 | 3 | 40:26 | 18 |
| ბოსტონი | 17 | 6 | 4 | 7 | 40:32 | 16 |
| ოტავა | 15 | 6 | 3 | 6 | 43:41 | 15 |
| მონრეალი | 16 | 6 | 2 | 8 | 35:44 | 14 |

| დასავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ედმონტონი | 16 | 9 | 1 | 6 | 53:39 | 19 |
| ვანკუვერი | 16 | 8 | 1 | 7 | 50:41 | 17 |
| კალგარი | 17 | 7 | 2 | 8 | 47:48 | 16 |
| კოლორადო | 16 | 6 | 2 | 8 | 43:47 | 14 |

| სამხრეთ-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფლორიდა | 15 | 6 | 3 | 6 | 33:41 | 15 |
| კაროლინა | 16 | 6 | 3 | 7 | 38:37 | 15 |
| ტამპა | 17 | 6 | 2 | 9 | 40:61 | 14 |
| ვაშინგტონი | 15 | 5 | 3 | 7 | 33:40 | 13 |

| ცენტრი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 15 | 7 | 4 | 4 | 42:35 | 18 |
| დეტროიტი | 16 | 8 | 0 | 8 | 47:42 | 16 |
| ნეშვილი | 15 | 6 | 1 | 8 | 38:45 | 13 |
| ჩიკაგო | 17 | 4 | 3 | 10 | 36:62 | 11 |

***ბომბარდირები:*** *ფორსბერგი (კოლორადო) 23 (5+18); ლინდროსი (ფილადელფია) 21 (11+10); იაგრი (პიტსბურგი) 21 (5+16); საკიკი (კოლორადო), სუნდინი (ტორონტო) და კარია (ანაჰაიმი) 20 (8+12); ფლერი (კალგარი) 19 (10+9); გერინი (ედმონტონი) 18 (12+6); ლეკლერი (ფილადელფია) 18 (10+8); რობიტაილი (ლოს ანჯელესი) 18 (9+9); აიზერმანი (დეტროიტი) 18 (6+12); რეკი (მონრეალი) 18 (5+13)*

***გოლები:*** *გერინი და ამონტე (ჩიკაგო) 12; ლინდროსი 11; ლეკლერი და ფლერი 10; შენაჰანი (დეტროიტი), ტკაჩუკი (ფინიქსი), კლარკი (ტამპა), კრივოკრასოვი (ნეშვილი) და რობიტაილი 9*

***პასები:*** *ფორსბერგი 18; იაგრი 16; გრეცკი (რეინჯერსი), რობერტსი (კაროლინა), რეკი და ჰაუსლი (კალგარი) 13*

***ნაყოფიერების კოეფიციენტი:*** *ტკაჩუკი +14; ბ. მირონოვი და გერინი (ორივე ედმონტონი) +13; კოტი (ტორონტო) +12; რენიკი (ფინიქსი), მაკინისი (სენტ ლუისი), ბერანეკი, კოვალენკო, ნიინიმაა (ყველა ედმონტონი) და ლინდროსი +11*

***დარტყმები:*** *კარია 100; რობიტაილი 76; ფლერი და შენაჰანი 73; ბონდრა (ვაშინგტონი) 65; სუნდინი და ლინდროსი 65*

***საჯარიმო წუთები:*** *ოჯიკი (აილენდერსი) 84; პრობერი (ჩიკაგო) 70; დომი (ტორონტო) 69; ოჯერსი (კოლორადო) 66; უიმერი (კალგარი) 65*

***ახალბედები:*** *პერიში (ფლორიდა) 11 (8+3); მუკალტი (ვანკუვერი) 10 (5+5); ჰეიდუკი (კოლორადო) 10 (2+8); კაბერლე (ტორონტო) 9 (2+7); დრური (კოლორადო) 8 (4+4); მანელიუკი (ფილადელფია) 8 (2+6); მორისონი (ნიუ ჯერსი) და უოტი (აილენდერსი) 7 (2+5); რიზონერი (სენტ ლუისი) 7 (1+6)*

***მეკარეები:*** *ირბე (კაროლინა) 1,70 გაშვებული გოლი 1 თამაშში; ხაბიბულინი (ფინიქსი) 1,74; დაფო (ბოსტონი) 1,81; ჰაშეკი (ბუფალო) 1,86; ბელფორი (დალასი) 1,99*

* * *

ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა დალასმა სატურნირო პრობლემების მოგვარების შემდეგ, ეტყობა, ლიგის რეკორდის — ყველაზე სწრაფი გოლის — გეგმაზომიერი დამხობაც გადაწყვიტა. ჯერ იყო და, ტონი ჰრკაჩმა მე-8 წამზე ლოს ანჯელესს გაუტანა, ხოლო 13 ნოემბერს ჯო ნუინდაიკმა თასის მფლობელ დეტროიტთან ეს შედეგი ერთი წამით გააუმჯობესა. ახლა დალასელებს სულ 2 წამი აშორებთ აბსოლუტური რეკორდისგან, რომელიც 1981 წელს ვინიპეგელმა დუგ სმაილმა დაამყარა.

* * *

რაც უფრო ნაკლებს დაარტყამ, მით უკეთესია. ეტყობა, ტორონტო ამ პრინციპით ხელმძღვანელობს, რადგან ექვსჯერ, როცა მათმა მეტოქემ უფრო მეტჯერ დაარტყა, „ნეკერჩხლის ფოთლებმა" გაიმარჯვეს.

* * *

პარასკევს დეტროიტის ვეტერანმა ლარი მერფიმ კარიერაში 1412-ე მატჩი ჩაატარა და თავისი ამპლუის ჰოკეისტთა შორის მეორე ადგილზე აღზევდა. სახელოვანმა მცველმა თავის კოლეგა ჰარი ჰოველს გაუსწრო, 35 თამაშის შემდეგ კი ტიმ ნორტონის რეკორდსაც დაამხობს.

საიუბილეო, მე-800 შეხვედრა გამართა ანაჰაიმელმა ფრედრიკ ოლაუსონმა, მე-900 ქულა ჩაიწერა კოლორადოელმა ჯო საკიკმა, მე-300 — პიტსბურგელმა რობ ბრაუნმა. ჩიკაგოელი კრის ჩელიოსი კი 1444 საჯარიმო წუთით გახდა კლუბის რეკორდსმენი. ეს იმ დროს, როცა „ქორების" ერთგული მცველი უხეშობით სულაც არ გამოირჩევა.

* * *

ბოლო დღეებში რამდენიმე ტრეიდი განხორციელდა. ბოსტონმა ფორვარდ ტედ დონატოს ნაცვლად ათლეტური აილენდერსელი კენ ბელანჟე შეიძინა. სან ხოსემ თავდამხსმელ ალენ ჰიკსს ვეტერანი მცველი ჯეფ ნორტონი ამჯობინა, ხოლო ფილადელფიამ ჯონ ჰოდენი გაცვალა კოლორადოელ კეიტ ჯონსში, რომელიც პირველივე მატჩში ლინდროსისა და ლეკლერის კომპანიაში სულაც არ დაიჩრდილა.

* * *

მიუხედავად იმისა, რომ ბრეტ ჰალი დალასში კარგად ათამაშდა, სენტ ლუისის მფლობელები თავიანთ გადაწყვეტილებას არ ნანობენ. თითქოს სუპერსნაიპერის წასვლას ელოდაო, კლუბი თავისი დივიზიონის ლიდერი გახდა, მცველ ელ მაკინისსა და ფორვარდ პავოლ დემიტრასაც მეტი გასაქანი მიეცათ — მათ მწვრთნელები წლეულს უფრო ენდობიან და ჰოკეისტებიც (ორივეს 8 შაიბა აქვს გატანილი) ყოჩაღობენ.

* * *

ჩემპიონატი სულ ერთი თვეა, დაიწყო, პიტსბურგის სამივე მეკარემ კი შათაუტი მიითვალა. ჯერ იყო და, დაშავებული ტომ ბარასოს არყოფნაში პეტერ სკუდრა და ახალბედა ჟან-სებასტიან ობენი გამოირჩნენ, ხოლო 14 ნოემბერს, გამოჯანმრთელების შემდეგ ჩატარებულ მეორე მატჩში, ძირითადმა გოლკიპერმაც ივარგა და ფლორიდელები მშრალზე დატოვა.

* * *

ტანმორჩილი (166 სმ) ტერ ფლერი, კალგარის წამყვანი მოთამაშე, შეუპოვარი ხასიათით და უჩვეულო ჟინითაც გამოირჩევა. მაგრამ ეს ყოველივე მისიანებს ზოგჯერ ვნებს კიდეც. აი, ახლაც, ბოლო ორ მატჩში, ჯერ ვანკუვერთან, შემდეგ კი ანაჰაიმთან, კალგარის კაპიტანმა არცთუ აუცილებელი ჯარიმები „აიკიდა", გუნდი ორკაციან უმცირესობაში დატოვა და ამასობაში გადამწყვეტი გოლებიც გაფიდა.

**იყიდება ესპანური კედლის და იატაკის მოსაპირკეთებელი ფილები (მეტლახი, კაფელი) იაფად, შინ მიტანით.**

მისამართი: ელიავას ბაზრობა, სანტექნიკის რიგი, ჯიხური № 179.
დილის 10-დან საღამოს 5 საათამდე.

# ნოვოტნას ბედისწერა



შტეფი გრაფი

ქალების საჩოგბურთო სეზონი დასასრულს მიუახლოვდა. ნიუ იორკის ცენტრში მდებარე „მედისონ სკვერ გარდენში" ამ კვირაში ჩეიზის მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება, სადაც წლის განმავლობაში გამორჩეული 16 ქალი და 8 წყვილი კლასიფიკაციაში კიდევ უფრო დასაწინაურებლად და საშობაო საჩუქრებისთვის სახარჯო მწვანეების დასაგროვებლად შეიბმებიან.

ჯერ ციფრებით დავიწყოთ

საპრიზო ფონდი — 2 მილიონი დოლარი

ერთეულები

გამარჯვებულის წილი — 500 000 და 390 ქულა

ფინალისტი — 250 000 და 273 ქულა

ნახევარფინალისტი — 125 000 და 175

მეოთხედფინალისტი — 65 000 და 100

მერვედფინალისტი — 30 000

წყვილები

გამარჯვებული — 200 000 და 390 ქულა

ფინალისტები — 100 000 და 273 ქულა

ნახევარფინალისტები — 50 000 და 175 ქულა

მეოთხედფინალისტები — 25 000

ბოლო წლების გამარჯვებულები

1988 — მარტინა ნავრატილოვა

1989 — შტეფი გრაფი

1990 — მონიკა სელეში

1991 — სელეში

1992 — სელეში

1993 — გრაფი

1994 — გაბრიელა საბატინი

1995 — გრაფი

1996 — გრაფი

1997 — იანა ნოვოტნა

მსოფლიოს ჩემპიონატი განსაკუთრებული, გამორჩეული ტურნირია, ბევრისგან „მეხუთე დიდი სლემის ტურნირად" შერაცხული, ასევე ბევრისთვის რაღაც ტრამპლინის მაგვარად ქცეული. სწორედ აქ გამარჯვებამ აქცია იანა ნოვოტნა მუდმივი უიღბლოდან ნამდვილ ჩემპიონად: „შარშანდელი ტურნირიდან უამრავი სასიამოვნო მოგონება დამრჩა - მაშინ არაჩვეულებრივად ვითამაშე და აქედან გაყოლილი თავდაჯერება დიდხანს შემრჩა, უიმბლდონის მოგებაშიც ძალიან დამეხმარა."

1996 წლის ფინალში შტეფი გრაფთან გამართული ორთაბრძოლა არც მარტინა ჰინგისს დავიწყებია: „შტეფისთან შეხვედრა ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი იყო ჩემს კარიერაში. მან უდიდესი გამოცდილება შემძინა. ეს ერთ-ერთი ის ტურნირია, რომელიც არასოდეს მომიგია, მაგრამ არაფერს დავიშურებ ამის გამოსასწორებლად".

„ჩეიზის ჩემპიონატის მოგება, ალბათ, ყველაზე რთული რამ არის. პირველივე წრეში კვალიფიკაცია გავლილ ჩოგბურთელს კი არა, პირდაპირ საუკეთესო ოცეულის წარმომადგენელს ხვდები, თავიდანვე დიდი ბრძოლებისათვის უნდა იყო მზად... თუმცა ამავე დროს ზეწოლაც ნაკლებია. იმას ვგულისხმობ, რომ აქ სენსაციები არ ხდება- თუ წააგებ, მოულოდნელად კი არა, ღირსეულ მეტოქესთან"- ეს მსოფლიოს პირველი ჩოგნის, ლინდსი დევენპორტის სიტყვებია.

ჩემპიონატის კიდევ ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ პირველად და უკანასკნელად სეზონის მანძილზე, ქალთა ჩოგბურთში ხუთსეტიანი მატჩია ნებადართული - ოღონდ მხოლოდ ფინალისთვის.

წლევანდელმა მსოფლიოს ჩემპიონატმა მნიშვნელოვანი დანაკლისი ჯერ კიდევ დაწყებამდე განიცადა: შავკანიან ვინუს უილიამსს ქრონიკული მუხლის ტრავმის გამო ასპარეზობაზე უარის თქმა მოუხდა: „ძალიან მინდოდა, ჩემპიონატზე მეთამაშა, მაგრამ საუბედუროდ, ეს შეუძლებელია, რადგან კარგ ფორმაში არ ვარ. რაკი ჩოგბურთელებისთვისა და ნიუ იორკელი ქომაგებისთვის მაქსიმუმის შეთავაზება არ შემიძლია, მირჩევნია, არც ვითამაშო".

თუმცა ჩემპიონატს ვარსკვლავები არც უილიამსის არყოფნაში აკლია — ტურნირის ისტორიაში პირველად მასში ერთბაშად 8 დიდი ტურნირის გამარჯვებული მონაწილეობს და ფავორიტებიდან თვით ნიუ იორკში პირველად მოასპარეზებს — შვეიცარიელ პატი შნიდერს, ანა კურნიკოვასა და დომინიკ ვან რუსტსაც ვერ გამოვრიცხავთ. სწორედ გაძლიერებული კონკურენცია მიაჩნია შარშანდელ ჩემპიონს, იანა ნოვოტნას, ქალთა ჩოგბურთის გაზრდილი პოპულარობის მიზეზად: „ადრე იყო პერიოდები, როდესაც სპორტში ერთი ჩოგბურთელი დომინირებდა — შტეფი, მონიკა, მარტინა ნავრატილოვა, კრის ევერტი — ისინი ყველაფერს იგებდნენ. ახლა კი ლიდერი ერთი აღარ არის. ნებისმიერს შეუძლია ტურნირში გამარჯვება, დიდი სლემის ჩემპიონობა. ეს ქალთა ჩოგბურთისთვის ძალიან მარგებელია".

თავად ნოვოტნას წლეულს არ გაუმართლა — შარშანდელმა ჩემპიონმა პარასკევს კენჭისყრა თავად ითავა, მაგრამ როცა ბარათი ამოიღო და თავისი მეტოქის გვარი ამოიკითხა, სახიდან ღიმილი მაშინვე გადაერეცხა: „აქ რომ მოვდიოდი, გავიფიქრე, იმედია, შტეფი გრაფი არ შემხვდება, განუთესავებიდან ყველაზე საშიში მეტოქეა-მეთქი... რა თქმა უნდა, გრაფი შემხვდა".

ნოვოტნას შიში დიდი გერმანელისადმი უბრალო ახირება არ გეგონოთ, გარდა იმისა, რომ მასთან პირად შეხვედრებში იგი 4:27-ს აგებს, ჩეხს სხვა არგუმენტებიც გააჩნია: „იმ წუთიდან რაც შტეფიმ ტრავმა მიიღო და ორი წელი აღარ უთამაშია, ყველა ტურნირში გავიმარჯვე, რაც მასთან პაექრობაში 10 წლის მანძილზე ვერ მოვიგე. ახლა ის დაბრუნდა და პირველივე წრეში ვხვდები. ეს ნამდვილი ბედისწერაა. თუმცა, თუ ასეთი ჩემპიონატის მოგება გინდა, ყველა საუკეთესოს უნდა აჯობო".

გრაფის ჯობნა კი მართლაც რომ უმძიმესი ამოცანა იქნება. ძნელია, კლასიფიკაციაში მე-12 მოთამაშე მსოფლიოს ჩემპიონატის უპირველეს ფავორიტად შერაცხო, მაგრამ ნიუ იორკში ყველა დროის, ალბათ, საუკეთესო ჩოგბურთელს ნოვოტნას გარდა სხვაც ბევრიც შეუშინდება. შტეფიმ ბოლო ორ კვირაში ზედიზედ ორი ტურნირი მოიგო და ამ დროის მანძილზე მსოფლიოს პირველ-მეორე ჩოგნები — დევენპორტი და ჰინგისიც დაჯაბნა. „სულ უფრო და უფრო თავდაჯერებული ვხდები. ცხადია, რომ ბევრად მოვუმატე. ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ასე სწრაფად ჩავდგებოდი ფორმაში, მაგრამ ამჟამად საკუთარი თავით სრულიად კმაყოფილი ვარ" — განაცხადა კვირას გრაფმა, რომელსაც „გარდენის" სწრაფ კორტებზე ხუთჯერ მოუპოვებია ჩემპიონის ტიტული.

რაც შეეხებათ დევენპორტსა და ჰინგისს, მათ ნიუ იორკში პირადი ურთიერთობა აქვთ გასარკვევი — ტურნირზე ხომ სეზონის ბოლოს კლასიფიკაციის პირველი ადგილის მპყრობელის ბედი გადაწყდება. „პირველ ჩოგნად გახდომა აშშ-ის ღია პირველობის მოგების შემდეგ ჩემი კარიერის უდიდესი მიღწევა იყო. წლის ამავე პოზიციაზე დასრულება არაჩვეულებრივი რამ იქნებოდა, ამავე დროს ყველაზე რთულიც. თუმცა მიღწეულით დაკმაყოფილება არ მჩვევია და ცდაზე ხელს ვერაფრით ავიღებ" — ეს ლინდსი დევენპორტის სიტყვებია. ისე, მას ამ ამოცანის შესასრულებლად მთების ამობრუნება არ სჭირდება - საკმარისია, პირველ წრეში ფრანგ სადრინ ტესტიუს აჯობოს, რომ ყველა მეტოქისათვის მიუწვდომელი შეიქნება.

ჰინგისს კი ამერიკელის გადასწრებად მართლაც რომ დიდი ოფლის ღვრა დასჭირდება - დევენპორტის ადრეულ ეტაპზე გავარდნის იმედით მყოფმა ჩემპიონატი აუცილებლად უნდა მოიგოს, თანაც საკმარისი ქულების დასაგროვებლად კლასიფიკაციით ყველაზე მაღლა მდგომი ჩოგბურთელებიც უნდა დაამარცხოს. თუმცა თუ თავად მარტინას დაეკითხებით, მას ფინალში ყველაზე მეტად მაინც ამერიკელთან გაჯიბრება სწყურია: „ჩემთვის სწორედ ეს იქნებოდა ნამდვილი ფინალი - მსოფლიოს პირველი და მეორე ჩოგნები, ფასი კი საუკეთესოს სახელი. სხვებზე ამჟამად არც კი ვფიქრობ. მე მეორე ვარ და ისინი ჩემზე უარესები არიან, წინ კი მხოლოდ ლინდსია."

**ავთანდილ სვანიძე**

### ერთეულების ბადე

| 1/8 | 1/4 | 1/2 | ფინალი | 1/2 | 1/4 | 1/8 |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლინდსი დევენპორტი (1) | | | | | | კონჩიტა მარტინესი (7) |
| სანდრინ ტესტიუ | | | | | | დომინიკ ვან რუსტი |
| ნატაშა ზვერევა | | | | | | ირინა სპირლეა |
| ნატალი ტოზია (8) | | | | | | არანჩა სანჩეს ვიკარიო (4) |
| იანა ნოვოტნა (3) | | | | | | მარი პირსი (6) |
| შტეფი გრაფი | | | | | | ამანდა კუტცერი |
| ანა კურნიკოვა | | | | | | პატი შნიდერი |
| მონიკა სელეში (5) | | | | | | მარტინა ჰინგისი (2) |

### წყვილების ბადე

| 1/4 | 1/2 | ფინალი | 1/2 | 1/4 |
|---|---|---|---|---|
| ჰინგისი / ნოვოტნა (1) | | | | რეიმონდი / სტაბსი (3) |
| ბაზუკი / ვისი | | | | მარტინესი / ტარაბინი |
| ლიხოვცევა / სუგიამა | | | | კურნიკოვა / ნეილანდი |
| ფუზე / ტოზია (4) | | | | დევენპორტი / ზვერევა (2) |

# ლუარსაბიშვილმა ჩემპიონობა გაიხსენა



ნინო ლუარსაბიშვილი

ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე გამართულ საქართველოს ჩემპიონატში რეიტინგით უძლიერესი 16 ქალი მონაწილეობდა. ნახევარფინალში ნინო ლუარსაბიშვილმა ადვილად, 6:1, 6:1 სძლია ქვეყნის შარშანდელ ჩემპიონ ია ზოზრაშვილს; მეორე ნახევარფინალში მაკა ჩახნაშვილს არცთუ იოლი ბრძოლა ელოდა სოფიკო მანაგაძესთან. პირველი სეტი მაკამ მოიგო 6:3, მეორე სოფიკომ 6:4, მესამე, გადამწყვეტ ხელში კი ჩახნაშვილმა 6:1 იმარჯვა და ფინალში გავიდა. აქ ნინომ მაკას ორივე სეტში ერთნაირი ანგარიშით, 6:3, 6:3 სძლია და ჩემპიონიც გახდა. ნახევარფინალში გადაღლილმა მანაგაძემ მესამე ადგილისთვის ბრძოლაზე უარი განაცხადა და საპრიზო ადგილიც ზოზრაშვილს დარჩა.

ქალების შეჯიბრებას მამაკაცთა ჩემპიონატი უძღოდა. 16 მონაწილე 4 ქვეჯგუფად დაყვეს. ჯგუფში გამარჯვებულთაგან ნახევარფინალში გიორგი რევაზიშვილმა პირველი ხელი 1:6 კი დათმო მიხეილ ჩოხელთან, მაგრამ მერე მეორეც მოიგო, მესამეც (6:3, 6:2) და ფინალში გავიდა.

მეორე ნახევარფინალში ზვიად ცერცვაძემ პრომეთე შევარდნაძეს 6:3, 7:6 აჯობა. ფინალში რევაზიშვილმა ცერცვაძეც დაამარცხა 6:2, 7:5 და საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მესამე ადგილისთვის პაექრობაში ჩოხელმა შევარდნაძეს 7:5, 6:3 მოუგო.

**ზურაბ ტაბატაძე**

კრივი

## როი ჯონსი კვლავ სასტიკი და გამარჯვებულია

ახირებული ჩემპიონი და ჩვენი დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივე როი ჯონსი კვლავ ჯანზეა და აგრძელებს სასტიკ და შთამბეჭდავ გამარჯვებათა სერიას.

ახლა გრძელფრთჩხილება ჯონსი ქვემძიმე წონაში გამოდის და ფლობს საბჭოსა და ასოციაციის (ვბა) და საბჭოს (ვბკ) ქამრებს.

ამჯერად ქამრების მოცილე მონრეალში მოღვაწე ოტის გრანტი იყო.

მთელი ბრძოლა ჯონსისა იყო. ის თავის ნებაზე აბურთავებდა მოწინააღმდეგეს. მეექვსე რაუნდში მან მარჯვენა აპერკოტით დასცა გრანტი, თუმცა, ამ უკანასკნელმა წამოდგომა მოახერხა. პრეტენდენტის იმედების ფორმალური მესაფლავე კვლავ მარჯვენა შეიქნა. მეორე ნოკდაუნიც მოკლედ ამორტყმულმა მარჯვენამ წარმოშვა. პირისახეც ამ დროს გადმოვარდა.

თავის კარიერაში ჯონს 38 ბრძოლა აქვს მოგებული. აქედან 31, ნოკაუტით. ერთადერთი წაგება, რომელიც ჯონსის რეიტინგში ირიცხება, არც ჩაითვლება ბრძოლით ნაწვნევ დამარცხებად. გასულ წელს ჯონსი მონტეი გრიფინისგან იცავდა ტიტულს და თავისებურად რომ დააბურთავა პრეტენდენტი ვერ მოითმინა და რეფერის ნიშნის შემდეგ დასცხო მუშტები. ამას დისკვალიფიკაცია მოჰყვა და ჯონსმა საბჭოს ქამარი დაკარგა.

ხუთი თვის შემდეგ ჯონსმა პირველსავე რაუნდში დასცა გრიფინი და ტიტულიც დაიბრუნა. წლეულს, აპრილში კი მან ვირჯილ ჰილი დასცა მეოთხე რაუნდში, შემდეგ კი აშკარა გამარჯვებით აართვა ასოციაციის ქამარი ბრონქსელ ლუ დელ ვალეს.

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ არჩილ გოგელიას დედის **ნინო წვერავა-გოგელიას** გარდაცვალების გამო

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია სამძიმარს უცხადებს არჩილ გოგელიას დედის **ნინო წვერავა-გოგელიას** გარდაცვალების გამო


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია

**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე

**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული

**მთავარი რედაქტორის მოადგილე:** ილია ბაბუნაშვილი

**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:** ვახტანგ ბზიკაძე

**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი

**კალათბურთის განყოფილების გამგე:** მერაბ რატიშვილი

**ინფორმაციის განყოფილების გამგე:** სოსო კოტორეიშვილი

**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:** კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე

**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი

**კალათბურთის განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე

**ინფორმაციის განყოფილება:** ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე

**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე

**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი

**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29